ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 272 (12643) 19 ნოემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

რუმინეთი

22:30

საზოგადოებრივ მაუწყებელზე

საქართველო

# ექტორი თუ ვიქტორი?





»»» 2

## კუპერი: კარგი თამაში კარგი შედეგით



## ხუმარებს აღარ ეხუმრებათ

»»» 8



## კაპელოს აღარავინ დარჩა

ამხანაგური მატჩების წინ »»» 6



## ტერი ბატჩერი: მარადონა არაკაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუმინეთი-საქართველო

### ექტორ კუპერი:

# კარგი თამაში კარგი შედეგით

## ხიზანიშვილის თამაში საეჭვოა

რუმინეთთან ამხანაგური მატჩის წინ საქართველოს ნაკრებს გუშინ მზადების ბოლო დღე ჰქონდა. გამთენიისას გუნდს ყაზანის „რუბინის" მცველი ლაშა სალუქვაძეც შეუერთდა და გუნდი სრულად შეივსო. ექტორ კუპერმა გუნდი ერთხელ ავარჯიშა. მანამდე, მასპინძლებმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს მცირე ექსკურსია მოუწყვეს და ანთიმოზ ივერიელის მონასტერი დაათვალიერებინეს. ბოლოს კი ბუქარესტის „დინამოს" სტადიონზე გამართეს წვრთნა. ვარჯიშამდე კუპერმა პრესკონფერენცია გამართა. არგენტინელთან შესახვედრად ოცამდე ადგილობრივი ჟურნალისტი შეიკრიბა. კუპერმა რუმინულ მედიას მხოლოდ 15 წუთი დაუთმო...

**- რამდენად მზადაა თქვენი გუნდი რუმინეთთან თამაშისთვის და რას ელით ამ მატჩისგან?**

- ეს ამხანაგური მატჩია და შესაძლებლობა მექნება, ის ფეხბურთელები გამოვცადო, რომლებიც ნაკრებში პირველად გამოვიძახე. იმათი გამოცდაც მინდა, რომლებიც ადრე იყვნენ ჩემს განკარგულებაში, მაგრამ თამაშმა ცოტა ხნით ან სულ არ მოუწიათ. ამ ამხანაგური მატჩის მიზანიც ისაა, რომ ფეხბურთელებს შესაძლებლობათა წარმოჩენის შანსი მივცე. სწორედ ამის გამო არ გამოვიძახე ნაკრებში კახა კალაძე, რომელსაც დიდი ხანია, გამოცდა აღარ სჭირდება. ამ მიზეზით არ არის გუნდში ალექსანდრე იაშვილიც. მინდა, ამ პოზიციებზე სხვა მოთამაშეები გამოვცადო... მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელები არ გვყავს, მჯერა, ღირსეულად ვითამაშებთ. ჩვენ ბუქარესტში მოსაგებად ჩამოვედით და გარწმუნებთ, ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. ამავე დროს, საქართველოს ნაკრების მიზანია, მინიმუმ თამაშის ის დონე შეინარჩუნოს, რაც ბულგარეთთან აჩვენა. მოკლედ, გვინდა კარგი თამაში კარგი შედეგით. ეს არის და ეს.

**- რუმინეთს კივუ და მუტუ არ ჰყავს. მათი არყოფნა არის თუ არა შანსი საქართველოს ნაკრებისთვის?**

- მუტუ და კივუ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მაგრამ რუმინეთის ნაკრებში სხვა კარგი მოთამაშეებიც არიან. ამასთან, რუმინელებს გუნდური თამაში და მაღალი ტექნიკაც გამოარჩევთ, საკმაოდ კონკურენტუნარიანი გუნდია. მისი სიძლიერე მხოლოდ ამ ორი ფეხბურთელის ყოფნა-არყოფნაზე არ არის დამოკიდებული. მათ ჰყავთ ფორვარდი მარიკაც. ის ბუნდესლიგაში თამაშობს. ვფიქრობ, მარიკა ნებისმიერ გუნდს გააძლიერებდა. პლუს ამას, მეტოქე შინ თამაშობს და ბუნებრივია, საკუთარი ქომაგების თვალწინ მოსაგებად იბრძოლებს. ჩვენც იგივე მიზანი გვაქვს და ვნახოთ... ერთი სიტყვით, ნამდვილად არ ველოდები, რომ მუტუსა და კივუს არყოფნა რუმინეთს რამენაირად დაასუსტებს, მიუხედავად ამ ფეხბურთელებისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა.

**- „ვალენსიაში" მუშაობისას გუნდში ორი რუმინელი ფეხბურთელი გყავდათ - ილიე და შერბანი. მათგან ცნობები ხომ არ მიიღეთ რუმინეთის ნაკრებზე?**

- ჯერ ერთი, მეტოქეზე ისედაც ბევრი რამ ვიცი. მეორეც, მე მსგავსი მეთოდებით არ ვმუშაობ, არ მჩვევია... ილიეს ნამდვილად გამოვარჩევდი. ის ტექნიკური და ძალზე ნიჭიერი იყო. სიმართლე გითხრათ, ბუქარესტში რომ ჩამოვედი, ისინი არც მომიკითხავს და არც არავისგან მსმენია, დღეს რითი არიან დაკავებულნი.

**- რუმინეთში ბევრი არგენტინელი ფეხბურთელი თამაშობს. რომელიმე მათგანის თამაში ხომ არ გინახავთ?**

- არა, არ მინახავს. „სტიაუაში" ერთი არგენტინელი თამაშობს, გვარად პერალტა. მისი თამაში ადრე მაქვს ნანახი, საკმაოდ ნიჭიერი იყო, მაგრამ ახლა არ ვიცი, რამდენად იყენებს ამ ნიჭს.

**- ოდესმე რუმინეთში თუ იმუშავებთ?**

- დღემდე არგენტინაში, ესპანეთსა და იტალიაში მიმუშავია. ახლა საქართველოში ვარ. რუმინეთზეც არ ვიტყვი უარს, თუმცა დღეს ამაზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებ, მხოლოდ საქართველოს ნაკრებით ვარ დაკავებული. ჩემი მიზანია, ის ძლიერ გუნდად ვაქციო და მჯერა, შევძლებ კიდეც.

პრესკონფერენციის შემდეგ კუპერმა გუნდი სავარჯიშოდ გაიყვანა. წვრთნამ საათზე მეტხანს გასტანა. გუშინწინდელისგან განსხვავებით, ბუქარესტში არ წვიმდა და ვარჯიშმაც უკეთეს პირობებში ჩაიარა.

**გიორგი ლომაია, რევაზ თევდორაძე, მირზა მერლანი, ლექსო კვახაძე, ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი მერებაშვილი, ლუკა რაზმაძე, მურთაზ დაუშვილი, რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე, ოთარ მარცვალაძე, ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, მათე ღვინიანიძე, ლევან კობიაშვილი და ლევან მჭედლიძე** - გუშინ გამართულ მატჩისწინა წვრთნაში სწორედ ეს 18 ფეხბურთელი მონაწილეობდა. არ უვარჯიშია „ბლექბერნის" მცველ **ზურაბ ხიზანიშვილს**, რომელსაც ტემპერატურამ აუწია და დღეს მისი თამაში საეჭვოა, - გვაცნობა ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძემ**.

**დავით ცაბაძე**



ექტორ კუპერი





### ვიქტორ პიცურკა:

# საქართველო სერბეთი არ არის, მაგრამ არც ბევრად ნაკლებია

რუმინეთის ნაკრები საქართველოსთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. მასპინძლებმა გუშინ ბუქარესტის „დინამოს" სტადიონზე ივარჯიშეს. წვრთნის შემდეგ რუმინელთა თავკაცმა **ვიქტორ პიცურკამ** ჟურნალისტებს მცირედი დრო დაუთმო. მეტოქის მწვრთნელმა საქართველოს ნაკრები კიდევ ერთხელ მოიხსენია სერიოზულ მეტოქედ და შემდეგი განაცხადა:

*„ეს ამ წლის ბოლო მატჩია. მინდოდა, 19 ნოემბერს იტალიასთან ან გერმანიასთან ჩაგვეტარებინა ამხანაგური შეხვედრა. თუმცა საკვალიფიკაციო ეტაპის მომდევნო მატჩი გაზაფხულზე, სერბეთთან გვაქვს და გადავწყვიტეთ, სათამაშო სტილით ამ ნაკრების მსგავსი გუნდი შეგვერჩია სპარინგპარტნიორად. სწორედ ამ დროს, საქართველოსთან თამაშის შესაძლებლობა გამოჩნდა და უმალ დავთანხმდი... მართალია, ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ეს პერიოდი ჩვენთვის მთლად ხელსაყრელი არ არის, რადგან ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ამ თამაშს მაინც ბევრი პლუსი აქვს. საინტერესოა, თუ როგორ წარმოჩნდება გუნდი, როცა მას რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი აკლია. ასეთი სიტუაციისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. გვინდა, ეს სიტუაცია გუნდისთვის სასიკეთოდ გამოვიყენოთ და სწორედ ამიტომ ნაკრებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მივიწვიე. მათი შესაძლებლობები მაინტერესებს. ვნახოთ, როგორ შეეწყობიან ეროვნულ გუნდს".*

მედიელები დაინტერესდნენ, პიცურკასთვის საქართველოსთან მატჩის შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, თუ გუნდში ახალი ფეხბურთელების ინტეგრაცია:

*„გუნდის გაახალგაზრდავება შეუქცევადი პროცესია და მას წინ ვერ აღუდგები. დღეს იქნება თუ ხვალ, ამ ნაბიჯის გადადგმა მაინც მოგვიწევს. ამიტომ, თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭიროთ... რაც შეეხება კითხვას, ჩემთვის 19 ნოემბრის მატჩის შედეგიც მნიშვნელოვანია და ისიც არანაკლებ მაინტერესებს, თუ რამდენად სწრაფად და უმტკივნეულოდ მოხდება ახალი ფეხბურთელების ადაპტაცია ეროვნულ ნაკრებში. საქართველოს ნაკრები კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მასთან თამაში იოლი ნამდვილად არ იქნება. შესაძლოა, საქართველო სერბეთის დონის გუნდი არ არის, მაგრამ არც ნაკლებია, პრობლემებს ისიც შეგვიქმნის... ასე რომ, რთული მატჩი გველის. ჩვენი გუნდისთვის ეს სასარგებლო ტესტი იქნება და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ოთხშაბათს დარწმუნდებით".*

ბოლო პერიოდში რუმინული პრესა პიცურკასა და **ადრიან მუტუს** შორის კონფლიქტზე წერდა. პრესა ამ თემითაც დაინტერესდა:

*„არა, მუტუსთან პრობლემები არ მაქვს. ჩვენ ნორმალური, ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს - ისეთი, როგორიც ნაკრების მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის უნდა იყოს. მუტუ რომ ჯანმრთელი იყოს, ის გუნდთან ერთად იქნებოდა შეკრებაზე და ოთხშაბათსაც ითამაშებდა. რამდენადაც ვიცი, ის მალე დაბრუნდება მწყობრში, თუმც ამ მომენტისთვის თამაში ჯერ არ შეუძლია".*

როგორც იცით, მცველებს - **დორინ გოიანსა** და **გაბრიელ ტამაშს** ორშაბათს გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ. ამ ფეხბურთელებს ძველი ტრავმები გაუმიზეზდათ. ამდენად, საქართველოს წინააღმდეგ ისინი, ალბათ, ვერ ითამაშებენ, ყოველ შემთხვევაში, ეს პიცურკასაც აეჭვებს.

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით 19 ნოემბრის მატჩი საქველმოქმედო იქნება და პეტრილას მაღაროში აფეთქების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნება. რუმინეთი-საქართველოს მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყება და შეხვედრის ყველა მონაწილე (მათ შორის, ტრიბუნაზე მყოფი მაყურებელიც) ერთმანეთს ხელს ჩასჭიდებს.

რუმინულმა პრესამ საქართველოს ნაკრების მიერ წელს ჩატარებული ყველა მატჩის შედეგი ჩამოწერა და ასე დაასათაურა - „1 მოგება, 3 ფრე და 5 წაგება, საქართველოს მკვეთრად უარყოფითი ბალანსი აქვს". რუმინელები იმასაც დასძენენ, რომ ჩვენმა ნაკრებმა ეს შედეგები სამი მწვრთნელის - **კლაუს ტოპმიოლერის, პეტარ შეგრტისა** და **ექტორ კუპერის** ხელში აჩვენა. იქაურ მიმომხილველებს არც ფიფას ბოლო რეიტინგი დავიწყნიათ - ქართველებს მთელი 80 საფეხურით ვუსწრებთო (რუმინეთი 19, საქართველო 99). აქედან ისინი ასკვნიან, რომ დღეს ბუქარესტის „დინამოს" სტადიონზე მათმა ნაკრებმა უნდა გაიმარჯვოს.

ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ რუმინეთმა ბოლოს ჩატარებული სამი შეხვედრიდან ერთი წააგეს (ლიტვასთან შინ 0:3), ერთი მოიგეს (ფარერებთან სტუმრად 1:0) და ერთიც ფრედ (საფრანგეთთან შინ 2:2) ითამაშეს. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, ლიტვის, საფრანგეთისა და ავსტრიის შემდეგ, რუმინეთი 4 ქულით მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ ფარერებს უსწრებს.

**დავით ცაბაძე**

## ბუქარესტის მატჩი საზოგადოებრივზე

დღეს 22:30-ზე „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ფეხბურთის გულშემატკივარს გაახარებს - პირდაპირ ეთერში რუმინეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრას ვიხილავთ. ეს ამბავი „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სპორტული მიმართულების პროდიუსერმა **დავით მინაშვილმა** გვამცნო:

*„თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რომ რუმინეთიდან რეპორტაჟი უნდა გადმოგვეცა. საერთოდ, ჩვენი მაუწყებლობის ხელმძღვანელებმა ყურადღება თავიდანვე გაამახვილეს ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო სახეობებზე. საქართველოს საფეხბურთო, მორაგბეთა, კალათბურთელთა ნაკრებების შეხვედრების პირდაპირი რეპორტაჟები ამიერიდან სწორედ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით გადაიცემა. საქართველოს ჩემპიონატების გაშუქებაც ჩვენი სპორტის პოპულარიზაციის მცდელობაა. ბუნებრივია, დიდ ყურადღებას მივაქცევთ ჭიდაობის სახეობებს და ასე შემდეგ. გაზაფხულიდან მოყოლებული, ეროვნული ნაკრების საშინაო და საგარეო შეხვედრების რეპორტაჟები ჩვენი მაუწყებლობის საშუალებით გადაიცემა, რაც ფეხბურთის ფედერაციის არჩევანია. ესტონეთსა და პორტუგალიასთან მატჩებით დავიწყეთ და მერე ნაკრების ყველა მატჩი ვაჩვენეთ".*

მოკლედ, დღეს 22:30-ზე გადავრთოთ ტელევიზორები „საზოგადოებრივ მაუწყებელზე" და ვუქომაგოთ საქართველოს ნაკრებს...

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორ.ი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-რუმინეთი

ისტორია

# ჩვენ და რუმინელები

რუმინეთის ნაკრები ევროპისა თუ მსოფლიო ფეხბურთის გრანდთა რიცხვს არასდროს განეკუთვნებოდა. ეგ კი არა, უმნიშვნელოვანესი ტურნირების ფინალურ ეტაპზე გასვლაც წარმატებად უნდა მიგვეჩნია. თუმცა, რუმინეთში, რატომღაც, საკუთარი ნაკრებისგან ყოველთვის მეტს მოითხოვდნენ. ამის მიზეზი, შესაძლოა, ისიც ყოფილიყო, რომ, ტრადიციულად, რუმინელები ძლიერად ატარებდნენ შესარჩევ ტურნირებს, აი, ფინალურ სტადიებზე კი (1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს თუ არ ჩავთვლით) ხელმოცარულნი რჩებოდნენ. მოკლედ, არც გრანდია და არც სუსტი, ალბათ, უფრო საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის ნაკრებია, თითქმის ყველა თაობაში რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი რომ ჰყავდა. საერთოდ, ნებისმიერი გუნდისთვის არსებობს სასურველი თუ უხერხული მეტოქის ცნება; ჰოდა, რუმინელებისთვის ერთ-ერთი ასეთი სასურველი მოწინააღმდეგე... საქართველოს ნაკრებია. დღევანდლამდე მეტოქეები ერთმანეთს ხუთჯერ შეხვდნენ და აშკარა უპირატესობა რუმინელთა მხარეს არის: სამი მოგება და ორი ფრე (ბურთების სხვაობა 12-2). აქვე, დავაზუსტოთ, რომ ერთ შემთხვევაში რუმინეთი-საქართველოს მატჩი ფრედ დასრულდა და პენალტების სერიაში დღევანდელმა მასპინძლებმა გვაჯობეს. ანუ, გამოდის, რომ საბოლოო ჯამში რუმინეთს ოთხი გამარჯვება აქვს საქართველოს ნაკრებთან...

ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ და, შეძლებისდაგვარად, რუმინეთი-საქართველოს ყველა დაპირისპირება გავიხსენოთ.

პირველი შეხვედრა ქართველებს ერთობ მწარედ გვახსენდება: 1996 წლის 24 აპრილს, ამხანაგურ მატჩში რუმინეთის ნაკრებმა, როგორც იტყვიან, პირდაპირ გადაუარა ჩვენს უპირველეს გუნდს. საქართველოს ნაკრებს მანამდე არასდროს წაეგო ხუთბურთიანი სხვაობით; ეგ კი არა, ჩვენი ნაკრების ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დავმარცხდით ასეთი კოშმარული ანგარიშით - რუმინეთთან (0:5) და დანიასთან (1:6). ბუქარესტის ფიასკოში ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდა (ერთადერთი, **მურთაზ შელია** გვაკლდა). ამასთან, ძალიან დიდი ალბათობა იყო, რომ ჩვენს ნაკრებს... მარადიული ანტირეკორდიც დაემყარებინა. ჰო, მასპინძლებმა ხუთი ბურთი ხომ გაგვიტანეს, დაახლოებით... ორი ამდენიც კიდევ შეეძლოთ! მოკლედ, მართლაც, კოშმარული სანახაობა გახლდათ, როცა მეტოქეს, ფაქტობრივად, მხოლოდ **აკაკი დევაძე** ეწინააღმდეგებოდა. აბა, გაიხსენეთ ისეთი მატჩი, მეკარე ხუთ გოლს რომ გაუშვებს და, ამის მიუხედავად, საკუთარ გუნდში საუკეთესო იქნება?!. იმ შეხვედრაში მასპინძლებიც ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობდნენ (**დან პეტრესკუ** და **ფლორიან რადოჩოუ** აკლდათ) და საქართველოსთან მატჩს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გენერალურ რეპეტიციად განიხილავდნენ. ჩვენ უმოწყალოდ დაგვჯაბნეს, სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატზე სამივე მატჩი წააგეს და ტურნირს უსახელოდ დაემშვიდობნენ.



ალექსანდრე ჩივაძე

და კიდევ იმ კოშმარულ მატჩზეც: სწორედ მაშინ იყო, შეხვედრის მერე ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ჩივაძემ** თავის რუმინელ კოლეგას **ანგელ იორდანესკუს** საჯაროდ ბოდიში რომ მოუხადა. ბოდიში... საქართველოს ნაკრების უსუსური თამაშის გამო...

მეორე შეხვედრა ოთხი წლის მერე კვიპროსში გაიმართა, სადაც საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა. ჩვენი ნაკრები, მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა, სამაგიეროდ რუმინელებს, ფაქტობრივად, მეორე გუნდი ჰყავდათ. თავად განსაჯეთ - იმავე წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რუმინელთა განაცხადში მხოლოდ სამი ფეხბურთელი (ისიც, სათადარიგოები) იყო, ოთხი თვით ადრე ქართველების წინააღმდეგ რომ ითამაშეს - **ბოგდან ლობონტი, ლაურენსიუ როსუ** და **კატალინ ჰილდანი**.

მწარედ გვახსოვს მესამე დაპირისპირებაც, რომელიც უკვე ოფიციალური რანგის გახლდათ. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, საქართველოს ნაკრებმა ლიტვასთან შთამბეჭდავი მოგებით (4:0) დაიწყო, რასაც მერე იტალიასთან მარცხი მოჰყვა. ეს ორივე მატჩი სტუმრად გვქონდა და იმ ციკლში პირველი საშინაო შეხვედრა რუმინელებთან გველოდა. ვერ გეტყვით, რატომ და რაზე იყო დაფუძნებული ჩვენი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელების რაღაც არაბუნებრივი წინასამატჩო ოპტიმიზმი; მერე, ჩვენმა მედიამაც აიტაცა ეს თემა და რაღა რჩებოდა - მოედანზე უნდა გაგვენადგურებინა რუმინეთის ნაკრები. საბოლოოდ კი, რა და როგორ მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება - სტუმრებმა კლასის ხარჯზე დაგვჯაბნეს და რომ მოენდომებინათ, უფრო დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ. ჯერ მარტო **ადრიან ილიეს** მატჩის საწყის წუთებში სამი-ოთხი (!) ისეთი მომენტი ჰქონდა, სახიფათოზე მეტი რომ იყო. მერე, ილიემ ტრავმა მიიღო, მაგრამ ამით ჩვენ არაფერი გვეშველა: ჯერ **დორინელ მუნტეანუმ** ლამის ბუქარესტიდან დაარტყა და ისე გაგვიტანა პირველი გოლი, მერე კი შეტევაში ჩართულმა **კოზმინ კონტრამ** „მიგვანიშნა“, რომ ბაქიბუქს... ფეხბურთის სწორად თამაში სჯობიაო...

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურში იყო და მეტოქეთათვის სატურნირო მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. რუმინეთი მხოლოდ სასწაულის იმედზე უნდა ყოფილიყო, ჯგუფში პირველი ადგილი და, აქედა გამომდინარე, კორეა-იაპონიის საგზური ავტომატურად რომ მოეპოვებინა. თუმცა, ეს სასწაული არ მოხდა - ჯგუფის ფავორიტმა იტალიამ საკუთარი მატჩი მოიგო და რუმინეთსაც მეორე ადგილს უკვე ველარავინ შეეცილებოდა. აი, მაშინ იყო, ძალიან ახლოს რომ ვიყავით რუმინელებთან პირველ გამარჯვებამდე, მაგრამ მატჩის ბოლოს **ჯიკა პოპესკუმ** ანგარიში გაათანაბრა.

უკანასკნელი დაპირისპირება ისევ კვიპროსის ტურნირზე იყო და კვლავაც დიდი ანგარიშით დავმარცხდით. ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ რუმინელები უძლიერესი შემადგენლობით დაგვიპირისპირდნენ (მხოლოდ **კრისტიანუ კივუ** აკლდათ), მაშინ როცა საქართველოს ნაკრებს... კვიპროსში შეკრებაზე მყოფი თბილისის „დინამო“ წარმოადგენდა. უფრო ზუსტად, „დინამოს“ პლუს სამი ლეგიონერი (**ვიტალი დარასელია, ლევან კორღალიძე, დავით სირაძე**), კვიპროსის ჩემპიონატში მოასპარეზე ორი ჩვენებური (**გიორგი გაბიდაური, ლევან მაღრაძე**) და ერთი-ორი სულაც უგუნდო ფეხბურთელი. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ **ადრიან მუტუსა** და **ფლორიან ჩერნატის** გოლებით რუმინელებმა უპრობლემოდ დაამარცხეს საქართველოს, მართლაც, ექსპერიმენტული ნაკრები...

იმედი დავიტოვოთ, რომ დღეს მაინც მოვახერხებთ და რუმინეთის ნაკრებთან ნავსს გავტეხთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენს ნაკრებში არცთუ ცოტაა ისეთი ფეხბურთელი, **ექტორ რაულ კუპერისთვის** საკუთარი შესაძლებლობები რომ აქვს დასამტკიცებელი.

**გია ტუხაშვილი**



აკაკი დევაძე

## საქართველო VS რუმინეთი

### ამხანაგური მატჩი

**რუმინეთი-საქართველო 5:0**

24.04.1996. ბუქარესტი. „სტიაუა“.
25 000 მაყურებელი

1:0 მოლდოვანი (26), 2:0 მოლდოვანი (29), 3:0 მოლდოვანი (37), 4:0 ლეკეტუში (50), 5:0 გალკა (88)

რუმინეთი: სტელია (69. პრუნეა) - ფილიპესკუ, პროდანი (69. მიხალი), ბელოდედიჩი (67. დობოში), ლუპესკუ - პოპესკუ (61. ვლადოიუ), საბეუ (52. კრაიოვანუ), ჰაჯი (67. კონტრა), დ. მუნტეანუ - ლეკეტუში (52. შეიმეში), მოლდოვანი (61. გალკა)

მთ. მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ

საქართველო: დევაძე - რევიშვილი, ცხადაძე (77. სეფაშვილი), კუდინოვი, ჩიხრაძე - გოგიჩაიშვილი (67. იონანიძე), ნემსაძე (46. გუჩუა), ჯამარაული (46. ცქიტიშვილი), ქეცბაია, ქინქლაძე - შ. არველაძე (46. გოგრიჭიანი)

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

არბიტრი: ა. ზახარიდისი (რუმინეთი)

### საერთაშორისო ტურნირი

**რუმინეთი-საქართველო 1:1**

(პენალტებით - 4:2)
04.02.2000. ლარნაკა. „ზენონი“.
150 მაყურებელი

0:1 ქეცბაია (41), 1:1 ჰილდანი (81)

რუმინეთი: ლობონტი, დუმიტრუ, ბატრინუ, მუტიცა, კრივაცი (55. სტოიკა), ბოლჰანი, ჰილდანი, მალდარასანუ (80. რადუჩანი), როსუ (61. მარა), მიჰალჩეა (55. პეტრე), ნიკულაე (61. ნიკულესკუ)

საქართველო: გვარამაძე - შეყილაძე, ხიზანიშვილი, ნემსაძე, ჩიხრაძე - მენთეშაშვილი (46. ზ. ჯანაშია), სიჭინავა, ჯამარაული, ქეცბაია - ყაველაშვილი (91. მ. ძოძუაშვილი), ა. არველაძე (67. ქემოკლიძე)

მწვრთნელები: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი

არბიტრი: კ. კაპიტანისი (კვიპროსი)

### შესარჩევი მატჩი

**საქართველო-რუმინეთი 0:2**

28.03.2001. თბილისი. ეროვნული.
30 000 მაყურებელი

0:1 მუნტეანუ (69), 0:2 კონტრა (81)

საქართველო: გვარამაძე - სილაგაძე (72. ა. იაშვილი), ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი - ყაველაშვილი (52. ზ. ჯანაშია), ნემსაძე, რეხვიაშვილი, ქეცბაია (60. ქემოკლიძე) - ქინქლაძე - შ. არველაძე

მწვრთნელები: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი

რუმინეთი: სტელია - კონტრა, პროდანი, ფილიპესკუ, კივუ - რადოი (57. გალკა), კ. მუნტეანუ, კოდრეა, დ. მუნტეანუ - ილიე (21. ნიკულაე), მოლდოვანი (87. სტოიკა)

არბიტრი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

### შესარჩევი მატჩი

**რუმინეთი-საქართველო 1:1**

06.10.2001. ბუქარესტი. „სტიაუა“.
20 000 მაყურებელი

0:1 იაშვილი (54), 1:1 პოპესკუ (88)

რუმინეთი: ლობონტი - კირიტა, აკუსტა, მიუ, პირვუ (61. მიჰალჩია) - პოპესკუ, დუმიტრუ, მუტუ (46. როსუ), დ. მუნტეანუ - ნიკულაე, ილიე (70. პანჩუ)

საქართველო: გვარამაძე - საჯაია, ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი - ყაველაშვილი (75. ბურდული), ცქიტიშვილი, რეხვიაშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე (63. ქეცბაია) - ა. იაშვილი (81. ალექსიძე)

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

არბიტრი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

### საერთაშორისო ტურნირი

**რუმინეთი-საქართველო 3:0**

18.04.2004. ლარნაკა. „ზენონი“.
300 მაყურებელი

1:0, 2:0 მუტუ (30, 70), ჩერნატი (87)

რუმინეთი: სტელია (84. დოლია) - სტოიკანი (78. ტამაში), გიონეა, რადოი, რაცი - ფ. პეტრე (46. კონტრა), ო. პეტრე (71. შოავა), პანჩუ (43. ტარარაჩე), მიტეა (46. ჩერნატი) - მუტუ, განეა (62. ბრატუ)

საქართველო: გვარამაძე - ქემოკლიძე, წერეთელი, ნემსაძე (83. გაბიდაური), ამისულაშვილი - ახალაია (27. სირაძე), გოგობერიშვილი (67. ლ. კორღალიძე), ქინქლაძე (46. შაშიაშვილი), კვირკველია (85. ლ. მელქაძე) - ვ. დარასელია, ს. იაშვილი (85. მაღრაძე)

მთავარი მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი



გია გეგუჩაძე



ილია კოკაია

# სარკეში ყურება სირცხვილი არ არის

საჭირო დროს, საჭირო მომენტში - ასეა ცხოვრებასა და კარიერაში, თუმც ეს მაინც არ არის ზუსტი ნათქვამი. დრო და მომენტი ყოველთვის არ განაპირობებს გადაწყვეტილების სისწორეს...

დრომ და მომენტმა ისე მოიტანა, „ზესტაფონიდან“ ვინძლო თემურ მახარაძე წავიდეს და გუნდი გია გეგუჩაძემ გაწვრთნას. ერ[illegible]ი შეხედვით, აქ განსაკუთრებული არაფერია, გამოცდილ მახარაძეს, ალბათ, პაუზა სჭირდება, გეგუჩაძეს კი სამუშაო - თითქმის ოთხი წელია, არ უმუშავია, 2005 წლის გაზაფხულზე „დინამოდან“ რომ გაუშვეს, „გაგრის“ სპორტული დირექტორი იყო, ახლა კი უმუშევარია. და იცით, რატომ დარჩა გეგუჩაძე ამდენ ხანს უგუნდოდ? იმიტომ, რომ ის ძალიან თავისებური მწვრთნელია, თავისი საქმე უნდა, რომ თვითონ აკეთოს და ძალიან არ უყვარს ვილაცებისთვის ანგარიშის გაწევა.

დავუშვათ, „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ და გეგუჩაძემ მოილაპარაკეს. იქნება კი ეს გუნდი ამ მწვრთნელისთვის ზედგამოჭრილი ადგილი? რა ჩვენი საქმეა ვილაცისთვის რჩევის მიცემა, თუმც „ზესტაფონი“ სპეციფიკური გუნდია, იქ ყველა ვერ შეძლებს მუშაობას, „ზესტაფონში“ მწვრთნელობას განსაკუთრებული უნარ-ჩვევები სჭირდება და რაც არ შეგიძლია, იმას არ უნდა შეეჭიდო.

შევარცხვინე ის მწვრთნელი, ვისაც მწვრთნელობა არ ენატრება და მინდვრის სურნელს სახლში ჯდომა თუ კაბინეტი ურჩევნია. გეგუჩაძეს მოედანთან დგომა მოენატრა, ოთხი წელი და რვა თვე ცოტა არ არის უნარიანი, ამბიციური და საინტერესო მწვრთნელისთვის.

როგორც გეგუჩაძე ერიდება რაგინდარა გუნდში მისვლას, ისე კლუბების პრეზიდენტებიც ერიდებიან გეგუჩაძისთვის სამსახურის შეთავაზებას. ეს მწვრთნელი ვერ იქნება „საჩუქარი“ ისეთი პრეზიდენტისთვის, გუშინ ბიზნესმენი თუ საფეხბურთო აგენტი რომ იყო, ახლა კი რა უნდა, თვითონაც არ იცის.

„ზესტაფონში“ იყო მცდელობა, კლუბის განვითარების პოლიტიკა შეექმნათ. გუნდში აიყვანეს არაერთი კარგი მონაცემების ახალგაზრდა ფეხბურთელი, კონსულტანტად უხმეს გაიოზ დარსაძეს, ვინც იმ დროისთვის საქართველოს, ფაქტობრივად, ყველა ნაკრებს ხელმძღვანელობდა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა - „ზესტაფონი“ მოწინავე ქართული გუნდი კი შეიქნა, მაგრამ წინ ვერ წავიდა - გამოცდილი ფეხბურთელები, კარგი ახალგაზრდები და ლეგიონერები - თითქოს, კარგი სინთეზი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმას ეყო, რომ გუნდი სამჯერ გავიდა საქართველოს თასის ფინალში და ერთხელ დაეუფლა ამ ჯილდოს. ცხადია, ეს ცოტა არ არის, მაგრამ „ზესტაფონი“ ვერ გახდა ისეთი გუნდი, ევროსარბიელზე რაიმე პერსპექტივა რომ ექნებოდა. რა როგორ ხდებოდა „ზესტაფონში“, ამაზე ახლა არ შევჩერდებით, უბრალოდ, ამ კლუბმა ვერ შეიქმნა ჯანსაღი ორგანიზმის იმიჯი - კონფლიქტები, მითქმა-მოთქმა, ერთ-ერთი ლეგიონერის მეუღლის გაუპატიურება, რასისტული ბრალდებები (შეიძლება, უსაფუძვლო)... თუ კონტრაქტს არ გააგრძელებ, სათადარიგოთა სკამზე დაჯდები, თუ ვილაცას შენი ნათქვამი არ მოეწონება, ვარჯიშებზეც კი არ დაგიშვებენ...

მაგრამ ბევრი რამ იცვლება და ჰა, გეგუჩაძე, შესაძლოა, „ზესტაფონის“ თავკაცი გახდეს. ეს ის გეგუჩაძეა, 90-ან წლებში „დინამოს“ მესამე მწვრთნელი რომ იყო, იოჰან ბოსკამპის ხანმოკლე ეპოქაში კი მისი თანაშემწე გახდა „დინამოშიც“ და საქართველოს ნაკრებშიც, ხოლო როცა „დინამოს“ ივო შუშაკი თავკაცობდა, კლუბის მაშინდელმა მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ის „დინამოს“ მეორე გუნდში მიიწვია. „დინამო 2“ მალე პირველ ლიგაში დიდი ანგარიშით ამარცხებდა მეტოქეებს, არაფრით არ ჰგავდა „დინამოს“ პირველ გუნდს, სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა - შეტევა და ავანტიურა...

ამასობაში, პეტრიაშვილმა დაარწმუნა „დინამოს“ ხელმძღვანელობა, რომ თუ გეგუჩაძე შეცვლიდა შუშაკს, ეს უფრო იაფი დაჯდებოდა და გუნდს შედეგიც უკეთესი ექნებოდა. პეტრიაშვილს დაუჯერეს და გეგუჩაძის გაწვრთნილი „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა - ასეთი შედეგი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში სხვას არ ჰქონია.

მაგრამ გეგუჩაძეს „დინამოში“ შიდაოპოზიცია გაუჩნდა. კლუბის რამდენიმე ხელმძღვანელის გარდა, ის თვალში არ მოუვიდა კლუბის ადმინისტრაციის რამდენიმე თანამშრომელსაც. შუშაკის დროს პრემიას, მწვრთნელ-ფეხბურთელების გარდა, კლუბის სხვა თანამშრომლებიც ილებდნენ, გეგუჩაძემ კი წესები შეცვალა - პრემია მხოლოდ იმას ეკუთვნის, ვინც უშუალოდ გუნდის მომზადებაში მონაწილეობსო...

ძველ ამბებს ნუღარ გავიხსენებთ. რაც გავიხსენეთ, ალბათ, ისიც საკმარისია იმისთვის, კარგად რომ გავერკვეთ საქმის არსში. ცხადია, გეგუჩაძემ „დინამოში“ კარგი გამოცდილება მიიღო იმაშიც, თუ როგორ უნდა მოიქცეს მოედნის მიღმა და თუ „ზესტაფონში“ მივა, ეს გამოცდილება იქაც ძალიან გამოადგება.

გეგუჩაძეზე ფეხბურთის ფედერაციაშიც ფიქრობენ. ის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის პოსტზე პეტარ შეგრტის ერთ-ერთ შემცვლელად მოიაზრება, თუმც საქმე ამის იქით არ წასულა, ფედერაცია რატომღაც ძალიან აჭიანურებს ამ საკითხის გადაწყვეტას და გეგუჩაძესაც ლოდინი ყელში ამოუვიდა - „ზესტაფონისკენ“ იხედება. კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია და გია გეგუჩაძე - რა უნდა ჰქონდეთ მათ საერთო?.. თუ „ზესტაფონი“ და გეგუჩაძე სარკეში ერთად ჩაიხედავენ, იქნებ, სწორი გადაწყვეტილებაც [illegible]იიღონ...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ — გიორგი ადამია

# რუმინეთი, უკრაინა ან შვეიცარია

## პროტესტის ნიშნად, ფანები სტადიონზე აღარ დადიან

ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველი ფორვარდი გიორგი ადამია ზამთარში კლუბს შეიცვლის. ამის თქმა უკვე დანამდვილებით შეიძლება. თუმცა კი არ ვიცით, სად გააგრძელებს კარიერას. ბაქოური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ილგარ გულუზადემ გაამხილა, რომ ქართველი ფორვარდით რუმინეთის კლუბი „ოცელულია“ დაინტერესებული. გიორგი თბილისში ჩამოვიდა. ჩვენი საუბარი ძირითადად მის მომავალს შეეხო...

მანამდე კი გეტყვით, რომ „ოცელულის“ გარდა, წლეულს ადამიას რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე მახაჩყალის „ანჟი“ იწვევდა, მაგრამ „ნეფთჩის“ ხელმძღვანელებმა დაღესტნელები უარით გაისტუმრეს. და ეს იმ დროს, როცა „ანჟის“ მეპატრონე მზად იყო, ადამიას ტრანსფერში ნახევარი მილიონი დოლარი გადაეხადა...



**- გიორგი, გვეგონა, რუმინეთში იყავი. თბილისში შენი ჩამოსვლა რას მივაწეროთ?**

- რუმინეთის ვიზისთვის ჩამოვედი, რადგან აზერბაიჯანში საელჩო არ აქვთ.

**- „ოცელული“ კონტრაქტს გთავაზობს თუ მხოლოდ გასინჯვაზეა ლაპარაკი?**

- მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ ზუსტად არც ვიცი, რამდენად რეალური წინადადებაა. სხვათა შორის, სხვა შეთავაზებებიც მაქვს...

**- „ნეფთჩის“ ვიცე-პრეზიდენტის თქმით, რუმინეთში გასასინჯად ყოფილხარ. ამაზე რატომ დათანხმდი?**

- ახლა სხვა რა საქმე მაქვს? ისე, გუნდსაც გააჩნია. ახლა ყველაზე რეალური „ოცელული“ მგონია, მაგრამ რუმინეთში ჩასვლის შემდეგ ვიტყვი, მილირს თუ არა იქ დარჩენა. ჯერ ისიც არ ვიცი, რამდენწლიან კონტრაქტსა და როგორ პირობებს მთავაზობენ.

**- როდის მიემგზავრები?**

- რამდენიმე დღეა, თბილისში ჩამოვედი და მას მერე ვცდილობ, გავარკვიო, მაგრამ რუმინეთის საელჩოში ჯერ ვერაფერი მითხრეს.

**- თუ არ მეშლება, „ოცელული“ ადრეც გიწვევდა...**

- დიახ, ორი წლის წინ მიწვევდა, მაგრამ მაშინ „ნეფთჩისთან“ კონტრაქტი მქონდა და არ გამიშვეს. მეც მერჩივნა დარჩენა.

**- აქეთ აზერბაიჯანი, იქით რუმინეთი. მოკლედ, მენავთობეებს ვერ შორდები...**

- სხვათა შორის, უკრაინის რამდენიმე კლუბიდანაც მივიღე სერიოზული წინადადება. ჩემი მენეჯერი მოლაპარაკებას აწარმოებს და დეკემბრისთვის გაირკვევა, რომელია მისაღები და რომელი - მიუღებელი. მენეჯერი უკრაინელია, სერიოზული კავშირები აქვს.

**- „ნეფთჩი“ საკომპენსაციო თანხას ითხოვს?**

- ითხოვს, მაგრამ რამდენს, ჯერ არ უთქვამთ.

**- თუკი კონტრაქტი გიმთავრდება, საკომპენსაციო თანხა ახალმა კლუბმა რატომ უნდა გადაიხადოს?**

- კონტრაქტი ზაფხულში მიმთავრდება და ამიტომაც ითხოვენ. ისე ვინ გამიშვებს? საკომპენსაციო კი არა, მეშინოდა, მეტი არ მოეთხოვათ.

**- თუკი რამდენიმე კლუბი გიწვევს, აზერბაიჯანელებმა მხოლოდ „ოცელული“ რატომ დაასახელეს? ეს ტრანსფერი მათ ინტერესშია?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „ოცელულიდან“ ბაქოში მიწვევა გამოაგზავნეს და უნდა წავიდე.

**- „ნეფთჩის“ მთავარ მწვრთნელ ჰანს-იურგენ გედესთან არ გისაუბრია? ისე, მაინც რას გერჩოდა?**

- არ მილაპარაკია და სურვილიც არ მაქვს. ეს კაცი საკუთარი თავის მტერია, ყველასთან კონფლიქტი ჰქონდა და რაზე უნდა გვესაუბრა?

**- რუმინულ კლუბებს სახელი აქვთ გატეხილი, პირობების დარღვევა და ფეხბურთელის გაცურება არ ეშლებათ. ერთხელ, ერთ-ერთმა კლუბმა მოთამაშეებს ხელფასის ნაცვლად ღორის ხორცი შესთავაზა...**

- როცა კონტრაქტი გაფორმდება და მისი ასლი ფიფაში გაიგზავნება, მერე ვერავინ ვერ დაარღვევს პირობას. თანაც, მე მყავს მენეჯერი, რომელიც ჩემი მოტყუების უფლებას არავის მისცემს. როცა კონტრაქტი გაქვს, ვერავინ „გადაგაგდებს“. სხვათა შორის, რუმინეთისა და უკრაინის გარდა, წინადადება შვეიცარიიდანაც მივიღე. ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ ბევრი და საინტერესო წინადადებებია.

**- „ნეფთჩის“ დუბლებშიც აღარ ვარჯიშობ და თბილისში ჩამოხვედი. ამას კონტრაქტის დარღვევად არ ჩაგითვლიან?**

- კლუბის ხელმძღვანელობა გავაფრთხილე, რომ ვიზის ასაღებად საქართველოში ვაპირებდი ჩამოსვლას და პრობლემა არ შეუქმნიათ. ეს მეც გავითვალისწინე, ბოლოს ჩემ წინააღმდეგ რომ არ გამოეყენებინათ.

**- ფორმის შენარჩუნებას როგორ ახერხებ?**

- საბუთების მოწესრიგებას ვცდილობ და ამიტომ, ბოლო ორი დღე არ მივარჯიშია. ისე, მინდა, რომელიმე ქართულ კლუბში ვივარჯიშო.

**- ოთხი წელი ითამაშე აზერბაიჯანში და ბოლოს, მადლობის ნაცვლად, კარისკენ მიგითითეს. ძალზე გულსატკენია...**

- ეს ჩემი მიზეზით არ მომხდარა, კლუბი დამემშვიდობა, თორემ ხალხისგან უდიდესი სითბო ვიგრძენი. ფანები ჩვენს მხარეს იყვნენ...

**- მართალია, თითქოს გუნდიდან გაშვებული მოთამაშეების მიმართ სოლიდარობის ნიშნად, ფანებმა სტადიონზე სიარული იუარეს?**

- მართლა ასეა, აღარ დადიან...

**მერაბ მამულაშვილი**






სტუმრობამდე...

# ვიზიტი სელექციისთვის

არგენტინაში ქართულ-არგენტინული გუნდი „ხეარგი“ უკვე ფუნქციონირებს. მას იქაური ცნობილი სპეციალისტი ედუარდო დელგადო ხელმძღვანელობს. ეს გუნდი იმ ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც არგენტინაში სტაჟირებაზე იმყოფებიან. დღეისთვის, ასეთი სულ 10 ჭაბუკი ფეხბურთელია. დეკემბერში „ხეარგს“ კიდევ დაემატებიან ქართველები. სელექცია თბილისში ჩატარდება და მას დელგადოც დაესწრება. მისი ვიზიტი სწორედ სასელექციო მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდება. იგეგმება დელგადოს შეხვედრა სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთანაც.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ | სოსო ქედია

# თუ მიღწეულით დაკმაყოფილდები, წინ ველარ წახვალ

თითქმის წელიწადზე მეტია, სოსო ქედია „ანორთოსისის" თავკაც თემურ ქეცბაიას თანაშემწედ მუშაობს. მაგრამ ამ შემთხვევაში მისი პერსონა სხვა მხრივაც გვაინტერესებს. მოგეხსენებათ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კვიპროსზე იასპარეზებს. ზაურ სვანაძეს მასპინძელთა ნაკრებზე ინფორმაციის შეგროვებას სწორედ ქედია და ქეცბაია შეჰპირდნენ. საინტერესოა, როგორ ახასიათებს ჩვენი რესპონდენტი კვიპროსელ 19-წლამდელებსა და სვანაძის გუნდში გამოძახებულ ანორთოსისელ დათა რიგვავას...

ერთი სიტყვით, „ლელოს" კითხვებს თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი სოსო ქედია პასუხობს...

**- „ანორთოსისის" საქმეები კარგად მიდის, ჩემპიონთა ლიგაში ხართ, წარმოუდგენელი სენსაცია მოახდინეთ... მაგრამ რა ხდებოდა მანამდე? თანაშემწის როლში თავიდან ხომ არ გაგიჭირდათ?**

- თემურის ერთადერთი თანაშემწე ვარ. სამწვრთნელო შტაბში კიდევ ორი კვიპროსელია, ერთი - ფიზიკური მომზადების მწვრთნელია, მეორე კი მეკარეებს ამზადებს. რაც შეეხება სირთულეებს, თავდაპირველად, ენობრივი ბარიერის გამო, ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე კვირას გაგრძელდა. უკვე კარგა ხანია, რაც თავისუფლად, ყოველგვარი პრობლემის გარეშე ვმუშაობ. მეტსაც გეტყვით - კვიპროსის ნაკრებს თბილისში რომ ჰქონდა თამაში, ქეცბაიაც თან ახლდა და იმ პერიოდში გუნდს მხოლოდ მე ვხელმძღვანელობდი.

**- კვიპროსზე ოჯახით ცხოვრობთ?**

- დიახ, ჩემებიც აქ არიან. ორი შვილი მყავს - 12 წლის გიორგი და 7 წლის მარიამი. გიორგი „ანორთოსისის" ბავშვთა გუნდში ეუფლება ფეხბურთს. ცენტრალური ნახევარმცველია... ვნახოთ, იმედი მაქვს, გაამართლებს.

**- ახალი სამწვრთნელო ლიცენზია ხომ არ აგიღიათ?**

- A კატეგორიის სერთიფიკატი მაქვს და როგორც თანაშემწეს, ამ ლიცენზიითაც შემიძლია მუშაობა. PRO-კატეგორიის ლიცენზიის ალება კი მინდა, მაგრამ ჯერ საამისოდ ვერ მოვიცალე. კიევში ან თბილისში, ან სხვა რომელიმე ქვეყანაში ერთი-ორი კვირით რამდენჯერმე მომიწევს ჩასვლა და დროის გამონახვაა საჭირო. ჯერჯერობით, კვიპროსზე ამ ლიცენზიას არ იძლევიან. არ მინდა, საწვრთნელ პროცესს მოვწყდე, ზამთრის ან ზაფხულის პაუზა რომ იქნება, მერე მოვიცლი ლიცენზიისთვის.



სოსო ქედია

**- თემურ ქეცბაიამ კვიპროსულ ფეხბურთში ახალი ისტორია შექმნა. გავიგეთ, მეფედაც მოიხსენიებენო...**

- თემურს აქ აღმერთებენ. მან ეს დაუღალავი და გულმოდგინე მუშაობით დაიმსახურა. სამი-ოთხი წლის განმავლობაში აშენებდა ძლიერ გუნდს და, როგორც ხედავთ, შედეგიც გამოჩნდა.

**- ქეცბაია მხოლოდ ლიგაში მოხვედრით არ დაკმაყოფილდა და ახლა „ანორთოსისს" ჯგუფიდან გასვლის შანსიც აქვს...**

- თუ მიღწეულით დაკმაყოფილდები, წინ ველარ წახვალ. ახლა მხოლოდ ერთ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი - 26 ნოემბერს შინ „ვერდერი" უნდა დავამარცხოთ და ჯგუფიდან გავალთ თუ ვერ მოვიგეთ, ვთქვათ, ფრედ რომ ვითამაშოთ, სატურნირო სიტუაცია ისეთია, შესაძლოა, მეოთხე ადგილზეც კი აღმოვჩნდეთ. ამიტომ, „ვერდერს" აუცილებლად უნდა მოვუგოთ და დიდი იმედი მაქვს, შევძლებთ კიდეც.

**- ასეთი წარმატებების შემდეგ უცხოური კლუბებიდან ქეცბაიაზე, ასე ვთქვათ, მოთხოვნა გაიზარდა. „ნიუკასლის" გარდა, სხვა წინადადებებიც ხომ არ ჰქონია?**

- ამაზე თავად არ საუბრობს და ვერაფერს გეტყვით. ერთი კი ვიცი, რომ „ნიუკასლის" გარდა, მაისში თემურს ათენის აეკ-ის ხელმძღვანელობაც დაუკავშირდა. თუმცა მაშინ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით და ქეცბაიამ უარი თქვა. არც ის გამიკვირდება, ხვალ „პანათინაიკოსიდან", „ოლიმპიაკოსიდან" ან სხვა ცნობილი კლუბიდან რომ დაუკავშირდნენ და კონტრაქტი შესთავაზონ... მაგრამ ჩვენ ახლა სხვა საზრუნავი გვაქვს - ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა და მთავარი კვიპროსული ტიტულის დაცვა.

**- თუ „ანორთოსისმა" ეს შეძლო, კლუბს ქეცბაიას შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება...**

- მართალია, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობთ.

**- 22 ნოემბერს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები კვიპროსზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ რაუნდს ჩაატარებს. ზაურ სვანაძემ მასპინძელთა გუნდზე ინფორმაციის მოპოვება ქეცბაიასა და თქვენ გთხოვათ...**

- კვიპროსის 19-წლამდელთა ნაკრებზე უკვე ბევრი რამ ვიცით. ძლიერი გუნდი არ არის, მაგრამ მასპინძელია და ფხიზლად უნდა ვიყოთ, მოდუნება არ შეიძლება. თამაშობენ 4-4-2 ან 4-5-1 სქემით, ანუ გააჩნია მეტოქესა და იმას, თუ რა კონტინგენტი ჰყავს მწვრთნელს. სვანაძის გუნდმა ნამდვილად უნდა მოუგოს ამ ნაკრებს და მჯერა, ასეც იქნება...

**- ჩვენი გუნდი ახლა იტალიაშია, სადაც პირველ საკონტროლო მატჩში ტოსკანის რეგიონულ ნაკრებს 2:0 მოუგო. ანორთოსისელი რიგვავა სასტარტოში იყო. როგორ დაახასიათებდით მას?**

- „ანორთოსისის" დუბლებში სტაბილურად თამაშობს, თუმცა მთავარ გუნდთან ერთად ემზადება ხოლმე. დათა საიმედო მარჯვენა მცველია, ტექნიკურია, სისწრაფეც აქვს, შეტევების წამოწყებაც ეხერხება, შრომისმოყვარეა... საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს და კარგი ფეხბურთელი დადგება.

**- მთავარ გუნდში მისი გადაყვანა ჯერ ადრეა?**

- ეს სეზონი მოსამზადებლად უნდა გამოიყენოს. ვნახოთ, ზაფხულში როგორ ფორმაში იქნება. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

დავით ცაბაძე

ინციდენტი

## ქართველი ფეხბურთელი საზღვარზე დააკავეს...

მავანი ქართველი ფეხბურთელი ბელარუსისა და უკრაინის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას მესაზღვრეებმა დააკავეს, - ეს ცნობა გუშინ ერთ-ერთმა რუსულმა ვებგვერდმა გაავრცელა. როგორც ირკვევა, ქართველი მდინარე დნეპრზე გადასვლას ცდილობდა. მისი ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება. მოდით, ბელარუსის სახელმწიფო სასაზღვრო კომიტეტის პრესსამსახურის უფროსის **ალექსანდრ ტიშჩენკოს** განმარტებას გავეცნოთ:

*„დაკავებული, რომელიც აცხადებს, რომ ქართველი ფეხბურთელია, კატერით ცდილობდა მდინარე დნეპრის გადაკვეთას და ბელარუსიდან უკრაინაში გადასვლას. არადა, დაკავებული საქართველოს მოქალაქეა და სრულიად ლეგალურად ჩამოფრინდა მინსკში, თან რეგისტრაციაც კი გაიარა. რეგისტრაციის გავლის შემდეგ მას თავისუფლად შეეძლო, ბელარუსის საზღვარი გადაეკვეთა და წესების დაცვით გადასულიყო უკრაინაში, ამისთვის ვიზა არ სჭირდებოდა, მაგრამ ის მაინც უკანონოდ შეეცადა საზღვრის გადაკვეთას. ბუნებრივია, ამაზე კითხვა გაგვიჩნდა, მაგრამ დაკავებულმა გაუგებარი პასუხი გაგვცა. ის აცხადებს, რომ უკრაინის ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბში მოწყობას დაჰპირდნენ და ამიტომაც ცდილობდა უკრაინაში გადასვლას. დაკავებული 1982 წელსაა დაბადებული".*

დავით ცაბაძე

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი**

**მიხეილ პირაევი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## საქართველოს ჩემპიონატი

I ლიგა. XIII ტური

### აღმოსავლეთი

**გაგრა 2–კახეთი 1:0**

1:0 ლალიანი (31)

*გაგრა 2:* გ. ნაჭყებია, ხელაძე, ქერივიშვილი, სეფიაშვილი (65. ფანცხავა), სეთურიძე (57. კილაძე), ჩხაიძე (57. ოქრიაშვილი), გედენიძე, ლალიანი, მესხი ტეტუნაშვილი, ჩარგეიშვილი

*სათადარიგოები:* ხომერიკი, აბაშიძე, ჯალიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ვლადიმერ ხაჩიძე

*კახეთი:* კობრიაშვილი (68. ქუფარაშვილი), ხიდეშელი, მურველაშვილი, ხუმარაშვილი, მჭედლიშვილი, გენგაშვილი (65. ხამხაძე), მელიქიშვილი, კობაიძე, ლ. აბდულაევი, იმერლიშვილი (16. ხუციშვილი), ტეტიაშვილი

*სათადარიგოები:* ტარულაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გივი კობაიძე

*გაფრთხილებები:* ხუმარაშვილი, ოქრიაშვილი, მელიქიშვილი, ხელაძე

*არბიტრი:* გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ვიტ ჯორჯია 2–პერეთი 1:0**

1:0 კვალინაძე (52)

*ვიტ ჯორჯია 2:* მიქაბერიძე, გოგიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, ფურცელაძე, დვალაშვილი, კვალინაძე, ვასაძე, სვანიძე (66. გ. იაშვილი), ლუჭაშვილი (46. ზაქრაძე)

*სათადარიგოები:* იოსელიანი, ცხოვრებაძე, კახაძე, ლეინიაშვილი, ლურბელეიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* მერაბ კოჭლაშვილი

*პერეთი:* ბილიხოძე, თანდაშვილი, ლომიძე, ფარულავა, ხარაიშვილი, ყორლანაშვილი (67. ბ. ფოფხაძე), შ. ლობჟანიძე, კურტანიძე, ი. მაჭავარიანი, ზ. ფოფხაძე, თოფურია

*სათადარიგოები:* მატვიენკო, ჭილაძე, მერმანიშვილი, გრიგოლაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ფოფხაძე

*გაფრთხილება:* ადამაძე

*არბიტრი:* მ. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**ნ. დინამო–ჩიხურა 0:2**

0:1 ლ. კობახიძე (54), 0:2 ლ. კობახიძე (78, პ)

*ნ. დინამო:* გაბრიჩიძე, დაბრუნდაშვილი, ბოკუჩავა, კალაძე, გურაბანიძე, კაკულია (80. ბურჭულაძე), ლვთისავრიშვილი, ნეფარიძე, ა. შენგელია (60. გაბუნია), ლაბარტყავა (69. ცინცაძე), ქავთარაძე

*სათადარიგოები:* ედიშერაშვილი, დევიძე, კიკალიშვილი, მამარდაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ბარამიძე

*ჩიხურა:* მწყერაშვილი, ზივზივაძე, რ. ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, დოლონაძე (88. ჭილაძე), ზაბახიძე, ჩიკვაიძე, პეტრიაშვილი, ენუქიძე (46. ზ. ნოზაძე), კობახიძე

*სათადარიგოები:* დოლაძე, ხვედელიძე, როგავა, მაჭარაშვილი, ცარციძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

*გაფრთხილებები:* ზივზივაძე, ბარაბაძე, დაბრუნდაშვილი, ბოკუჩავა, გაბუნია, ლვთისავრიშვილი, ცინცაძე

*არბიტრი:* ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**ამერი–დილა 2:0**

1:0 გვაძაბია (8), 2:0 ჩიმაკაძე (67)

*ამერი:* ნადირაშვილი, ხატიაშვილი, გვაძაბია, კაკაბაძე, ელბაქიძე, ცხოვრებაშვილი (72. ბოჯგუა), ბენდელიანი, ლაფერაშვილი, ტიკურიშვილი, ფუტკარაძე (58. ქებაძე), ჩიმაკაძე (79. ბუმბეიშვილი)

*სათადარიგოები:* გვენცაძე, სანიკიძე, ხელაძე, ჯინიკაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ჩიხრაძე

*დილა:* კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, სორდია, თარგამაძე, ჩიხრაძე, ბ. მაჭავარიანი (46. გურეშიძე), მინდიაშვილი (80. ჩერქეზიშვილი), ანდღულაძე (68. ივანაშვილი), ბარამიძე, ფაილოძე, ებანოიძე

*სათადარიგოები:* სურმავა, დაჩანიძე, თოდუა

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა მეტრეველი

*გაფრთხილებები:* ებანოიძე, სორდია

*არბიტრი:* ვ. გუმბერიძე (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 12 | 9 | 2 | 1 | 26-7 | 29 |
| 2. ამერი | 12 | 8 | 2 | 2 | 22-7 | 26 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 12 | 6 | 5 | 1 | 19-5 | 23 |
| 4. დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 5. დილა | 12 | 5 | 4 | 3 | 16-10 | 19 |
| 6. გაგრა 2 | 12 | 4 | 2 | 6 | 18-23 | 14 |
| 7. სიონი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 16-31 | 12 |
| 8. თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-18 | 11 |
| 9. კახეთი | 12 | 2 | 2 | 8 | 6-22 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 12 | 1 | 4 | 7 | 12-21 | 7 |
| 11. პერეთი | 11 | 1 | 3 | 7 | 7-19 | 6 |

**მომდევნო ტური**

**21 ნოემბერი, პარასკევი**

პერეთი-ნორჩი დინამო
ჩიხურა-თბილისი
დინამო 2-ამერი
დილა-გაგრა 2

**22 ნოემბერი, შაბათი**

კახეთი-სიონი 2

*ვიტ ჯორჯია 2 ისვენებს*

### დასავლეთი

**სამტრედია–მეშახტე 4:1**

1:0 მ. კაკალაძე (8), 2:0 ეცადეიშვილი (10), 3:0 ეცადეიშვილი (26), 4:0 მ. კაკალაძე (61), 4:1 ავალიშვილი (78)

*სამტრედია:* ი. დ. შენგელია, გოგია, სამსუმშვილი, კვესეიშვილი, ლ. მახარაძე, ბაკურაძე, ჩუკბუნიანი (67. ნინუა), ეცადეიშვილი, ადეიშვილი, ჩომახიძე, მ. კაკალაძე (62. სუნიაევი)

*სათადარიგოები:* კეკელიძე, სალდაძე, ი. გ. შენგელია, თელია

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი

*მეშახტე:* თორთლაძე (73. გიორგაძე), დონაძე, ბოჭორიშვილი, წერეთელი, გოგუა, გ. ქობალია (18. გვენეტაძე), ჯიშიაშვილ, ჭკუასელი, მაჩალაძე, ლომთაძე (73. კალანდაძე), ავალიშვილი

*სათადარიგოები:* ბ. გვეტაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

*არბიტრი:* ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ბაია–ტორპედო 1:0**

1:0 რაფავა (51)

*ბაია:* ივარდავა, პაჭკორია, ჟვანია, კეკელაშკირი, კუტალია (72. ქაშაკაშვილი), წურწუმია (60. გუგუჩია), რაფავა (88. ცხვაია), ვართაგავა, ძალამიძე, ქირია, [illegible]ვირავა

*სათადარიგოები:* მაქაცარია, ლ. ქობალია, ჩანგელია, ქანთარია

*მთავარი მწვრთნელი:* ჰერბერტ ცანკერი

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, დარსაძე, ხარავა, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, დანელია (60. ჩხეტიანი), ბე[illegible]არაშვილი, გურული, კობერიძე (80. კ[illegible]ტავა), ტოლიძე (68. ა. ქობალია), იმედაძე

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, ნიქორიძე, ტორაძე, მეტონიძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახა კარანაძე

*გაფრთხილებები:* წურწუმია, მიგინეიშვილი, ბესარაშვილი, ა. ქობალია

*არბიტრი:* ხ. გაგნიძე (გორი)

**ზესტაფონი 2–მარტვილი 0:2**

0:1 ციცხვაია (36), 0:2 ციცხვაია (69, პ)

*ზესტაფონი:* ძაძამია, ხიხაძე (70. კვირიკეიშვილი), ზ. ლობჟანიძე, ღონღაძე (46. სუხიაშვილი), მაკარიანი, ლ. გაბრიჭიძე, ბუკია, ბერუაშვილი, გორგიაშვილი, ბერიძე, ჩიხლაძე (77. ჭანკოტაძე)

*სათადარიგოები:* ბოჭორიშვილი, კამლაძე, ხაჩიძე, ლაბაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია ნადირაძე

*მარტვილი:* კოდალაევი, ჩხიკვაძე (46. გოგოლაძე), ფარცვანია, ვაშაკიძე, კვიტატიანი, ენდელაძე (46. ბერიშვილი), პაპადოპულოსი, ლ. ტორაძე (65. კონორია), ჩალაძე, კირკიტაძე, ციცხვაი.

*სათადარიგოები:* ცაგარეიშვილი, შეროზია

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

*გაფრთხილებები:* ზ. ლობჟანიძე, ბუკია, ჩიხლაძე, ბერიძე, პაპადოპულოსი, ჩალაძე

*არბიტრი:* ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ხობი–ბათუმი 1:0**

1:0 გაგუა (41)

*ხობი:* ხარძეიშვილი, კვირველია, ჯამბურია, ფიფია, გ. გოგენია, ალანია (65. ლატარია), ლეფსაია, კ. გოგენია, ფირცხალავა, გაგუა, ღლონტი (80. შონია)

*სათადარიგოები:* ჭურღულია, ჩაჩიბაია, გრიგოლია, ჩიტაია, სართანია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

*ბათუმი:* თოთლაძე, გოგუაძე, გოგიტაური, ფარტენაძე, დემურაძე, გოგიტიძე, ბ. მახარაძე, ბალაძე (58. აბაშიძე), კალანდაძე (83. ტულუში), მალაზონია (58. ზოიძე), გორჯელაძე

*სათადარიგოები:* მჭედლიძე, ქადიძე, ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

*გაფრთხილებები:* მახარაძე, დემურაძე, თოთლაძე

*არბიტრი:* ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ჭიათურა–კოლხეთი 3:1**

1:0 სევასტოპულო (21), 2:0 სევასტოპულო (27), 3:0 მიშველიძე (42), 3:1 ბაკარანძე (85, პ)

*ჭიათურა:* ბადურაშვილი, ბრეგვაძე, ბრუსლი, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, ტყემალაძე (87. რობაქიძე), ნდონი, ვაშაძე, სარალიძე (71. ცერცვაძე), სევასტოპულო, მიშველიძე (84. იობიძე)

*სათადარიგოები:* ტატაშიძე, თ. მიშველიძე, ლაშხი

*მთავარი მწვრთნელი:* გიგლა იმნაძე

*კოლხეთი:* შენგელია, ლუსტა (44. ლემონჯავა), სიჭინავა, ნარსია (52. მეგრელიშვილი), ცხვიტარია, აბურჯანია, ციკოლია, გვიჩია, გელაჭეიშვილი, გვალია (44. ქანდავაძე), ბაკარანძე

*სათადარიგოები:* ჩემია, გეგელია

*მწვრთნელი:* ნუგზარ თვარაძე

*გაფრთხილებები:* გაფრინდაშვილი, სიჭინავა

*არბიტრი:* ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 12 | 9 | 2 | 1 | 21-4 | 29 |
| 2. სამტრედია | 12 | 8 | 1 | 3 | 24-10 | 25 |
| 3. მარტვილი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-8 | 24 |
| 4. კოლხეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 16-10 | 20 |
| 5. ჭიათურა | 12 | 6 | 1 | 5 | 21-16 | 19 |
| 6. ხობი | 12 | 5 | 3 | 4 | 11-14 | 18 |
| 7. ზესტაფონი 2 | 12 | 4 | 2 | 6 | 11-17 | 14 |
| 8. ტორპედო 2008 | 12 | 4 | 1 | 7 | 8-9 | 13 |
| 9. გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 15-21 | 12 |
| 10. ბათუმი | 12 | 2 | 3 | 7 | 12-22 | 9 |
| 11. მეშახტე | 12 | 0 | 1 | 11 | 7-32 | 1 |

**მომდევნო ტური**

**21 ნოემბერი, პარასკევი**

მარტვილი-ხობი
ბათუმი-ბაია
ტორპედო 2008-სამტრედია
მეშახტე-ჭიათურა

**22 ნოემბერი, შაბათი**

კოლხეთი (ფ)-გურია

*ზესტაფონი 2 ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# ღმერთო ჩემო, ლემპარდიც...

## კიდევ კარგი, დაცვას ტერი გაამაგრებს

**ფაბიო კაპელოს** პრობლემები მოუმრავლდა. რამდენიმე დღის განმავლობაში გაცნობებდით იმ ფეხბურთელების ვინაობას, რომელთაც იტალიელი სპეციალისტი ეტაპობრივად კარგავდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ნაკრებს ვერ დაეხმარებოდნენ **რიო ფერდინანდი** და **უეინ რუნი**. შემდეგ გუნდს გამოაკლდნენ **ჯო ჰარტი** და **სტივ ჯერარდი**. ასეთი დანაკლისი ნებისმიერ გუნდს, თავისთავად, მძიმე დღეში ჩააგდებდა. ბედმა ესეც არ იკმარა - დაშავდა **ფრენკ ლემპარდიც**. უკვე დაიწერა ბრიტანულ პრესაში და ჩვენც ვეთანხმებით შეფასებას: კაპელოს ექსპერიმენტული გუნდის გაყვანა მოუწევს გერმანელთა წინააღმდეგ.

გუშინ ინგლისის ნაკრების ექიმებმა დეტალური სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს „ლივერპულის" კაპიტანს. თავად ფეხბურთელი იმედს გამოთქვამდა, რომ სამედიცინო შტაბი მას მწვანე სინათლეს აუნთებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სტივი სამშობლოში დარჩება. იმავე კომისიამ ყურადღებით გამოიკვლია ლემპარდის მდგომარეობაც, რომელსაც მოულოდნელად ბარძაყი წამოსტკივდა. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის ტრავმა „ვესტ ბრომვიჩთან" მიღებული დაზიანების ბრალი ყოფილა. ექიმებმა მასაც რამდენიმე დღის დასვენება გამოუწერეს. გამოდის, რომ ინგლისის ნაკრებს ნახევარდაცვის ცენტრში მსოფლიო ფეხბურთის ორი გამორჩეული ოსტატი დააკლდა. ნაკრების თავკაცმა დაშავებული ვარსკვლავების შემცვლელებად ვესტჰემელი ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** და ფულჰემელი **სკოტ ბულარდი** გამოიძახა.

მოგახსენებთ კიდევ ერთ ტრავმირებულზე. „მანჩესტერ სიტის" 21 წლის კარის დარაჯი ჯო ჰარტი „ჰალ სიტისთან" შეხვედრის დებიუტშივე დაშავდა – მუხლის მყესები დაიზიანა. ექიმებმა მას ადგილზე გაუწიეს სამედიცინო დახმარება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ფეხბურთელი თამაშს ვერ გააგრძელებდა. ჰარტის ნაცვლად შეხვედრაში **კასპარ შმაიხელი** ჩაერთო. გუშინ გვიან სალამოს ტრავმატოლოგებმა მკურნალობისთვის საჭირო დრო განსაზღვრეს: ჯო მინდორს დეკემბრის მეორე ნახევარში დაუბრუნდება. სასიხარულოა, რომ მეორე „არისტოკრატი" ვარსკვლავი **ჯონ ტერი** გერმანიასთან თამაშისთვის მწყობრში იქნება. გუშინ ლაპარაკი იყო, რომ კაპელოს ისიც დააკლდებოდა.

მოდით, ახლა ის ფეხბურთელები მოვიხსენიოთ ორიოდე სიტყვით, რომლებიც ნაკრების რიგებში ვარჯიშობენ. საყოველთაო ყურადღების ქვეშაა მოქცეული „ტოტენჰემის" თავდამსხმელი **დარენ ბენტი**. რუნისა და **ოუენის** არყოფნაში, მთავარი სიმძიმე ალბათ მის კისერზე გადაივლის. ბენტმა იმედი გამოთქვა, რომ მას ძირითად შემადგენლობაში დააყენებენ და თავის გამორჩენის შესაძლებლობას მისცემენ. *„ყოველთვის სასიამოვნოა გერმანიის ნაკრებთან შეხვედრა. ვგრძნობ, რომ გულშემატკივრებისთვის დასამტკიცებელი ძალზე ბევრი მაქვს. როცა შეხვედრის წინ ამხელა აჟიოტაჟია ატეხილი, თამაში ყოველთვის განსაკუთრებული გამოდის ხოლმე. ვიყო აქ, სადაც ახლა ვარ და დავიცვა ჩემი ქვეყნის ინტერესები - რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა. შეიძლება ითქვას, რომ მძიმე ვარჯიშები გვაქვს. უფრო მძიმე ვიდრე კლუბში, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ აქ მოვხვდი. ამაზე მეტზე ცხოვრებაში არ მიოცნებია. თავდასხმაში მარტო თამაშს დიდი ხანია, მივეჩვიე. დიდმა პასუხისმგებლობამ ხასიათი განმიმტკიცა. შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ მართლა მაღალი დონის ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი. თუკი გოლების გატანას სტაბილურად გავაგრძელებ, ნაკრებშიც რეგულარულად ვითამაშებ"*. შეგახსენებთ, რომ დარენ ბენტი სოლიდური პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს. უკანასკნელად ის ჯერ კიდევ **სტივ მაკლარენმა** მიიწვია. კაპელოს ხელში კი ის ეროვნული გუნდის საპატიო კვართს პირველად მოირგებს. პრესის წარმომადგენლები მასთან ინტერვიუს აღებისას სწორედ მაკლარენისა და კაპელოს შედარებით დაინტერესდნენ. *„განსხვავება თვალში საცემია. კაპელოს ხელში ვარჯიში ბევრად უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე ტარდება. პროგრესი აშკარაა,"* – განაცხადა მან.

ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ახლად გახურებულ სეზონში ისეთი დაძაბული შეხვედრის დანიშვნამ, როგორიც გერმანიასთან თამაში შეიძლება აღმოჩნდეს, იმ პრემიერლიგური კლუბების თავკაცთა აღშფოთება გამოიწვია, რომელთაც ნაკრებში ფეხბურთელები ჰყავთ მივლენილი. ბენტი არ ეთანხმება მწვრთნელების მიდგომას: *„შეიძლება ჩემს სიტყვებს არც ერთი მწვრთნელი არ დაეთანხმოს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: სანაკრებო ფეხბურთი ფეხბურთელებში ყოველთვის უფრო დიდ მოტივაციას აღვივებს, ვიდრე საკლუბო თამაშები. ამაზე მეტი პატივი მართლა არ არსებობს"*.

P.S. როგორც წუხელ გვიან ღამით გახდა ცნობილი ინგლისელთა რიგებს თეო უოლკოტიც გამოაკლდა.

**შალვა ბიბილაშვილი**



ინგლისის ნაკრებისთვის ჯერარდისა და ლემპარდის არყოფნა დიდი დანაკლისია

არგენტინის ნაკრები

# დიეგო იწყებს!

## მარადონა პირველივე მატჩში ძველ მტერს შეხვდება

დღეს **დიეგო მარადონა** არგენტინის ნაკრებში სამწვრთნელო კარიერას იწყებს. ლეგენდარული ფეხბურთელის ახალ ცხოვრებაზე ძალიან ხშირად ვწერთ ხოლმე. შესაძლოა, ვინმეს თავი მოვაბეზრეთ, მაგრამ ეს ისეთი მოვლენაა, გვერდს ვერ ავუვლით. „ალბისელესტე" გლაზგოში შოტლანდიასთან სათამაშოდ 18 ნოემბერს გამთენიისას ჩავიდა. იმავე დღეს მარადონამ ბოლო ვარჯიში გამართა. ბოლო ბრიტანელებთან თამაშის წინ, თორემ, ეს მისი პირველი სამუშაო დღე გახლდათ. ევროპელი და არგენტინელი ჟურნალისტები გვატყობინებენ, რომ დიეგოს განსაკუთრებული და არნახული ჯერ არაფერი გაუკეთებია. ის ბიჭებთან ერთად ვარჯიშობდა და ძალიან ბევრს ლაპარაკობდა. მარადონას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ფეხბურთელებთან კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მისი შეძახილები ტრიბუნებზეც კი ისმოდა. ყველაზე დასამახსოვრებელი ერთი ფრაზა იყო: *„მე ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვოდი, მაგრამ შემდეგ სამოთხეში მოვხვდი. თქვენც ეს გ ზა უნდა გაიაროთ, თორემ გაგიჭირდებათ."*

„ალბისელესტეს" ვარჯიშის შემხედვარე კაცი მაშინვე მიხვდებოდა, რომ მარადონა გუნდს 4-4-2 სისტემით ათამაშებს. ყოველ შემთხვევაში, დიეგომ ამ სისტემაზე მუშაობას საკმაო დრო დაუთმო. ვარჯიშის დასრულების შემდეგ მან ხანმოკლე პრესკონფერენცია გამართა. სამხრეთამერიკელთა დამრიგებელმა განაცხადა, რომ შოტლანდიასთან ამხანაგურ მატჩს ის ძალიან სერიოზულად ეკიდება და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სადებიუტო დაპირისპირება მოიგოს.

მარადონასა და **ტერი ბატჩერის** გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა. ბატჩერი ახლა შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა. 1986 წელს კი არგენტინასთან დაუვიწყარ მატჩში ინგლისის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იყო და ღმერთის ხელით გატანილი გოლი საკუთარი თვალით იხილა. ბატჩერი იმ ეპიზოდს დღემდე არ ივიწყებს და დიეგოსთან კიდევ ერთხელ შეხვედრის წინ აცხადებს: *„მარადონას მაშინ სიმართლე რომ ეთქვა, იმ თამაშს აღარ გავიხსენებდი, მაგრამ დიეგომ მომატყუა, მოვიდა და თავხედურად განმიცხადა, გოლი თავით გავიტანეო. როგორი მოსასმენი იყო?! საკუთარი თვალით დავინახე, რომ ბურთს ხელი დაარტყა, ის კი უცოდველი ადამიანის როლს თამაშობდა. მაშინ ვთქვი, მარადონა არაკაცია-მეთქი. ამ ტყუილს მას არასოდეს ვაპატიებ. მას შემდეგ 22 წელი გავიდა, მაგრამ ტკივილი არ გამნელებია."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



დიეგო მარადონამ არგენტინის ნაკრები სელტიკ პარკზე ავარჯიშა

რეალი



კიკე სანჩეს ფლორესი

# შუსტერს კიკე ფლორესი შეცვლის?

## ფლორენტინო პერესი კალდერონს ძირს უთხრის

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ **ბერნდ შუსტერს** თანამდებობა შეუნარჩუნეს. **რამონ კალდერონმა** და **პრედრაგ მიატოვიჩმა** მას 5-ტურიანი ვადა მისცეს. თუ მომდევნო ხუთი შეხვედრის შედეგი არადამაკმაყოფილებელი იქნება, გერმანელს, ალბათ, ეშმაკიც ველარ უშველის. როგორც ჩანს, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას შუსტერის გამოცოცხლებისა და სასწაულის არ სჯერა და მისი მემკვიდრის მოძიებაზე მუშაობას ამთავითვე იწყებს. გუშინ ესპანური გაზეთები რომ გენახათ, პირველ გვერდებზე **კიკე სანჩეს ფლორესის** ფოტოებს დაინახავდით. პირენეელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ „რეალი" „ვალენსიის" ყოფილ დამრიგებელთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მოგეხსენებათ, სანჩესი ახლა „ბენფიკას" ავარჯიშებს. მაგრამ მას არაერთხელ უთქვამს, რომ ესპანეთში დაბრუნება სურს. „რეალზე" კარგი ვარიანტი რა უნდა იყოს. ამიტომ სენიორ კიკე ფლორესმა ესპანურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციით გამოწვეული სიხარული ვერ დამალა. მან „დიარიო ასის" კორესპონდენტს გაუმხილა, რომ სამეფო კლუბს დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდა. თუმცა ახალგაზრდა მწვრთნელმა განაცხადა, სერიოზული მოლაპარაკებები არ დაწყებულაო.

„დიარიო ასის" სტატიის ავტორმა სენიორ შუსტერთან სცადა დალაპარაკება. მას აინტერესებდა გერმანელი ფლორესის შესაძლო დანიშვნაზე რას ფიქრობდა, მაგრამ რესპონდენტისგან ცივი უარი მიიღო, ჭორებსა და სისულელეებზე არ ვლაპარაკობო. და მაინც, „რეალთან" დაახლოებული ჟურნალისტები სრული სერიოზულობით აცხადებენ, რომ შუსტერი ახალ წლამდე ვერ მიატანს და მას სწორედ კიკე ფლორესი შეცვლის.

ორშაბათს პრედრაგ მიატოვიჩმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას ორი საათის განმავლობაში „რეალში" არსებული სიტუაციის შესახებ ესაუბრა. გენერალური დირექტორი შეეცადა გულწრფელად ესაუბრა და ქომაგების კეთილგანწყობა მოეპოვებინა. ის პრესკონფერენციიდან კმაყოფილი წავიდა, მაგრამ მეორე დღეს **ფლორენტინო პერესმა** ისეთი ოინი ჩაატარა, ესპანური გიგანტის ამჟამინდელი ხელმძღვანელის ყველა მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. მაროკოში სიღარიბესთან ბრძოლის ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მასშტაბური ღონისძიება გამართა. არაბულ ქვეყანაში **ზინედინ ზიდანი, რონალდო** და ფლორენტინო პერესი ჩავიდნენ. წინასწარ განსაზღვრული პროგრამის გარდა, მათ სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდაც მოიცალეს. „რეალის" ექსპრეზიდენტმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და ამჟამინდელ ხელისუფლებას სალანძღავი სიტყვები უძღვნა. სენიორ პერესის აზრით, რამონ კალდერონი არაკომპეტენტური, ამბიციური და ეგოისტი ადამიანია. ფლორენტინოს ზიდანმაც დაუჭირა მხარი. მართალია, კალდერონი მას უშვერი სიტყვებით არ ულანძღია, მაგრამ ის კი თქვა, რომ პერესი „რეალის" ხელისუფლებაში თუ დაბრუნდება, ფეხბურთში მეც დავბრუნდებიო. ძველი გვარდიის წარმომადგენლების რამდენიმე წინადადება საკმარისი გახდა იმისთვის, რომ რამონ კალდერონის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაცემულიყო. ყველა გამოკითხვის თანახმად, გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა, ამჟამინდელი პრეზიდენტის მომხრეა. თავად კალდერონი კი ამბობს, რომ ფლორენტინო პერესი ავანტიურისტი ადამიანია და სამეფო კლუბში სიტუაციის არევით პოპულარობის მოხვეჭას ცდილობს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვარსკვლავი

# ეტოო: შესაძლოა, კარიერა მარსელში დავასრულო

**სამუელ ეტოოს** საზოგადოება არაორდინარული განცხადებებითა და ასეთივე საქციელით იცნობს. მის ამა თუ იმ გამოსვლას სერიოზული სკანდალი ხშირად მოჰყოლია. კამერუნელი ფორვარდი კლუბის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებასაც არ ერიდება და ამ კაცის მთავარი ღირსება არა მრავალი გოლი, არამედ თავისუფლების სიყვარულია. ეტოო ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს ხოლმე. ამჯერად სამუელმა კიდევ ერთი მოულოდნელი განცხადებით დაგვამახსოვრა თავი: *„თუ ვინმე ფიქრობს, რომ „ბარსელონაში" ვაპირებ კარიერის დასრულებას, ძალიან ცდება. კატალონიურ გუნდში არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს, სეზონი ფანტასტიკურად დავიწყეთ და ჩემპიონობისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ, მაგრამ მე 27 წლის ვარ და წინ კიდევ დიდი გ ზა მაქვს გასავლელი. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „ბარსასთან" ერთად ყველაზე პრესტიჟული ტიტულები მოვიპოვო. თუმცა კარიერის ბოლო წლებს „კამპ ნოუზე" ნამდვილად არ გავატარებ. არაერთხელ მითქვამს, რომ პენსიაში გასვლის წინ „მალიორკაში" დავბრუნდები, ახლა კი კიდევ ერთ სურვილს გაგიმხელთ. ძალიან მინდა, ფეხბურთიდან წასვლამდე მარსელის „ოლიმპიკში" მოვასწრო თამაში. ეს გუნდი ჩემთვის უდიდეს ვნებასთან, გენიალურ გულშემატკივრებთან და ლამაზ ფეხბურთთან ასოცირდება. წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, „მალიორკის" შემდეგ სწორედ მარსელში გადავიდე და ბუცები იქ ჩამოვკიდო ლურსმანზე."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვილიარეალი



# პელეგრინიმ საუკეთესო ფორვარდი დაკარგა

„მალაგასთან" მატჩი „ვილიარეალისთვის" ყოველმხრივ წარუმატებელი და იმედგამაცრუებელი აღმოჩნდა. სტუმრები ბოლო წუთამდე იგებდნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე გოლი გაუშვეს და „ლა რომარედაზე" ორი ქულა დატოვეს. გარდა ამისა, „ვილიარეალისთვის" ანდალუსიელებთან პაექრობა კიდევ ერთი მიზეზის გამო აღმოჩნდა ცუდად მოსაგონარი. იმ თამაშში „ყვითლების" ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა **ხოსება ლორენტემ** ტრავმა მიიღო. ექიმები თავიდან არხეინად იყვნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მიკროტრავმასთან ჰქონდათ საქმე და მათი ბასკი პაციენტი ვარჯიშს მალე განაახლებდა, მაგრამ საგულდაგულო კომპიუტერულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ლორენტეს ქუსლის მყესი განყვეტაზე აქვს. ფეხბურთელს ოპერაცია რომ არ დასჭირდეს, სულ მცირე ერთი თვით იძულებით შვებულებაში უნდა გავიდეს. **მანუელ პელეგრინიმ** წამყვანი ფორვარდის ტრავმა ძალიან მტკივნეულად მიიღო და განაცხადა, ხოსებას გარეშე ჩვენი თავდასხმა საგრძნობლად შესუსტდებაო. ჩილელი სპეციალისტისგან განსხვავებით „ვილიარეალის" სხვა ფორვარდები ასე არ ფიქრობენ. მაგალითად, იტალიელი **როსი** დარწმუნებულია, რომ ლორენტეს ტრავმა გუნდისთვის, ფაქტობრივად, შეუმჩნევლად ჩაივლის. აპენინელს საკმაოდ არადელიკატურად გამოუვიდა, რა გჭირთ, ხოსებას რას მისტირით, მე აგერ არ ვარო?

ილია ნიკოლაიშვილი

სპორტინგი

# პროვინციელი გმირები

## ხიხონის მერი სპორტინგს მილიონ ევროს შეჰპირდა

ესპანურ პრესაში ხიხონურ სასწაულზე საუბარი მოდაში შემოვიდა. ხიხონურ სასწაულში, რა თქმა უნდა, „სპორტინგის" მოულოდნელი წარმატება იგულისხმება. მართალია, ლიგის დებიუტანტებმა თავიდან სამარცხვინო შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ მოგვიანებით თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს და ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგეს. წინა ტურში კი მათ „ვალენსიასაც" სძლიეს და მთელი ქვეყანა აალაპარაკეს. ხიხონელებს უკლებლივ ყველა გაზეთი თუ სატელევიზიო არხი ხოტბას ასხამს. ამ გუნდის ფეხბურთელებს ხუმრობით პროვინციელი გმირები უწოდეს...

საყოველთაო აჟიოტაჟითა და გუნდის დამაჯერებელი თამაშით აღფრთოვანებულმა ხიხონის მერმა **ხოსე მარია პერესმა** გადაწყვიტა გმირი პროვინციელები მერიაში მიეწვია და მათთვის საზეიმო მიღება მოეწყო. სენიორ პერესმა ფეხბურთელები ძვირადღირებული ნივთებით დაასაჩუქრა და მათ პირობა მისცა, თუ მიმდინარე სეზონში ბოლომდე ღირსეულად ითამაშებთ და კარგ შედეგებს მიაღწევთ, ინვესტორებს მოვიზიდავ და ისეთ საჩუქრებს გაგიკეთებთ, ცხოვრების ბოლომდე არ დაგავიწყდებათო. ქალაქის მერმა სიმბოლურად ჩემპიონობისთვისაც დააწესა ჯილდო. იმ შემთხვევაში, თუ „სპორტინგი" ესპანეთის ჩემპიონი გახდება, უკლებლივ ყველა მოთამაშეს, მწვრთნელსა და ექიმს მადრიდის ყველაზე პრესტიჟულ უბანში საუკეთესო ბინას უყიდიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ცრუ დაპირებაა. მერი 100 პროცენტით დარწმუნებულია, რომ ხიხონელები ქვეყნის ჩემპიონები ვერ გახდებიან და მეფურ დაპირებას, ალბათ, პოპულისტური ზრახვებით იძლევა... თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტები უეფას თასის საგზურს დაეუფლებიან, მერის მიერ მოძიებული ინვესტორები გუნდს პრემიალური 1 მილიონი ევროთი დააჯილდოებენ. „სპორტინგის" ერთ-ერთი ლიდერი **ლუის მორანი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ამ ამოცანას თავს გაართმევს და მისი წილი პრემიალური თანხით დედას ახალ მანქანას უყიდის.

ილია ნიკოლაიშვილი

### მატება შოტლანდიელ ვარსკვლავებში

შოტლანდიელებმა შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრეს. დააარსეს ფეხბურთის დიდების დარბაზი, სადაც დამსახურებულ ადამიანებს საუკუნო დიდებას ჩუქნიან. სულ ახლახან სააგენტო „სპორტინგლაიფმა" გვამცნო, რომ დარბაზში რვა ადამიანი გააწევრიანეს. მათგან ოთხი ადამიანი ჯერაც ცოცხალია, ხოლო ოთხი გარდაიცვალა. გაგაცნობთ სიას: „აბერდინისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ჯიმ ლეიტონი**; 30-იანი წლების ფეხბურთელი, „სელტიკის" კარის დარაჯი **ჯონ ტომპსონი**; ასევე „სელტიკის" ექსკაპიტანი **ბობი ევანსი**; „დერბი ქაუნთისა" და „ნოტინგემ ფორესტის" შუახაზელი **არჩი გემილი**; „რეინჯერსის" თავდამსხმელი **დერეკ ჯონსტონი**; „ლივერპულის" ნახევარმცველი **ბილი ლაიდელი**; „ლივერპულის" ფორვარდი **იან-სენტ ჯონი**;"რეინჯერსის" თავკაცი **ბილ სტრუტი**.

შალვა ბიბილაშვილი

ინტერვიუ

რობერ პირესი

# რეალში ადამიანური ურთიერთობების მწვავე კრიზისია

## ფრანგი ნახევარმცველი მესის პატარა ლუციფერად მიიჩნევს და შეუჩერებელ გარემარბად ასახელებს

**„ვილიარეალი" პრიმერა დივიზიონის ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ თამაში არ წაუგია. მანუელ პელეგრინის ბიჭები ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე იმყოფებიან. პროვინციული კლუბისთვის ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა, მაგრამ სპეციალისტები სინანულით აღნიშნავენ, რომ „ყვითლებმა" „პოლი ეხიდოსთან"ესპანეთის სამეფო თასზე სამარცხვინოდ წააგეს. ამ შეხვედრის შემდეგ ესპანურ პრესაში „ვილიარეალის"კრიზისზე დაიწყეს საუბარი. ქვედადივიზიონელთან წაგებას თავი რომ დავანებოთ, პელეგრინის ბიჭები პრიმერა დივიზიონში უწინდებური ბრწყინვალებით ველარ თამაშობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავად ამ გუნდის ბიჭები გუნდში კრიზისის არსებობას არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ მცირე სირთულეები მალე დაიძლევა და „ვილიარეალი" ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ამ კლუბში არსებული სიტუაცია თუ გაინტერესებთ, რობერ პირესის ინტერვიუ წაიკითხეთ და შთაბეჭდილებაც შეგექმნებათ. ფრანგ გარემარბს „დიარიო ასის" კორესპონდენტი ესაუბრა.**



**- ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებიდან გამოვარდნის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

- გულწრფელად გეტყვით, რომ „პოლი ეხიდოსთან" მარცხი ძალიან მტკივნეულად აღვიქვით. ჩვენ ესპანეთის თასის მოგება გვსურდა, მაგრამ ტურნირს ადრეული ეტაპიდანვე გამოვეთიშეთ. არადა, ჩვენ ისეთი შემადგენლობა გვყავს, რომელსაც სამივე ფრონტზე ღირსეულად თამაში შეუძლია. თავად განსაჯეთ, „პოლი ეხიდოსთან" 0:5 დავმარცხდით. იმ შეხვედრიდან სამ დღეში კი „სან მამესზე" „ბილბაოსთან" არაჩვეულებრივად ვიასპარეზეთ. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ როცა სათასო ფიასკოზე ვფიქრობ, ლოგიკურ მიზეზს ვერ ვხედავ. ისღა დამრჩენია განვაცხადო, რომ ის წარუმატებლობა აუხსნელი და არალოგიკურია. ალბათ, მეტოქე ჯეროვნად არ დავაფასეთ, მაგრამ მხოლოდ ამის გამო ასე კატასტროფულად არ წავაგებდით.

**- „მალაგასთან" გამარჯვება ბოლო წამს გაუშვით ხელიდან. რა ხდება, კონცენტრაცია და ბრძოლისუნარიანობა გაკლიათ?**

- არა, ჩვენ ბრძოლისუნარიანი და მოტივირებული გუნდი ვართ. უბრალოდ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ბოლო წუთებზე სტანდარტული მდგომარეობა გაათამაშეს და გაგვიტანეს. ეს ხომ ფეხბურთია, თამაში, რომელშიც ყველაფერი ხდება.

**- ისევ სათასო მატჩს დავუბრუნდები. იმ შეხვედრაში თქვენს გუნდში სათადარიგო შემადგენლობის ბიჭებმა ითამაშეს. როგორ ფიქრობთ, ისინი პრინციპული ორთაბრძოლისთვის მზად არ აღმოჩნდნენ?**

- არა, მე ამდენად რადიკალური შეფასებისგან თავს შევიკავებდი. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ „ვილიარეალის" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი თანაბრად მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთ მუშტად შეკრული კლუბი გვყავს. შესაძლოა, ამა თუ იმ დღეს რომელიმე ფეხბურთელმა შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოამჟღავნოს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. სეზონი იმდენად გრძელია, რომ ერთი და იგივე შემადგენლობა ტრიუმფამდე ვერ მივა. „ვილიარეალი" 13-14 მოთამაშის გუნდი არ არის. აქ ყველას თავისი ადგილი და როლი აქვს.

**-კი, მაგრამ ძირითად და სათადარიგო შემადგენლობებს შორის არსებულ თვალხილულ კონტრასტს რითი ახსნით?**

- მომიტევეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ არასწორ შეფასებას აკეთებთ. ჩვენს შორის თვალხილული კონტრასტი არ არსებობს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ „ვილიარეალში" ყველას თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს. 23 კაცი შემადგენლობაში ამიტომაც ირიცხება. ძალიან დიდი ბოდიში, ახლა თქვენ ბანალურ საკითხებზე მალაპარაკებთ.

**- და მაინც, არ მიგაჩნიათ, რომ „ვილიარეალში" მცირე კრიზისია?**

- არავითარ შემთხვევაში. რომელ კრიზისზეა საუბარი, როცა გუნდი პრიმერა დივიზიონში მეორე ადგილზე იმყოფება? ჩვენ არაჩვეულებრივად ვთამაშობთ. უკაცრავად, მაგრამ ყველა თამაშის მოგებას თუ მოგვთხოვთ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ყველა შეხვედრას მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბებიც კი ვერ მოიგებენ.

**- როგორ ფიქრობთ, შემადგენლობას გაძლიერება არ სჭირდება?**

- ზოგადად, გადახალისება არასოდესაა ცუდი, მაგრამ „ვილიარეალის" თამაშს რომ ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ დღევანდელ შემადგენლობას ხელის ხლება არ სჭირდება. არავითარი პრობლემა არ გვაქვს. მშვენივრად ვთამაშობთ. „ვილიარეალის" მთავარი ღირსება სტაბილურობაა. მეტ-ნაკლებად ერთ დონეზე ვთამაშობთ, რაც ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია.

**- ისე ლაპარაკობთ, თითქოს „ვილიარეალი" პრიმერა დივიზიონის უპირველესი ფავორიტი იყოს...**

- უპირველესის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ-ერთი ფავორიტი რომ ვართ ფაქტია. ამაზე სატურნირო მდგომარეობაც მეტყველებს. თითქმის მესამედი სეზონი მიილია, ჩვენ კი ლიდერთა შორის ვართ. რატომღაც „ვილიარეალის" შესაძლებლობებს ჯეროვნად არ აფასებენ. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი. შესაძლოა, ვინმეს მაისურების ფერი არ მოსწონს, რა ვიცი, ყვითელი ხომ ყველას არ უყვარს (იცინის).

**- იუმორი კარგია, მაგრამ სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, სეზონის დასრულებამდე მრავალ პრობლემას გადაეყრებით. მე მაინც მიმაჩნია, რომ „ვილიარეალი" მოკლე სათადარიგოთა სკამის გამო მოსალოდნელ ჩავარდნებს იოლად ვერ გაუმკლავდება.**

- თქვენი უფლებაა ისე იფიქროთ, როგორც თავად გსურთ, მაგრამ მე ვერ დაგეთანხმებით. ვნახოთ, ყველაფერს დრო გამოაჩენს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს შემადგენლობას გადახალისება არ სჭირდება. მარკოს სენაზე, კაპდევილაზე, როსიზე, ლორენტეზე, უკეთესი ბიჭები საიდან უნდა მოვიყვანოთ? „ვილიარეალს" მრავალ ათეულმილიონიანი ბიუჯეტი არ აქვს, რომ პირველხარისხოვანი ვარსკვლავები შეიძინოს. ასე რომ, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ საუკეთესო შემადგენლობა გვყავს.

**- თქვენთან საუბარს ისე ვერ დავასრულებ, რომ ტიერი ანრიზე არ გკითხოთ. ადრე ამბობდით, რომ თქვენი მეგობარი ოჯახის დანგრევას განიცდიდა და უსახურად მხოლოდ ამ მიზეზის გამო თამაშობდა. მაშინ „ბარსას" გულშემატკივრებს მოახსენეთ, რომ ანრი დეპრესიას დაძლევდა და ფანტასტიკურად ათამაშდებოდა. პროგნოზის გაკეთებისას ხომ არ შეცდით?**

- სამწუხაროდ, ტიერის ესპანეთში გადმოსვლის შემდეგ მისი საუკეთესო ფეხბურთი ჯერ არ უთამაშია, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ის „ბარსელონის" ყველაზე სუსტი რგოლია. სულაც არა, ანრი გაცილებით უკეთ თამაშობს, გოლებიც გააქვს, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი, რომ პირადად მე, მისგან გაცილებით მეტს ველი. ამას ტიერიც შესანიშნავად აცნობიერებს და ძალიან წუხს, რომ ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება ჯერ ვერ მოახერხა... მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, რომ მალე სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება და ჩემი მეგობარი ყველა სკეპტიკოსსა თუ კრიტიკოსს დაადუმებს.

**- პრიემერა დივიზიონში მიმდინარე მოვლენებს როგორ შეაფასებთ?**

- „ბარსელონა" დღეს დღეობით ყველაზე კარგად თამაშობს. ჩემი აზრით, ეს გვარდიოლას ახალგაზრდული მენტალიტეტისა და ცალკეული ვარსკვლავების დამსახურებაა. მესის თამაშს ხომ კარგად აკვირდებით? ხშირად მიჩნდება კითხვა, საბრალო მცველებმა ასეთი პატარა ლუციფერი როგორ უნდა გააჩერონ-მეთქი. ზოგჯერ მისი შეჩერება მართლა შეუძლებელია. ბურთს არ კარგავს და რა უნდა მოუხერხონ?

**- „რეალის" კრიზისზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

- გულწრფელად რომ მოგახსენოთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ სამეფო კლუბს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. არ ვიცი, რატომ მაგრამ ამაში დარწმუნებული გახლდით. შთაბეჭდილება მრჩება, რომ „რეალში" ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და ხელმძღვანელ პირებს ერთმანეთთან არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვთ. როცა ხალხი ერთმანეთს მხარში არ უდგას, კრიზისი გარდაუვალი იქნება. მოკლედ, ჩემი დაკვირვებით სამეფო კლუბში ადამიანური ურთიერთობების კრიზისია.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# ხუმარებს აღარ ეხუმრებათ...

## შალკე ასე არ უნდა თამაშობდეს!



ლევან კობიაშვილმა და შალკემ ლევერკუზენთან ძალიან ცუდად ითამაშეს

„შალკემ“ ეს სეზონი, როგორც ყოველთვის, სერიოზული მიზნებით დაიწყო. ნახევარ საუკუნეზე მეტია, გელზენკირხენელებს გერმანიის ჩემპიონობა არ უზეიმიათ და **ფრედ რუტენის** მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, გუნდის ხელმძღვანელების მთავარი წინასასეზონო მესიჯი სწორედ ამ მეტად არასასიამოვნო ტრადიციის დარღვევა იყო. რუტენმა „შალკეში“ მისვლამდე „ტვენტესგან“ დააყენა იმდენად ძლიერი გუნდი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა და გელზენკირხენშიც გაჩნდა იმედი, რომ „ხუმარები“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას შეძლებდნენ. თანაც, „შალკემ“ სატრანსფერო ბაზარზეც იაქტიურა, რუტენისთვის სასურველი მოთამაშეები გადაიბირა და ერთი სიტყვით, თითქოს ყველა წინა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდს გაცილებით სოლიდური შთაბეჭდილება დაეტოვებინა, ვიდრე შარშან ან შარშანწინ.

შაბათს, „ლევერკუზენთან“ განცდილი მარცხის შემდეგ (1:2), „შალკე“ მერვე ადგილზეა. შესაბამისად, მწვრთნელიცა და გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერიც** განრისხებულები არიან. *„ფეხბურთი, რომელიც გუნდმა პირველ ტაიმში აჩვენა, არ იყო ის ფეხბურთი, რაც „შალკეს“ შეეფერება. არც მინდა იმის გახსენება, თუ როგორ გავუშვით გოლები. ასეთი რამ დიდ გუნდებს არ ემართებათ“!* - უარყოფით ემოციებს ვერ იკავებდა რუტენი.

პროგრამა მაქსიმუმი, ანუ გერმანიის ჩემპიონობა ფაქტობრივად (ამ ეტაპზე მაინც) დავიწყებულია. შესაბამისად, „შალკემ“ ისევ პროგრამა მინიმუმის მისაღწევად უნდა იბრძოლოს, რაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას გულისხმობს. მაგრამ შაბათის შემდეგ გელზენკირხენელები ამ მხრივაც მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან. ლიდერთა დუეტს, „ლევერკუზენსა“ და „ჰოფენჰაიმს“ „ხუმარები“ უკვე რვა ქულით ჩამორჩებიან. რუტენი: *„ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ისიც შესაძლებელია, რომ რომელიმე მატჩი ორმა ან სამმა ფეხბურთელმა ჩააგდოს. მაგრამ დაუშვებელია ის, რომ ერთდროულად 8 ან 9 ფეხბურთელმა არ ივარგოს. „ლევერკუზენთან“ მატჩში კი სწორედ ასე მოხდა“.*

ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელმაც თამაში ჩააგდო, კობიაშვილიცაა. ქართველმა მარცხენა მცველის პოზიციაზე ისპარეზა და ბრაზილიელი **რენატოს** გაუვნებლება ვერ შეძლო. კობის თამაში ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ხუთიანით შეაფასეს, რაც ცუდი შეფასებაა. თუმცა მატჩის შემდეგ ლევანმა, რომელიც რუტენმა შესვენებაზე შეცვალა, გელზენკირხენელ ფანებს ბოდიში მოუხადა, საერთოდ ასე მემართება ხოლმეო.

ჩემპიონობას და ჩემპიონთა ლიგასაც რომ თავი დავანებოთ, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ „შალკემ“ უეფას თასის საგზურიც კი დაკარგოს და თუ ასე მოხდა, ლოგიკურად გაჩნდება კითხვა: მაშინ რატომ გაათავისუფლეს ხელმძღვანელებმა **მირკო სლომკა**, რომლის დროსაც გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მაინც ასპარეზობდა და რატომ დანიშნეს რუტენი? ფაქტი ის გახლავთ, რომ „შალკეს“ 13 ტურში მხოლოდ 20 ქულა აქვს მოპოვებული და ბოლო რვა თამაშიდან მხოლოდ ორის მოგება მოახერხა.

მენეჯერი მიულერი ფეხბურთელებს მისდგა და მათ გერმანიის ჩემპიონობაზე ლაპარაკს უკრძალავს: *„მოთამაშეებისგან მუდმივად ერთი და იგივე მესმის: ჩვენ ჩემპიონობა გვინდა, პირველობისთვის ვიბრძვითო. სასწრაფოდ უნდა შეწყდეს ასეთი საუბრები, რადგან ფაქტია, რომ ჩვენ ჩემპიონის კანდიდატობისა არაფერი გვცხია. როდესაც გუნდი ისე საზიზღრად ითამაშებს, როგორც ეს „ლევერკუზენთან“ იყო, ამ გუნდის მოთამაშეებს პირველობაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ“!*

რაც შეეხება გუნდის წარუმატებლობის კონკრეტულ მიზეზებს: მიუხედავად იმისა, რომ „შალკემ“ ზაფხულში **ჯეფერსონ ფარფანი** იყიდა და ამ მოთამაშის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადა, გელზენკირხენულ კლუბს მაინც არ ჰყავს და ძალიან სჭირდება ისეთი მეორე თავდამსხმელი, რომელიც **კევინ კურანის** ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. „შალკეს“ ტაქტიკა-სტრატეგია დღეს მაინც კურანიზეა აგებული და ვინიცობაა, ამ თავდამსხმელს ცუდი დღე გაუთენდეს და კარგ ხასიათზე არ იყოს, ისე გამოდის, რომ გუნდმა გოლების გატანა ვერ უნდა მოახერხოს. ამას ემატება ფლეიმეიქერის პრობლემაც, რაზეც ადრეც ვისაუბრეთ. **ლინკოლნის** შემდეგ არა და არ გამოჩნდა გამთამაშებელი, რომელიც „შალკეს“ თამაშს სიჭკვიანეს შესძენს. თუმცა ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია და კერძოდ იმ გზით, რომ გუნდი უფრო პრაგმატული და რაც მთავარია, დაცვაში სტაბილური უნდა გახდეს. „ლევერკუზენთან“ შეხვედრამდე „შალკეს“ ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავდა და თითქოს ყველაზე პრაგმატულიც იყო, მაგრამ შაბათის შეხვედრამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. გავიხსენოთ ისიც, რომ „ხუმარებმა“ ვერც „ბაიერნთან“ შეძლეს სასურველი შედეგის მიღწევა. მიულერი კი ამბობს, დროა, ფეხბურთელებს პანღურები ვუთავაზოთ და ცოტა გამოვაფხიზლოთ, იმედი მაქვს, რუტენი სწორედ ასე მოიქცევაო.

არადა, ფეხბურთელებს რომ ჰკითხოთ, „შალკე“ არც ისე კატასტროფულ ვითარებაშია. მაგალითად, კურანი ამბობს, რომ გუნდმა იბრძოლა, **ორლანდო ენგელაარი** კი დასძენს, ჯერ დაკარგული არაფერიაო. სამაგიეროდ, თვითკრიტიკულები იყვნენ კობიაშვილი და **ჯერმეინ ჯონსიც**, რომელმაც თქვა, ჩვენ ყველანი საკმარისად გამოცდილები ვართ იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა ვითარებაშია ახლა გუნდი და იმასაც ვხვდებოდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მომდევნო ტურებში მოგებებიო.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „შალკეში“ ფულის დახარჯვა დაიწყეს, თუკი წარუმატებელი სერია გაგრძელდება, გუნდში სერიოზულ, ძირეულ ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ, რადგან ფაქტია, რომ „გაზპრომისგან“ მიღებული თანხები იხარჯება, გუნდი კი წარმატებებს ვერ აღწევს.

*„შემადგენლობას კარგად უნდა გადავხედოთ და არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მოთამაშეს უკვე ზამთარში გამოვემშვიდობოთ“*, - აცხადებს მიულერი...

**გოტფრიდ ლენცი**

ლაურეატი



იბრაჰიმოვიჩის დაჯილდოებაზე თვით პელეც იყო მიწვეული

# აბა, ვინ არის შვედეთში პირველი?

გუშინ, მილანის „ინტერის“ თავდამსხმელი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მესამედ გახდა შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელი. შვედეთში საუკეთესო მოთამაშეს ყოველწლიურად ჟურნალი „გულდბოლენი“ ავლენს და ეს ტრადიცია არც წელს დარღვეულა. აღსანიშნავია, რომ ზლატანი ერთადერთი მოთამაშეა შვედური ფეხბურთის ისტორიაში, ვინც ჯილდო სამჯერ მიიღო. აქამდე ეს პატივი ორ-ორჯერ ხვდათ წილად **ჰენრიკ ლარსონს**, **ფრედი ლუინგბერგსა** და **პატრიკ ანდერსონს**. გახარებულმა იბრაჰიმოვიჩმა პრესას შემდეგი განუცხადა:

*„ვამაყობ, რომ ასეთი საპატიო წოდება მესამედ მოვიპოვე. შვედეთს არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავს და მათ კონკურენციაში გამარჯვება ჩემთვის უაღრესად საპატიოა. მახსოვს, როდესაც საუკეთესოდ პირველად მაღიარეს, პრინცი პრინცმა კარლ ფილიპმა გადმომცა, ასეთი დაფასებით ძალიან ნასიამოვნები დავრჩი. ჯილდოს თანაგუნდელებს ვუძღვნი, მათ მხარდამხარ თამაში დიდი ბედნიერებაა. საერთოდ, იტალიაში ყველაფერი მაკმაყოფილებს, „მილანში“ თავს დიდებულად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. სიხარული ოჯახის წევრებსაც მინდა გავუზიარო, მათი თანადგომა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს“.*

**ლაშა ნიკლაური**

ბაიერნი

# გალაქსი დონოვანში 10 მილიონს ითხოვს!

## არენდა უფრო რეალურია

როგორც იცით, აშშ-ის ნაკრებისა და ლოს ანჯელეს „გალაქსის“ შემტევი ნახევარმცველი **ლენდონ დონოვანი** ერთ კვირაზე მეტია, „ბაიერნში“ გადის სინჯებს. 26 წლის დონოვანი მიუნხენში 10 დღით ჩავიდა და ეს ვადა ხვალ გადის, რის შემდეგაც უნდა გაირკვეს, გადაიბირებს თუ არა რეკორდმაისტერი მას. ამერიკულ გრანდთან დონოვანს კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და როგორც „კიკერი“ იტყობინება, ეს გუნდი დონოვანის სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარს ითხოვს. თუკი ბავარიული გრანდის გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** ეს თანხა ებევრა, ამ შემთხვევაში გამორიცხული არც ისაა, რომ დონოვანი „ბაიერნში“ არენდის წესით გადავიდეს.

აქვე გეტყვით, რომ მიუნხენელები სერიოზულად ფიქრობენ არგენტინელი **ხოსე ერნესტო სოსას** განათხოვრებაზე. ცნობილია, რომ 23 წლის ნახევარმცველის არენდით აყვანა რამდენიმე შვეიცარიულ კლუბს სურს.

**გოტფრიდ ლენცი**



იურგენ კლინსმანი და ლენდონ დონოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკა

# კამორანეზი მოურინიოს პასუხობს, ჟოზე კი ჩინოსნებს გადასწვდა

შაბათს, მთელი იტალიის ყურადღება „სან სიროსკენ“ იქნება მიპყრობილი, სადაც დიდი იტალიური დერბი გაიმართება - „ინტერი“ „იუვენტუსს“ უმასპინძლებს. მოახლოებულ შეხვედრაზე აპენინებზე უკვე ბევრს საუბრობენ და პროგნოზებსაც აკეთებენ. თუმცა, მთავარი სასაუბრო თემა ჯერჯერობით **ჟოზე მოურინიო** და მისი მორიგი განცხადებაა. პორტუგალიელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ **კლაუდიო რანიერი** ვერასდროს დააგროვებს იმდენ ქულას, რამდენსაც თვითონ და შესაბამისად, „ბებერი ქალბატონი“ „ინტერის“ კონკურენტად ვერ ჩაითვლება. მოურინიოს ამ სიტყვებს მეტოქის ბანაკიდან პირველი **მაურო კამორანეზი** გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მისი გუნდი „ნერაძურის“ არაფრით ჩამოუვარდება:

*„ჟოზემ აშკარად გადაამეტა და იმედია ამაში შაბათს დარწმუნდება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ინტერის“ ძალა ზლატან იბრაჰიმოვიჩშია, მის გარეშე „ნერაძური“ დიდი ვერაფერი გუნდი იქნებოდა. შავ-ლურჯთა წარმატებების მთავარი შემოქმედი სწორედ შვედი ფორვარდია. მას მარტოს ძალუძს ამა თუ იმ მატჩის ბედის გადაწყვეტა, კრიტიკულ სიტუაციაში კი მხსნელის როლშიც გვევლინება. იბრაჰიმოვიჩი ევროპის უძლიერეს თავდამსხმელად მიმაჩნია, მაგრამ არ შეიძლება მთელი გუნდი ერთ ფეხბურთელზე იყოს დამოკიდებული. „იუვე“ ბევრად უფრო დაბალანსებულია და „ინტერზე“ ნაკლებ ძალას ნამდვილად არ წარმოადგენს. დღეისათვის „ნერაძურის“ სამი ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, მთავარია, რა ვითარება იქნება მაისში, რატომღაც მგონია, რომ სრულიად განსხვავებული“.*


მაურო კამორანეზი

ამასობაში, მოურინიო არ ისვენებს და განცხადებას განცხადებაზე აკეთებს. ამჯერად, პორტუგალიელმა სპეციალისტმა იტალიელი საფეხბურთო ჩინოსნები გააკრიტიკა და მათ მუშაობის მეთოდები დაუწუნა:

*„სერია A-ს გუნდს ვუდგავარ სათავეში და თავს იტალიური ფეხბურთის ნაწილად მივიჩნევ. თანაც, პორტუგალიელები დიდად არ განვსხვავდებით იტალიელებისგან და ხშირად თავი სამშობლოშიც კი მგონია. სამწუხაროა, რომ აპენინური გუნდები აზიაში პოპულარობით არ სარგებლობენ და ეს კლუბების მესვეურთა ბრალია. მათ უნდა აითვისონ აზიური ბაზარი და იქ აქტიური მარკეტინგული კამპანია აწარმოონ. ინგლისელებს უნდა მივბაძოთ და მათსავით გავაქტიურდეთ. ამ მხრივ, იტალიურ ფეხბურთში ბევრი რამ არის შესაცვლელი. სამაგიეროდ, სასიამოვნოდ ვარ გაკვირვებული ჩემპიონატის დონით. სერია A აშკარად უძლიერესი ლიგაა მსოფლიოში და მწვრთნელისთვის აქ მუშაობა უდიდესი ბედნიერებაა. „ჯენოასთან“ მატჩში ტაქტიკა ოთხჯერ შევცვალე, მეტოქე გუნდი კი ოთხივეჯერ შესაბამისად და ძალიან სწორად გადაეწყო, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე და ამდენი ფიქრით შეხვედრის შემდეგ ძალაგამოლეული ვიყავი“.*

მწვრთნელი


კარლო ანჩელოტის ეგზოტიკა მოუნდა

# ანჩელოტი კოტ დ'ივუარზე ოცნებობს

გუშინ, იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში **კარლო ანჩელოტიმ** ერთობ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. კარლეტოს თქმით, დიდი სურვილი აქვს, მომავალში კოტ დ'ივუარის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. „მილანის“ მთავარ მწვრთნელს საკლუბო დონეზე ყველაფერი აქვს მოგებული და ეტყობა, ახალი გამოწვევები სჭირდება. იტალიური პრესის მტკიცებით, ანჩელოტი „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს კონტრაქტის დასრულებისთანავე, 2010 წელს დატოვებს და რომელიმე ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს. აქვე, კარლოს კომენტარს გთავაზობთ, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება:

*„არასდროს დამიმალავს, რომ აფრიკული ფეხბურთი ძალიან მიზიდავს. ყოველთვის მსურდა რომელიმე აფრიკული გუნდის ჩამებარებინა. მაგალითად, კოტ დ'ივუარის ნაკრები, რომელსაც ჩემი აზრით უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ გუნდს შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონიც კი გახდეს. არ ვხუმრობ, მართლა მაქვს სურვილი, ამ ქვეყანაში ვიმუშაო და ისეთი ფეხბურთელები გავწვრთნა, როგორიც დიდიე დროგბაა“.*

მილანი

# გალიანიმ, შევჩენკო რჩებაო

რამდენიმე დღის წინ, ესპანურ პრესაში საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც მომავალ ზაფხულს **ანდრეი შევჩენკო** შესაძლოა მადრიდის „რეალში“ გადაბარგდეს. როგორც იცით, უკრაინელი „ჩელსის“ საკუთრებაა და სეზონის ბოლოს კვლავ ლონდონში მოუწევს დაბრუნება. მართალია, „მილანს“ ანდრეის საბოლოოდ გამოსყიდვა სურს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საქმე ასე მარტივად ვერ მოგვარდება. „მარკის“ ინფორმაციით, არისტოკრატებს უკვე შეეხმიანენ მადრიდის „რეალის“ წარმომადგენლები და შევჩენკოს სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხის გადახდის სურვილიც გამოთქვეს. ბუნებრივია, „ჩელსი“ ფეხბურთელს იმ კლუბში გაყიდის, რომელიც უფრო სარფიან წინადადებას შესთავაზებს.

გავრცელებულ ინფორმაციას იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ვითარების გასამუხტად კომენტარის გაკეთება **ადრიანო გალიანის** მოუხდა. აი, რა განაცხადა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა:

*„ანდრეი არსად წავა და ამის გარანტიას მე ვიძლევი. თეორიულად შევჩენკოს ამ ზამთარსაც შეუძლია გუნდის გამოცვლა, მაგრამ ეს არ მოხდება. უკრაინელი ჩვენს სამომავლო გეგმებშია და დარწმუნებული იყავით, რომ გუნდის მომავალ წარმატებებში საკუთარ წვლილს შეიტანს. როგორ ფიქრობთ, იმიტომ ვიწვალეთ მის დაბრუნებაზე ამდენი, რომ ისევ გაგვეშვა? რა თქმა უნდა, არა. რას ვიტყოდი „ინტერი“ - „იუვეს“ მომავალ დაპირისპირებაზე? ძალიან საინტერესო მატჩი იქნება და სიამოვნებით ვუყურებ. საჩვენო შედეგი რა გითხრათ, კარგი იქნება თუ საერთოდ არ გავლენ მოედანზე და ორივეს წაგება ჩაეთვლებათ. ისე კი, „ინტერს“ ერთი ქულით ჩამოვრჩებით, „იუვეს“ ორით ვუსწრებთ და ფრე იდეალური შედეგი იქნებოდა“.*

კატანია



ვალტერ ძენგამ ტელეეთერში სკანდალი მოაწყო

მეკარე

# ბუფონმა მილანი გაამხილა

ტრავმირებული **ჯანლუიჯი ბუფონი** დროს უქმად არ კარგავს და მასმედიის სხვადასხვა საშუალებით, იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს ხშირად აანალიზებს. „იუვენტუსის“ კიპერი ბოლოს ჟურნალ „კალჩო 2000“-ს გაესაუბრა და საკმაოდ საინტერესო ფაქტები გაახმაურა. მაგალითად ის, რომ 2006 წელს ერთი ნაბიჯი დააკლდა „მილანში“ გადასასვლელად. უმჯობესია თავად ჯიჯის მოვუსმინოთ:

*„როდესაც საბოლოოდ გადაწყდა „იუვენტუსის“ სერია B-ში ჩამოქვეითების ამბავი, ახალ კლუბზე მართლაც დავფიქრდი. გამოვტყდები და ერთი ხანობა გადავწყვიტე კიდეც, რომ კარიერა რომელიმე სხვა გრანდში გამეგრძელებინა. ამ დროს გამოჩნდა „მილანი“ და სარფიანი გარიგებაც შემომთავაზა. „როსონერიში“ გადასვლას წინ აღარაფერი ედგა, როდესაც გადაწყვეტილება შევცვალე და „იუვეში“ დავრჩი. დღეს, ნამდვილად ვერ წარმომიდგენია თავი სხვა გუნდში და კმაყოფილი ვარ, რომ ნასვლას დარჩენა ვამჯობინე. ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ კარიერის გაგრძელება უცხოეთში მსურს. ეს ასე არაა, ჩემს გეგმებში საზღვარგარეთ წასვლა ნამდვილად არ შედის. თუ ჩემში რომელიმე კლუბი დიდ თანხას, მაგალითად 50 მილიონ ევროს გადაიხდის, თავად ვთხოვ გუნდის მესვეურებს რომ გამასხვისონ, რადგან ამ ფულით „იუვე“ დიდ სარგებელს ნახავს“.*


ჯანლუიჯი ბუფონი

# ძენგას მკაცრად დასჯიან

იტალიის სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში „კატანია“ კარგად თამაშობს. სიცილიურმა გუნდმა 21 ქულას მოუყარა თავი და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზეა გამაგრებული. კუნძულელთა წარმატების მთავარი შემოქმედი გუნდის თავკაცი **ვალტერ ძენგაა**, ვინაც იტალიაში ჩასვლამდე სამწვრთნელო გამოცდილება რუმინეთში მიიღო. წარსულში ცნობილმა მეკარემ მართლაც კარგად აუღო ალღო იტალიის პირველობას და ამაზე შედეგები ნათლად მეტყველებს. თუმცა, ძენგა მარტო კარგი შედეგების გამო არ ხვდება მასმედიის ყურადღების ცენტრში, ის ძალიან ემოციურია და ხშირად მკვახე განცხადებებსაც აკეთებს.

სერია A-ს ბოლო ტურში „კატანიამ“ საკუთარ მოედანზე „ტორინო“ დაამარცხა (3:2) და მწვრთნელი მატჩის შემდგომი კომენტარის გასაკეთებლად ტელეკომპანია RAI-ს სტუდიაში გამოცხადდა. ჟურნალისტმა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსენა და ძენგას არგენტინის ეროვნულ ნაკრებთან თამაშისას დაშვებულ შეცდომაზე დაეკითხა. ამან ყოფილი კიპერის საშინელი განრისხება გამოიწვია. ვალტერმა ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და RAI-ს სტუდიაში უცენზურო სიტყვების კორიანტელი დააყენა.

აღნიშნულ ფაქტს იტალიურ საფეხბურთო საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, წინასწარი ვარაუდით, ფედერკალჩო ძენგას საკმაოდ მკაცრად დასჯის. იქამდე კი „კატანიის“ პრეზიდენტმა **პიეტრო ლო მონაკომ** აიმაღლა ხმა და მწვრთნელის საქციელი მკაცრად გააკრიტიკა:

*„ასეთი ქმედება არც თავად ვალტერს არგებს, არც კლუბის იმიჯს. იმედია, მომავალში დაფიქრდება სანამ რაიმეს მოიმოქმედებს და ულირსი საქციელით თავს არ მოგვჭრის. უახლოეს მომავალში კლუბის დირექტორთა საბჭოს მოვიწვევთ, განვიხილავთ ამ ინციდენტს და მწვრთნელის მიმართ სანქციებს გამოვიტანთ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ადამსი გადადგება თუ...

„პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელი **ტონი ადამსი** გუნდში სულ ახლახან დაინიშნა. მან მხოლოდ ხუთჯერ მოასწრო გუნდის მინდორზე გაყვანა. კულისებს მიღმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ კლუბის მესაკუთრე **ალექსანდრ გაიდამაკი** წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას აპირებსო. ადამსმა და გაიდამაკმა ამ საკითხზე დალაპარაკება უკვე მოასწრეს, ბიზნესმენი მწვრთნელს შეჰპირდა, რომ ასე არ მოხდება... ცნობილია, რომ „ტოტენჰემის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** რამდენიმე პორტსმუთელის გადაბირებას აპირებს, რის გამოც გუნდის თავკაცი თავს მშვიდად ვერ გრძნობს. ლეგენდარულმა „მეთოფემ" პრესის საშუალებით გადაწყვიტა ბოსის გაფრთხილება. *„ჯერმეინ დეფო ის ფეხბურთელია, რომლის გოლებიც საშუალებას მაძლევს, თანამდებობა შევინარჩუნო. მაგრამ ეს არ არის მთავარი. დეფოს გუნდში ყოფნა სასიცოცხლოდ აუცილებელია. სწორედ უამრავი დადებითი თვისების გამო გადაწყვიტეს სხვებმა ჯერმეინი წავართვან, ისინი ზამთრის პაუზას სულმოუთქმელად ელიან. მისი გასხვისება კი დაუშვებელია. ვიცი, რომ ბატონი ალექსანდრი ჰარი რედნაპს ბოლომდე ხელს უმართავდა ხოლმე. იმედია, ახლაც ასე გაგრძელდება. სხვა შემთხვევაში დაკავებული თანამდებობიდან გადავდგები"*.

## ბილიჩს ინგლისში მუშაობა აინტერესებს

ხორვატთა ახალგაზრდა თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** ადგილობრივ პრესასთან საუბრისას სურვილი გამოთქვა, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ამოეწურება, სამუშაოდ ინგლისში წავიდეს. *„ჩემი სურვილია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ელიტურ ლიგაში მუშაობის საშუალება მომეცეს. ყველაზე მეტად პატივს ინგლისის ჩემპიონატს ვცემ. იმედგაცრუებული ვიქნები, თუკი ასეთის შანსი მექნება და მას ხელიდან გავუშვებ. პირდაპირ გეტყვით, ახლაც მაქვს ორიოდე პრემიერლიგელის შემოთავაზება, მაგრამ მათ გასაგონად ვამბობ: წინადადებები დამაინტერესებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხორვატიის ნაკრებიდან წავალ."*

შეგახსენებთ, რომ ხორვატიის ნაკრები შესარჩევ ეტაპზე მე-6 ჯგუფში მოხვდა, სადაც 4 თამაშის შემდეგ 7 ქულა აქვს მოპოვებული და მეორე ადგილს იკავებს.

## სუბოტიჩი სერბეთში ითამაშებს

დორტმუნდის „ბორუსიის" ცენტრალურმა მცველმა **ნევენ სუბოტიჩმა** საბოლოოდ გააკეთა არჩევანი. ის სერბეთის ნაკრებში იასპარეზებს. მას რამდენჯერმე აშშ-ის ასაკობრივ ნაკრებებშიც აქვს ნათამაშები, „დორტმუნდში" გადაბარგების შემდეგ კი გერმანელებმა შესთავაზეს მოქალაქეობა და მათ ნაკრებში თამაში. ნევენი დიდი სიხარულით დათანხმდა. მაგრამ... ფიფამ გერმანიის ნაკრებში თამაშის უფლება არ მისცა. ამის მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ აშშ-ში თამაშის დროს ის არ გახლდათ ამავე დროს გერმანიის ორმოქალაქე. იქიდან გამომდინარე, რომ ნევენს ისტორიული ფესვები სერბეთში აქვს, მას ამ ქვეყნის ნაკრებში გამოსვლის უფლება თავისთავად ეძლევა. ამრიგად, პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ დაესვა წერტილი, გვამცნობს „ნიუ იორკ პოსტი".

მაესტრო

# ტრაპი დაგვიბერდა

### ნაკრებში გამოძახება უკვე პატივია



ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჯოვანი ტრაპატონი** მიიჩნევს, რომ მისი ფეხბურთელები იმითიც კი ბედნიერები უნდა იყვნენ, რომ თავი სანაკრებო ბაზაზე ამოყვეს. მიუხედავად იმისა, მოუწევთ თუ არა თამაში. როგორც „პი ეი სპორტმა" გვაცნობა, ირლანდიელები **ენდი რიდი** და **ჯოი ობრაიენი** თავს უბედურად გრძნობენ იმის გამო, რომ ტრაპატონისგან ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია ვერ მიიღეს. აპენინელის პასუხიც სწორედ ამ ფეხბურთელების გასაგონად იყო ნათქვამი. რიდი და ობრაიენი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებენო, დაიწერა პრესაში. საინტერესოა, რომ ტრაპი მოსმენილით სულაც არ აღელვებულა. გთავაზობთ იტალიელის კომენტარს, რომელიც სააგენტოებმა ამ დღეებში გაავრცელეს: *„როცა სპორტსმენი აცხადებს, რომ ნაკრებში თამაში აღარ სურს, ეს სავსებით ნორმალურია. ცხოვრება ამით არ სრულდება. ჩემთვის თავის დროზე იტალიის ნაკრებში გამოძახება უკვე ბედნიერება იყო. ეს არის ჩემი ფილოსოფია და მენტალიტეტი – არასდროს გავაკრიტიკო ჩემი ფეხბურთელები მასმედიის საშუალების გამოყენებით. თუკი ასეთ რამეს გავაკეთებ, მაშინ მათ ადეკვატური პასუხის მორალური უფლება ექნებათ. ფეხბურთელი, პირველ რიგში, პროფესიონალები უნდა იყვნენ. მე ასეთები მთელი კარიერის განმავლობაში ათასობით შემხვედრია ათობით ქვეყანაში. არასდროს, ვიმეორებ არასდროს, მათთან ურთიერთობა არ გამფუჭებია"*.

ღვაწლმოსილ მწვრთნელს ეტყობა დაავიწყდა „ბაიერნში" მუშაობის პირველ ეტაპზე გამართული, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, ლეგენდარული პრესკონფერენცია, სადაც უთვალავი მასმედიელის წინაშე ფეხბურთელები მინასთან გაასწორა. ასევე გამორჩა ეპიზოდი ცხოვრებიდან, როცა **ლუიჯი დი კანიოსთან** ხელჩართული ჩხუბი შეემთხვა.

ტრაპი მართლა დაგვიბერდა...

ევრო 2008

# 350 მილიონი მხოლოდ ოლიმპიისკისთვის

კიევში, გუშინ შუადღეზე პრესკონფერენცია გამართა უკრაინის ვიცე-პრემიერმა **ივან ვასიუკმა**. რახან ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ესე იგი, მისი ბრიფინგის მთავარი თემა ფეხბურთი უნდა ყოფილიყო. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჩინოსანი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებს შეეხო. ჯერ კიდევ ზაფხულში იყო ლაპარაკი, რომ უკრაინას სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა, რის გამოც ევროფორუმის ღირსეულად მასპინძლობას თავს ვერ გაართმევდა. სულ ცოტა ხნის წინ, ინკოგნიტო წყაროებით „გახდა ცნობილი", რომ საჭირო თანხების მოძიების იმედი საბოლოოდ დაიკარგა. მთლად ისეც არ არის საქმე, რუსებს რომ გაუხარდებათ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი მალე განიხილავს და დაამტკიცებს სრულ პროექტს იმ სამუშაოებისას, რომლის ჩატარება აუცილებელია ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ. ვასიუკის განცხადებით: *„საქმის დასაწყებად ყველანაირი ფორმალური მხარე მოგვარებულია. მთავრობამ სრული მოცულობით დაამტკიცა ოლიმპიური სტადიონის რეკონსტრუქციის ფინანსური მხარე"*.



ლაპარაკია, რომ მხოლოდ კიევის ცენტრალური სტადიონის თანამედროვე დონეზე მოსაწყობად გამოიყოფა 250-დან 350 მილიონ დოლარამდე. ახლა გასარკვევია, ვის ანდობენ გრანდიოზულ სამუშაოებს. რა თქმა უნდა, მსგავსი პროექტის ხელში ჩასაგდებად სამშენებლო ფირმებს სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევთ.

ფირმის სახელს მხოლოდ მას შემდეგ შევიტყობთ, რაც ტენდერი ჩატარდება, რომლის გამარჯვებულს თავად მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დაასახელებენ.

დანაშაული და სასჯელი

# დროგბას სამი მატჩი



პრემიერლიგის სადისციპლინო კომიტეტმა **დიდიე დროგბას** უდისციპლინობა არ აპატია. „ბარნლისთან" ლიგის თასის შეხვედრაში კოტდივუარელმა მაყურებლებში მავანი ხულიგნის მიერ მინდორზე ნასროლი მონეტა უკან დააბრუნა. მართალია ამით არავის რაიმე დაშავებია, მაგრამ თავისთავად ამით მისი საქციელი სულაც არ ხდება ლამაზი. ფეხბურთელი სამ შეხვედრას გამოტოვებს. 22 ნოემბერს „ჩელსი" „ნიუკასლს" უმასპინძლებს, 30-ში „სტემფორდ ბრიჯზე" „არსენალთან" ლონდონური დერბია დაგეგმილი, ხოლო 6 დეკემბერს „არისტოკრატები" „ბოლტონთან" გასვლით შეხვედრას გამართავენ – დიდიე ამ შეხვედრებს გამოტოვებს. საფეხბურთო ასოციაციის განცხადებაში ნათქვამია: *„დროგბამ აღიარა, რომ ჩაიდინა ძალადობრივი მოქმედება. გოლის გატანის შემდეგ მას სტუმართა სექტორიდან მონეტა ესროლეს. ფეხბურთელი მინდორზევე დაისაჯა ყვითელი ბარათით. თამაშის შემდეგ დროგბამ განაცხადა: „გატანილი გოლის აღნიშვნა ვცადე, მაგრამ პასუხად რაღაც საგნები დამიშინეს. მესმის, რომ ჩემი საქციელი არ იყო ლამაზი, რადგან შეიძლებოდა სრულიად უდანაშაულო ადამიანს მოხვედროდა და დაშავებულიყო. მინდა საჯაროდ ბოდიში მოვიხადო"*.

როგორც ჩანს, სწორედ ფეხბურთელის გულწრფელმა აღიარებამ იმოქმედა დისციპლინარებზე. შესაძლებელი იყო, ფეხბურთელი კიდევ უფრო მკაცრად დასჯილიყო, რადგან გარდა [illegible] ის სროლის, [illegible] სტუმარ ფანებს უხამსი ჟესტითაც გაუმასპინძლდა.

ამბები

## ბერი იანვარში არ გაიყიდება

„სანის" მტკიცებით, „ასტონ ვილის" თავკაცი **მარტინ ონილი** ზამთარში არ აპირებს გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **გარეთ ბერისთან** გამოთხოვებას. ფეხბურთელის შეძენას ზაფხულს აქეთია, ჯიუტად ცდილობენ „არსენალი" და „ლივერპული". სანდო წყაროს მტკიცებით, მერსისაიდელები ფეხბურთელის შეძენის სურვილს ოფიციალურად იანვარში გააჟღერებენ. ამიტომ მსურველებმა წინდაწინ უნდა იცოდნენ: ბერი არ იყიდება! პირიქით, ბირმინგემული გუნდი ყოფილ კაპიტანთან კონტრაქტის გახანგრძლივებას გეგმავს. საეჭვოა, ბერი ამას დათანხმდეს, რადგან თუ ის „ლივერპულში" ზამთარშივე ვერ გადავა, წინასწარ კონტრაქტს მაინც მოაწერს ხელს. მის შეთანხმებას ახლანდელ კლუბთან ვადა გაისად, ივნისში გასდის. *„არ ვფიქრობ, რომ ენდი ლერნერს შეაწუხებს იმ თანხის სავარაუდო დანაკარგი, რომლის გაკეთებას ის იანვარში გარეთის გაყიდვით მიიღებდა. მთავარია, რომ გუნდი კიდევ რამდენიმე თვით მაღალი კლასის მოთამაშეს შეინარჩუნებს"*, – განაცხადა მარტინ ონილმა.

## არგენტინა მეტ მოტივაციას ნიშნავს

„რეინჯერსის" კაპიტანი ბარი ფერგიუსონი ამიერიდან შოტლანდიის ნაკრებშიც იმავე ფუნქციას შეასრულებს. სკოტების თავკაცმა **ჯორჯ ბარლიმ** ფერგიუსონს ეს ფუნქცია დააკისრა. დღეს „ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიელები არგენტინას უმასპინძლებენ. *„ბარი ძირითადში იქნება, ვნახოთ... ის ფეხბურთს დიდი პაუზის შემდეგ უბრუნდება. საინტერესოა, რამდენად შეძლებს დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ფერგიუსონმა კლუბში უკვე ჩაატარა სრული 90 წუთი. კარგია, რომ ის საქმეს უკვე დაუბრუნდა"*.

აქვე შემოგთავაზებთ ფეხბურთელის კომენტარსაც: *„არგენტინის ნაკრებთან დაპირისპირებაზე ყველა ოცნებობს, რადგან ის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია დედამიწაზე. „ალბისელესტეში" ფანტასტიკური ფეხბურთელები თამაშობენ. დიდი ხნის წინ გავიგე, რომ მათთან უნდა გვეთამაშა. ამან დამატებითი სტიმული მომცა, რათა მკურნალობის კურსი დამეჩქარებინა. მე სწორედ ამ შეხვედრისთვის ვემზადებოდი"*.

## მოიესი დააჯარიმეს

14 სექტემბერს „სტოკ სიტი"-„ევერტონის" შეხვედრაში მატჩის არბიტრმა **ალან უაილიმ** ევერტონელთა სასარგებლოდ დანიშნული პენალტი თანამსაჯთან კონსულტაციის შემდეგ გააუქმა. მას თავდაპირველად მოეჩვენა, რომ მასპინძელმა **ლეონ კორტმა** ხელით ითამაშა. დიახ, ხელით თამაში აშკარა იყო, მაგრამ საჯარიმოს გარეთ. ამან **დევიდ მოიესის** აღშფოთება გამოიწვია. მისმა ემოციურობამ ყოველგვარი ზღვარი გადალახა. ბუნებრივია, დაუსჯელად მისი საქციელი ვერ დარჩებოდა. უაილიმ ლივერპულელთა მწვრთნელი წითელი ბარათით დასაჯა. გაუგებარია, რატომ მოუნდა საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი საქმის განხილვას ორი თვე, მაგრამ ფაქტია, რომ შოტლანდიელი სპეციალისტი სწორედ გუშინ დასაჯეს. მას 5 ათასი გირვანქის ჯარიმის დადახდა მოუწევს. გარდა ამისა, მოიესს მისცეს გაფრთხილება, რომ რაიმე მსგავსის გამეორების შემთხვევაში კიდევ უფრო მკაცრად დაისჯება.

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

# საქართველო ედინბურგში

ედინბურგში საქართველოსა და ამავე ქალაქის კლუბების ნაკრებთა შეხვედრა ჩაიშალა. მატჩის მე-20 წუთისთვის, როცა ანგარიში 19:0 იყო მასპინძლების სასარგებლოდ, სტადიონზე შუქი ჩაქრა. ორგანიზატორთა მცდელობის მიუხედავად, თამაშის გაგრძელება ვერაფრით მოხერხდა.

ერთი სიტყვით, ბრიტანული ვოიაჟი ბორჯღალოსნებისთვის ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა.

ბესიკ ჯანგავაძე

# პლეი ოფისთვის ექვსი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1-ის დივიზიონში, რეგულარული გათამაშების პირველი წრე დასრულდა. შვიდი ტურის შემდეგ პლეი ოფში გასვლისათვის რეალურად ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდი იბრძვის. ესენია: „შალონი“, „მასი“, „ნიცა“, „ექსი“, „ორლეანი“ და „პერიგო“.

ფედერალ 1-ის A ჯგუფში სატურნირო ცხრილს სათავეში ორი „ქართული“ გუნდი უდგას: „შალონი“ და „მასი“. ორივე მათგანმა, მე-7 ტურში, ქართველი მორაგბეების გარეშე მოიპოვა მორიგი გამარჯვება. **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასიმ“ სტუმრად დაამარცხა ჯგუფის აუტსაიდერი „არასი“ - 30:10. სამივე ქართველი ბორჯღალოსანთა შემადგენლობაში შოტლანდიაში იმყოფება.

სტუმრად დაამარცხა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონი“ **ბესო უდესიანის** „შალონმა“ - 19:16. უდესიანი საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო. მარგველაშვილმა და ნემსაძემ კი თავიდან ბოლომდე ითამაშეს.

სტუმრად დამარცხდა „დიჟონთან“ **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი“ - 9:13. ბოლღაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო.

### ფედერალ 1. VII ტური

A ჯგუფი. არასი-მასი 10:30, დომონი-შალონი 16:19, ლონსი-რუენი 16:16, დიჟონი-ლილი 13:9. სატურნირო მდგომარეობა: 1. შალონი - 30 ქულა, 2. მასი - 26, 3. რუენი - 20, 4. დიჟონი - 17, 5. ლილი - 14, 6. ლონსი - 12, 7. დომონი - 9, 8. არასი - 5

B ჯგუფში ლიდერობა ხელთ **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა“ იგდო. სტარტზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ორლეანელებმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგეს. მეშვიდე ტურში მათ, აუტსაიდერი „ჟენევიე“ დაამარცხეს - 20:3. აბუსერიძე საქართველოს ნაკრებშია.

შინ გაიმარჯვა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „ვანთან“ **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერმა“ -18:11. ესაკიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ელოშვილი მატჩში 53-ე წუთიდან ჩაერთო.

B ჯგუფი. სენ ნაზერი-ვანი 18:11, ჟენევიე-ორლეანი 3:20, ნუარი-ბობინი 26:26, მონლუსონი-ლიმოჟი 29:13. სატურნირო მდგომარეობა: 1. ორლეანი - 22 ქულა, 2. ბობინი - 22, 3. ლიმოჟი - 21, 4. ვანი - 20, 5. მონლუსონი - 19, 6. სენ ნაზერი - 16, 7. ნუარი - 11, 8. ჟენევიე - 2.

D ჯგუფში ლიდერთა ოთხეულში დაიმკვიდრა ადგილი ქართველ მორაგბეთა ორმა გუნდმა: „ექსმა“ და „ნიცამ“. **ილია ზედგინიძის** „ექსი“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთ წარმომადგენელ „ლავორთან“ - 6:17. ზედგინიძე ბორჯღალოსანთა რიგებშია.

სამაგიეროდ სტუმრად გაიმარჯვა „არჟელესთან“ **დიმა პავლოვის** „ნიცამ“ - 24:29. პავლოვი განაცხადში არ იყო.

D ჯგუფი. ექსი-ლავორი 6:17, გროლე-მარსელი 17:12, არჟელე-ნიცა 24:29, კარკასონი-კარკუირანი 41:13. სატურნირო მდგომარეობა: 1. კარკასონი - 25 ქულა, 2. ნიცა - 21, 3. ლავორი - 20, 4. ექსი - 17, 5. გროლე - 14, 6. არჟელე - 12, 7. კარკუირანი - 8, 8. მარსელი - 6.

E ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, იგორ ბარბაქაძისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** „პერიგო“. ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად დაამარცხა „ოლორონი“ - 12:9 და ახლა უახლოეს მდევარ „ტიროსს“ რვა ქულით უსწრებს. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნინიძე 51-ე წუთზე შეცვალეს. ბარბაქაძე და გუნდიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

შინ დაამარცხა „მარმანდი“ - 23:15 **ნიკოლოზ მალალდაძისა** და **შოთა მელიქიძის** „კაორმა“. მალალდაძე 56-ე წუთზე შეცვალეს. მელიქიძე განაცხადში არ იყო.

E ჯგუფი. ოლორონი-პერიგო 9:12, ლურდი-აგეტმო 18:17, კაორი-მარმანდი 23:15, ტიროსი-მოლეონი 23:0. სატურნირო მდგომარეობა: 1. პერიგო - 27 ქულა, 2. ტიროსი - 19, 3. კაორი - 16, 4. ოლორონი - 16, 5. მოლეონი - 16, 6. მარმანდი - 14, 7. ლურდი - 13, 8. აგეტმო - 6.

F ჯგუფში **ირაკლი ჭყონიასა** და **დიმა ბასილაიას** „მორლაას“ ისევ ორი გამარჯვება აქვს და სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება. მე-7 ტურში „მორლაამ“ სტუმრად წააგო „ლანჟონისთან“ - 6:12. ჭყონია 56-ე წუთზე შეცვალეს. ბასილაია ნაკრებთან ერთად შოტლანდიაში იმყოფება.

F ჯგუფი. ლანამეზანი-ტარნო 16:6, რიბერაკი-სენ ჟან და ლუზი 26:33, ლანჟონი-მორლაა 12:6, ვალანსი-ლე ბუგე 33:3. სატურნირო მდგომარეობა: 1. ლანამეზანი - 22 ქულა, 2. სენ ჟან და ლუზი - 21, 3. ვალანსი - 20, 4. ლე ბუგე - 17, 5. ლანჟონ 6. მორლაა - 13, 7. ტარნო - 12, 8. რიბერაკი - 7.

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო

ნოემბრის ბაშო

# ერთი მოგებაც და...

დღეს თუ დასავლეთის მე-13 მაეგაშირა **ტამანოშიმას** მოუგებს, **კოკაი (ლევან ცაგურია)** ნოემბრის ბაშოს ძირითად ამოცანას წარმატებით გადაჭრის – ტურნირს დადებითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგშიც წინ წაიწევს. გუშინდელი მოგების შემდეგ ლევანს 7-3 ბალანსი გაუხდა. კოკაი 36 წლის ექსსეკივაკე **ტოსანოუმის** ხვდებოდა. დაჯახებისას მან ხერხი იხმარა, მეტოქეს გაეცალა და მის ზურგს უკან მოქცეულმა იოლად გააძევა მეტოქე დოჰიოდან. ამას ჰენკა ენოდება, ჰენკას იშვიათად მიმართავენ ტოპ-რიკიშები, რადგან მაყურებელში ერთობ არაპოპულარულია. ქართველის დღევანდელი მეტოქე ტამანოშიმა 31 წლისაა, ერთ დროს იაპონელი სეკივაკეს ტიტულს ფლობდა. წლეულს ეს სუმოისტები ორჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს დოჰიოზე, ივლისში ტამანოშიმამ მოიგო, ხოლო სექტემბერში – კოკაიმ.

21 წლის **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** კარიერაში ყველაზე ცუდი დროება უდგას. წარმოიდგინეთ, ლევანმა 2006 წლის განმავლობაში მხოლოდ 4-ჯერ წააგო, 2007-ში კი – 11-ჯერ. ახლა ერთ, ჯერაც დაუსრულებელ ერთ ბაშოზე ქართველს უკვე 9 მარცხი აქვს. გუშინ ტოჩინოშინმა მონღოლ **კიოკუტენჰოსთან** დათმო ორთაბრძოლა იორიკირის ილეთით. დღეს ლევანი მე-8 მაეგაშირა **ტაკეკაძეს** შეებრძოლება. ტაკეკაძე ყოფილი კომუსუბია, მას 5-5 ბალანსი აქვს. ურთიერთშეხვედრებში ტოჩინოშინი 2:1-ს იგებს.

ბაშოზე კვლავ დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ყოფილი ჩემპიონი **მიაბიამა** ლიდერობენ 9-9 მოგებით. მათ კვალში ორი სეკივაკე უდგას, მონღოლი **ამა** და ესტონელი **ბარუტო** (8-8) მოგება. კიდევ 7 რიკიშის 7-7 მოგება აქვს (ერთ-ერთი კოკაია). დღეს უმნიშვნელოვანესი მატჩია – ბარუტო შეეცდება ჰაკუჰოს შეჩერებას. ესტონელმა ზედიზედ 8 ორთაბრძოლა მოიგო, მონღოლმა – 9.

ნიკოლოზ ნეფარიძე

X დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 4)-კიოკუტენჰო (მ 6) 0:1 (იორიკირი); კოკაი (მ 11)-ტოსანოუმი (მ 16) 1:0 (ოკურიდაში); ჰაკუჰო (ი)-ასასეკირიუ (მ 5) 1:0; კოტოოშუ (ო)-გოეიდო (კ) 1:0; კოტომიცუკი (ო)-დეჯიმა (მ 5) 1:0; ბარუტო (ს)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; ამა (ს)-ვაკანოსატო (მ 2) 1:0; ამინიშიკი (კ)-ჰოკუტორიკი (მ 3) 1:0; ტოიონოშიმა (მ 1)-ფუტენო (მ 1) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 3)-კისენოსატო (მ 4) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 9-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა); მიაბიამა (მაეგაშირა 7). 8-2: ამა (სეკივაკე); ბარუტო (სეკივაკე). 7-3: კოტომიცუკი (ოძეკი); ტოიონოშიმა (მ 1); კისენოსატო (მ 4); კიოკუტენჰო (მ 6); კოკაი (მ 11); იოშიკაძე (მ 12); ტაკამისაკარი (მ 14)... 1-9: ტოჩინოშინი (მ 4).

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი (მ 4)-ტაკეკაძე (მ 8); კოკაი (მ 11)-ტამანოშიმა (მ 13); ჰაკუჰო (ი)-ბარუტო (ს); კოტომიცუკი (ო)-კაკურიუ (მ 6); ჩიოტაიკაი (ო)-ამა (ს); კოტოოშუ (ო)-ასასეკირიუ (მ 5); გოეიდო (კ)-ფუტენო (მ 1); ამინიშიკი (კ)-ტოიონოშიმა (მ 1); ვაკანოსატო (მ 2)-ჰოკუტორიკი (მ 3); კისენოსატო (მ 4)-მიაბიამა (მ 7).

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“ საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“ ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი“

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია“

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“





მედია სახლი „პალიტრას“ გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო გაყრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი
თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ინტერვიუ შოთა თევზაძესთან

# საქართველოს ღირსებას ყველგან დიდი სიამაყით დავიცავ!

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე შოთა თევზაძე თითქმის წელიწადია, რუმინული "ბაკაუ სტინჩას" ღირსებას იცავს. იგი წარმატებულ სეზონს ატარებს, მისი გუნდი შედეგიანად გამოდის როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. შოთას რუმინეთში შევეხმიანეთ და საკლუბო ამბების გარდა, სანაკრებო ამბებიც გამოვკითხეთ. საუბარი მილოცვით დავიწყეთ- სულ ახლახან ვაჟი, ნიკა შეეძინა, რომელიც ჯერ არ უნახავს.

- ჩემი მეუღლე მალე აიღებს რუმინეთის ვიზას და ბავშვთან ერთად ჩამოვა. ერთი სული მაქვს, პირველ შვილს როდის ვნახავ. ახალ წელს, ალბათ, რუმინეთში შევხვდებით. თბილისში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.

**- რუმინეთში ცხოვრებას იოლად შეეგუე?**

- ბაკაუ ლამაზი და მშვიდი ქალაქია, კარგი ხალხი ცხოვრობს და მათთან ურთიერთობაში პრობლემები არ მაქვს. გუნდიც ძალიან მეგობრულია. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი მომწონს.

**- კლუბთან რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

- ორწლიანი. ხელშეკრულების მიხედვით, კიდევ ერთი წელიწადი მინევს აქ თამაში. მუდმივად ძირითადში ვთამაშობ, ყველანაირად მისაღები პირობები მაქვს და კონტრაქტსაც დიდი სიამოვნებით გავახანგრძლივებდი. ვხედავ, რომ ჩემით კმაყოფილები არიან და აქ ალბათ, კიდევ დიდხანს დავრჩები. აქამდე ისლანდიაშიც მითამაშია და შვედეთშიც, მაგრამ "ბაკაუ" ჩემი კარიერის საუკეთესო გუნდია, რომელმაც, როგორც პროფესიონალს, ძალიან ბევრი რამ მომცა.

**- რუმინეთის ჩემპიონატში რა მდგომარეობაა?**

- ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი. ჩვენ და "კონსტანცას" თანაბარი ქულები გვაქვს. რუმინეთში პლეი ოფი არ არის. ასე რომ, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, ჩემპიონიც ის გახდება. თუ ტურნირი ორივემ უდანაკარგოდ დავასრულეთ, ოქროს მედლებს ჩვენ მოვიპოვებთ, რადგან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას ვფლობთ.

**- ევროტურნირებზე როგორ მიდის "ბაკაუს" საქმეები?**

- იქაც საკმაო წარმატებით გამოვდივართ. "ჩელენჯ ქაფის" მეორე რაუნდში სტუმრად იტალიურ "რუბიერას" 39:33 მოვუგეთ. განმეორებითი მატჩი შაბათსაა.

**- ეროვნულ ნაკრებს პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე პირველივე მატჩისთვის შეუერთდები?**



- წესით, ასე უნდა იყოს. კლუბი დაბრკოლებებს ნამდვილად არ შემიქმნის.

**- უსახსრობის გამო, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ასპარეზობას ვერც წლეულს ვახერხებთ. ერთი შეხედვით, ნაკრების არსებობაც კი აზრს კარგავს...**

- სამწუხაროდ, დღეისათვის მართლაც სავალალო მდგომარეობაა. თუმცა სხვა რა დაგვრჩენია, ნაკრების წევრებს არ გვაქვს უფლება, საქმეს ზერელედ მოვეკიდოთ. რას ვიზამთ, იმ ტურნირებში უნდა დავიხარჯოთ ბოლომდე, სადაც თამაშის საშუალება მოგვეცემა. საქართველოს ღირსებას ყველგან დიდი სიამაყით დავიცავ. მეც და სხვა ქართველი ხელბურთელებიც ყოველთვის ვიდგებით ჩვენი დროშის ქვეშ და მოედანზე თავს არ დავზოგავთ. არადა, დასანანია, ჩვენი პოტენციალი ასე წყალში რომ იყრება. ჩემს თაობაში არაერთი ნიჭიერი ხელბურთელია და თუ მინიმალური დაფინანსება მაინც იქნება, საქართველოს ნაკრები ძალიან ბევრს მიაღწევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჭადრაკი

ოლიმპიადა

# დღეს ექვაბტორს გადალახავენ

გუშინ დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე დასვენების დღე იყო. დღეს მე-6 ტურის ორთაბრძოლები გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მე-5 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები რუსეთის გუნდს დაუზავდა - 2:2. ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩინეთი-პოლონეთი 3,5:0,5, გერმანია-საბერძნეთი 2,5:1,5, უნგრეთი-ინდოეთი 2,5:1,5, ესპანეთი-რუმინეთი 1,5:2,5.



მაია ჩიბურდანიძე (მარჯვნივ) კოსტენიუკის წინაალმდეგ

ხუთი ტურის შემდეგ ჩინელები უდანაკარგოდ მეწინავეობენ. ლიდერებს ქულით ჩამორჩებიან უნგრელები, ხოლო ქართველებს, რუსებს, რუმინელებს, ჰოლანდიელებს, სომხებს, უკრაინელებს, პოლონელებს, ინგლისელებს, ამერიკელებს, უზბეკებს და ავსტრიელებს 8-8 ქულა აქვთ.

ვაჟთა სატურნირო ცხრილშიც სიმჭიდროვეა. შესვენების წინადღეს ქართველებმა სლოვაკებს 2,5:1,5 მოუგეს. ასეთივე ანგარიშით სომხებმა ჰოლანდიელები დაამარცხეს, უკრაინელებმა - უნგრელები, ინგლისელებმა - იტალიელები, ხოლო აზერბაიჯანმა 3:1 სძლია ნორვეგიას, ინდოეთმა - ავსტრიას (3:1), გერმანელებმა და რუსებმა კი ქულები (2:2) გაიყვეს.

ხუთი ტურის შემდეგ 9-9 ქულით პირველ-მეექვსე ადგილებს რუსეთი, სომხეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, უკრაინა და ინგლისი ინაწილებენ, ხოლო პოლონეთს, ინდოეთს, შვედეთს, საქართველოს, რუმინეთს, ბულგარეთს, ჩინეთს, ისრაელს, ბოსნიას და საფრანგეთს - 8-8 ქულა დაუგროვდათ.

დღეს VI ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

**ქალები.** *უნგრეთი-ჩინეთი, ავსტრია-რუსეთი, საქართველო-პოლონეთი, რუმინეთი-ამერიკა, სომხეთი-უკრაინა, უზბეკეთი-ჰოლანდია, ინგლისი- ბულგარეთი.*

**ვაჟები.** *საქართველო-ჩინეთი, რუსეთი-ინგლისი, უკრაინა-გერმანია, აზერბაიჯანი-სომხეთი, საფრანგეთი-პოლონეთი, ბოსნია-ინდოეთი, შვედეთი-ისრაელი, რუმინეთი-ბულგარეთი.*

ნონა გაფრინდაშვილის თასისთვის, რომელიც 1998 წელს გათამაშდა პირველად და ქალთა და ვაჟთა ჯამური მაჩვენებლისთვის ენიჭება გუნდს, დღეისთვის 18 ქულით ჩინეთი ლიდერობს; რუსეთს, სომხეთს, უკრაინასა და ინგლისს 17-17 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ნაკრები

# შემადგენლობა გაირკვა

როგორც იცით, 25 ნოემბერს საქართველოს ნაკრები პოლონეთში მიემგზავრება, სადაც იქაური ფედერაციის 90-წლოვანი იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. ლეგიონერები ნაკრებს პოლონეთში შეუერთდებიან. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი გუნდი ამ შეჯიბრებაზე საუკეთესო შემადგენლობით მიდის. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იმედო ფხაკაძემ** შემდეგ ხელბურთელებს უხმო:

მეკარეები: **შოთა თევზაძე** (ბაკაუ, რუმინეთი), **კორნელი ანდრიაძე** (თბილისი), **გაგა ტორონჯაძე** (სტუ-შევარდენი);

მოედნის მოთამაშეები: **ვლადიმერ რუსია** (დინამო, რუმინეთი), **სერგო დათუკაშვილი** (გორენიე, სლოვენია), **რევაზ ჭანტურია** (მეტალურგი, მაკედონია), **ირაკლი ჩიქოვანი** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **ლევან ბერძენიშვილი** (ტრაბზონი, თურქეთი), **შოთა გრიშიკაშვილი** (ორმანი, თურქეთი), **ვანო ქარდავა** (თბილისი), **გიორგი ჩიქოვანი** (სტუ-შევარდენი), **რატი მსხვილიძე** (უგუნდო), **გიორგი ნივნივაძე** (თბილისი), **ილია გოგალაძე** (სტუ-შევარდენი), **უჩა მაისურაძე** (თბილისი), **აკაკი ტალახაძე** (უგუნდო).

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# სერგომ ერთი გაიტანა

ევროპის თასზე მოასპარეზე "გორენიემ" ჩერნოგორიულ "ლოვჩენს" უმასპინძლა და დიდი უპირატესობით, 35:16 სძლია. "გორენიეს" შემადგენლობაში **სერგო დათუკაშვილმა** იასპარეზა და ერთი გოლი გაიტანა. ჩერნოგორიაში განმეორებითი მატჩი 22 ნოემბერს გაიმართება. წყვილის გამარჯვებული მერვედფინალში გადის.

აქვე გეტყვით, რომ "გორენიე" სლოვენიის ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და მეორე საფეხურზე მყოფ "კოპერს" ორი ქულით უსწრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჭიდაობა

# სახელოვანი ვეტერანის ნაკვალევზე

საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ უსახელებია ჩვენი ქვეყანა სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1981 წლის მსოფლიოს ჩემპიონსა და მსოფლიო თასის მფლობელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოთხგზის გამარჯვებულს, საკავშირო თასის ორგზის მფლობელს, სსრკ-ის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონს **მიხეილ სალაძეს** (100 კგ). ეფექტიანი ჭიდაობით აღაფრთოვანებდა გულშემატკივრებს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ბატონი მიხეილი, პასუხსაგებ თანამდებობაზე მყოფი, კვლავაც სამშობლოს ემსახურება. არც ყმაწვილურ გატაცებას ივიწყებს - ხშირად ნახავთ დარბაზებში, სადაც „კლასიკოსები" ელვისებური ფანდებით ხიბლავენ ქომაგებს. ამ დღეებში საქართველოს ოლიმპიური რეზერვის მზადების ეროვნულ ცენტრს ეწვია - აქ მისი სახელობის ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ სხვადასხვა რეგიონის 200-მდე ჭაბუკმა მოიყარა თავი. საპრიზო ადგილებისთვის 1992-1993 წლებში დაბადებულები იბრძოდნენ.

- ამ ასაკის მოჭიდავეები ახლა იკვალავენ გზას დიდი სარბიელისკენ, - მითხრა შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა**. - ყველაზე ტიტულოვანი სენაკელი გიორგი დავითაია იყო. მან შარშან შავი ზღვის პირველი თამაშები მოიგო, წლეულს თანატოლთა ევროპის პირველობაზე კი „ბრინჯაო" ხვდა. ახლაც მესამე ადგილზე გავიდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ 50-დან 63 კილოში გადაინაცვლა. ამგვარი ნახტომით ახალ წონაში გაშინაურება ჯერჯერობით გაუჭირდა. მჯერა, რომ მას ისევ ვიხილავთ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ტურნირზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ლევან არაბულმა, შალვა გოგენაშვილმა, გოგიტა ხურციამ, თემურ ბაბილუამ და სხვებმა, თუმცა, ერთი შეჯიბრებით საბოლოო დასკვნების გაკეთება ნაადრევია. გაისად ბიჭები რამდენიმე პაექრობაში გამოცდიან ძალებს. საქართველოს პირველობის შემდეგ შევარჩევთ ნაკრების კანდიდატებს, რომლებიც სანვრთნელ შეკრებას გაივლიან, იასპარეზებენ ბაქოს, თურქეთის, რუსთავში თემურ ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირებში. მერე კი დაკომპლექტდება ქვეყნის ჭაბუკთა გუნდი, რომელიც სერბეთში ევროპის პირველობაზე გამოვა.

როგორც ხედავთ, ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა. მთავარია, საამისოდ პირადმა მწვრთნელებმა მეტი იმუშაონ შეგირდებთან როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ 2009 წლის იანვრიდან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საგულისხმო ცვლილებებია მოსალოდნელი...

შთაბეჭდილებების გაზიარება მიხეილ სალაძესაც ვთხოვეთ:

- მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომლებმაც ჩემი სახელობის ტურნირი წლეულს მეთორმეტედ ჩაატარეს. კარგი ბიჭები ვიხილეთ ხალიჩაზე. ვიმედოვნებ, რომ ასპარეზობის მონაწილეთაგან ძალიან ბევრი მალე საერთაშორისო სარბიელზე გვასახელებს.

**ვაჟა დანელია**

**კვარცხლბეკი**

39 კგ: 1. **ბაკურ გოგოლი** (სენაკი), 2. **გოდერძი დეკანაძე** (ხული), 3. **გიორგი ტოტიკაშვილი** (ნორიო) და **გიორგი შუბაშაშვილი** (ნორიო).

42 კგ: 1. **ნიკა მამადაშვილი** (ნორიო), 2. **მურთაზ ჩაბრავა** (სენაკი), 3. **დავით სანიკიანი** (ქუთაისი) და **დიმიტრი ქაჯაია** (წყალტუბო).

46 კგ: 1. **ამირან შავაძე** (ხული), 2. **გოგიტა ხურცია** (წყალტუბო), 3. **ნოდარ დოლიძე** (ოზურგეთი) და **თორნიკე მერაბიშვილი** (სართიჭალა).

50 კგ: 1. **დემეტრე ხურცია** (სენაკი), 2. **ბაჩანა ფუტკარაძე** (ბათუმი), 3. **ლაშა ქიქავა** (აბაშა) და **დავით შვანგირაძე** (თბილისი).

54 კგ: 1. **სულხან ნიკოლიშვილი** (ნორიო), 2. **ლევან ყურფარაშვილი** (ნორიო), 3. **რამაზ სურმანიძე** (ხული) და **აბესალომ ქათამაძე** (ზესტაფონი).

58 კგ: 1. **თორნიკე თურქიშვილი** (ნორიო), **თემურ რუხაძე** (ქუთაისი), 3. **თარხან ხარებავა** (ძვ. სენაკი) და **კოტე ჩხაიძე** (ხელვაჩაური).

63 კგ: 1. **თორნიკე ძამაშვილი** (მარტყოფი), 2. **ფარნავაზ ბეჟანიძე** (აჭარა), 3. **გიორგი დავითაია** (სენაკი) და **ლევან გუნია** (ძვ. სენაკი).

69 კგ: 1. **რობერტ რასოიანი** (თბილისი), 2. **თემურ ბაბილუა** (ძვ. სენაკი), 3. **ბექა ფანჩულიძე** (ქუთაისი) და **დავით ჩიტაძე** (ხული).

76 კგ: 1. **შალვა გოგენაშვილი** (თბილისი), 2. **გიორგი მექვაბიშვილი** (ოზურგეთი), 3. **ლაშა შალიკაშვილი** (თბილისი) და **ლაშა დოლიძე** (ბათუმი).

85 კგ: 1. **ლუკა ჩირგაძე** (წყალტუბო), 2. **გიორგი შპეტიშვილი** (მარტყოფი), 3. **ბექა ქურციკიძე** (ქუთაისი) და **თორნიკე მუსელიანი** (თბილისი).

100 კგ: 1. **ლევან არაბული** (თბილისი), 2. **გია ბალაშვილი** (თბილისი), 3. **შოთა გოგისვანიძე** (ქუთაისი) და **გიორგი ცირამუა** (აფხაზეთი).

მხატვრული ტანვარჯიში

ინტერვიუ მზევინარ სამუკაშვილთან

# ლონდონში აუცილებლად წავალ

ბათუმში ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა, სადაც მზევინარ სამუკაშვილმა გაიმარჯვა. ქვეყნის პირველობის შესახებ "ლელოს" წინა ნომერში ვრცლად გიამბეთ, ახლა კი რამდენიმე კითხვას ჩემპიონს დავუსვამთ. მანამდე კი, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ სამი წლის ასაკიდან იგი რუსეთში ცხოვრობდა, საქართველოში, მხოლოდ და მხოლოდ, ტანვარჯიშის გამო დაბრუნდა და მალევე გახდა ჩვენი გუნდის ლიდერი. დანარჩენს მზეო თავად გიამბობთ.



- ყოველთვის მინდოდა, რომ საქართველოს ღირსება დამეცვა და ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ფიქრია ფანქველაშვილის ძალისხმევით ორი წლის წინათ დავბრუნდი სამშობლოში. აქ დასამკვიდრებლად საკმაოდ ბევრი სირთულე გამოვიარე, მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს ყველაფერი კარგადაა.

**- საქართველოში ოჯახთან ერთად დაბრუნდი?**

- არა, მარტო წამოვედი. ჩემი მშობლები და და-ძმა პერმში დარჩნენ. თუმცა ის, რომ დღეს საქართველოში ვარ და ჩემი სამშობლოს ღირსებას ვიცავ, ჩემი მშობლების დამსახურებაა.

**- საქართველოს მოქალაქეობა როდის მიიღე?**

- სანამ საქართველოს სახელით გამოვიდოდი, იქამდე ცოტა ხნით ადრე. რუსეთის მოქალაქეც ვარ, ორმაგი მოქალაქეობა მაქვს. საქართველოდან წასვლას აღარ ვაპირებ. სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავაბარე და ვცდილობ, სპორტს სწავლაც შევუთავსო.

**- აქ ჩამოსვლამდე საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლის გამოცდილება თუ გქონდა?**

- არა, მხოლოდ რუსეთის მასშტაბით ვასპარეზობდი, პერმის გუნდთან ერთად რუსეთის ჩემპიონატსა და სხვადასხვა ადგილობრივ ტურნირზე გამოვდიოდი.

**- საქართველოს ჩემპიონობა გაგიჭირდა?**

- კარგ ფორმაში ვარ და ბათუმში მაღალ დონეზე ვიასპარეზე. პირველ დღეს ციცია მკერვალი ლიდერობდა, მაგრამ თავდაჯერება არ დამიკარგავს და ვფიქრობ, დამსახურებულად გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

**- ევროპის ჩემპიონატზე რა მიზანს ისახავ?**

- შევეცდები, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავო. პროგრესი ნამდვილად მაქვს და შედეგებს ეტაპობრივად გავაუმჯობესებ. საერთაშორისო გამოცდილებაც დამიგროვდა, უკვე არაერთ მნიშვნელოვან საზღვარგარეთულ ტურნირზე ვარ ნამყოფი.

**- ოლიმპიური ლიცენზია, ალბათ, შენი უახლოესი ამოცანაა.**

- დიახ, პეკინში მოხვედრამდე მცირედი დამაკლდა. ლონდონის ოლიმპიადაზე აუცილებლად წავალ, ამ თამაშებმა უჩემოდ არ უნდა ჩაიაროს. შრომას ძველებურად გავაგრძელებ და საქართველოს აუცილებლად ვასახელებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი

# გადამწყვეტი სეზონის წინ

18 წლის **ანა ტატიშვილმა** გასულ კვირაში დაასრულა საჩოგბურთო სეზონი, რომელიც მის ხანმოკლე კარიერაში საუკეთესო იყო. სან დიეგოს (50 ათასი $) ტურნირი, სადაც ანამ მეოთხედფინალამდე გააღწია, უკანასკნელი იყო ამერიკის შეჯიბრებების წლის კალენდარშიც, ანამაც დროებით ჩოგანი გვერდით გადადო, მაგრამ მალე ჩვეინებური ახალი, გადამწყვეტი სეზონისთვის მზადებას შეუდგება.

ვერ ვიტყვით, რომ საჩოგბურთო ტალანტებით განებივრებულნი ვართ (თუმცა არც უამისობაა), ამიტომაც კორტებზე ანა ტატიშვილის გამოჩენამ მაშინვე იმედი ჩაგვისახა. ანა ამერიკაში, წარსულში მსოფლიოს პირველი ჩოგნის **ქრის ევერტის** აკადემიაში ემზადებოდა და მალე თავად ევერტის ერთ-ერთი რჩეული მოწაფეც გახდა. ახალგაზრდულ ასპარეზზე ტატიშვილმა 16 წლის ასაკში (18-წლამდელებს შეუძლიათ თამაში) მსოფლიოს მე-19 ჩოგნობამდე მიაღწია. დიდებში ჯერ კიდევ 14 წლისამ ითამაშა, მაიამის 10-ათასიან ტურნირში. მალე ქართველს უდიდესი საჩუქარი გაუკეთეს – 15 წლის გოგონა მაიამის პირველი კატეგორიის ტურნირში „ველური ბარათით“ მიიპატიჟეს. ანამ პირველ წრეში მაშინ ტოპასეულის წევრ **არანჩა პარა-სანტონიას** მეორე სეტი 6:0 მოუგო, მესამეში კი 2:0 დაწინაურდა. ამან პუბლიკა გააოგნა, თუმცა, სამწუხაროდ, ქართველი თავადაც დაიბნა. ანა იმ დღეს იხსენებს: *„როცა წარმოვიდგინე, რომ მოგება შემეძლო საოცრად ავნერვიულდი და მატჩი დავთმე“*. ერთი წლის შემდეგ ანა სამჯერ მიიწვიეს დიდ ტურნირებში, ჯერ ინდიან ველსში, შემდეგ მაიამიში და ჩარლსტონში. მაიამიში ანამ საჩოგბურთო სამყაროს პირველი სენსაცია უძღვნა– ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი **სანია მირზა** დაამარცხა და მხოლოდ რუს **ელენა დემენტიევასთან** დაყარა ფარ-ხმალი. „ველური ბარათებით“ ქართველ ჩოგბურთელთაგან ყველაზე მეტად სწორედ ანას ანებივრებდნენ, მაგრამ იშვიათ გაბრწყინებებს სტაბილური პროგრესი, არ მოჰყოლია. ტატიშვილმა 2006 წლის სეზონი მე-300 ადგილზე დაასრულა, შარშანდელი კი – 285-ეზე. ერთი წლის განმავლობაში 15-ადგილიანი წინსვლა ვერაფერი პროგრესია. ამერიკელ სპეციალისტთა ნაწილმაც ხელი ჩაიქნია... და შეცდა.

წლეულს მას ნაკლებად წყალობდნენ „ველური ბარათებით“, მაგრამ ანას შრომამ შედეგი გამოიღო. როგორც თავად ამბობს, 4 წლის ასაკიდან იგი ჩოგნით და ბურთით უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე მეგობართა წრეში. დილის შვიდი საათიდან ვარჯიშს იწყებს და საღამოს ცხრა საათისთვის დაღლილი იძინებს, თუ ტურნირებში არ თამაშობს. და პირველი „გასროლის“ დროც დადგა – ივნისში მექსიკის საზღვართან ქალაქ ელ-პასოს ტურნირი მოულოდნელად ქართველმა ჩოგბურთელმა მოიგო. ეს მისი პირველი ტიტულია პროფესიონალებში. პირველს მალე მეორე მოჰყვა, ბოსტონში ანა ტატიშვილმა 50-ათასიანი ტურნირი მოიგო, პირველად შევიდა მოწინავე ორასეულში და ქართველთა შორის **მაკა ჩახნაშვილის** სამწლიანი პირველობაც დაამხო.

ანა ტატიშვილმა ორშაბათს კარიერის ახალ ნიშნულს მიაღწია, ის მსოფლიოს 160-ე ჩოგანია. ბუნებრივია, მას ჯერ კიდევ არ მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები, მაგრამ ჩვენთვის ესეც გვარიანი მიღწევაა. ბოლო ათწლეულებია, რაც ქართული ჩოგბურთი მსოფლიო ჩოგბურთის არიერგარდშია და მთლად ფეხსაც ვერ უწყობს თანამედროვეობას. ტატიშვილის ჰონორარმა 100 ათას დოლარს მიაღწია. მომავალი წლის დასაწყისში ანას, სავარაუდოდ, „დიდი სლემის“ ტურნირში, ავსტრალიის ღია პირველობაზე ვიხილავთ, ჯერ საკვალიფიკაციო ბადეში.

მაინც რა იყო წლეულს ანას წარმატების მიზეზი? მის გაბრწყინებას ხომ 2006 ან 2007 წლებში უფრო ელოდნენ? თავად ჩოგბურთელს მოვუსმინოთ: *„გასულ წლებში პრაქტიკულად არ მყოლია პირადი მწვრთნელი. ბოკა რატონის აკადემიაში ხან ვისთან და ხან ვისთან ვვარჯიშობდი, ასე კი შედეგს ვერ მიაღწევ. წლეულს ეან მაიერი მავარჯიშებს, რომელიც ადრე სალომე დევიძესთან და ლადო ჩიხლაძესთან მუშაობდა. შედეგიც სახეზეა“*. ტატიშვილს არ უთქვამს, თუმცა ვიცით, რომ **მაიერი** მას უანგაროდ ეხმარება და საქართველოს პირველ ჩოგანს არ ჰყავს სპონსორი, რომელიც მწვრთნელის ხარჯებს დაუფარავს. „რაც შეიძლება წინ“ – ეს ანას დევიზია, ის არ გეგმავს წინასწარ თუ რომელ ადგილამდე მიღწევას აპირებს, რადგან რამდენჯერაც წინდაწინ განაცხადა, „არ გამოუვიდა“. რას ვიზამთ, სპორტსმენთა დიდი ნაწილს თავი ვერ დაუღწევია ცრურწმენებისგან. ტატიშვილი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს: *„არ არსებობს ზედა ზღვარი, რომლის იქით მიღწევა შეუძლებელია. თუ ფიზიკური რესურსები ამოგეწურება, ფსიქოლოგიურად გაძლიერებით შეგიძლია მოუმატო“*. კარგია, როცა სპორტსმენს შრომა არ ეზარება და ის ოპტიმისტურადაა განწყობილი - ახალი სეზონი ხომ, სავარაუდოდ, გადამწვეტი იქნება 18 წლის ანა ტატიშვილის კარიერაში...



ანა ტატიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შაფათავამ რუსი დაამარცხა

**სოფიო შაფათავას** (253) წარმატებული სტარტი ჰქონდა ყაზახეთში, სადაც ასტანის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) მე-2 ნომრად განთესეს. 19 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა რუს **მარინა მელნიკოვას** (484) აჯობა – 7:5, 6:2. ჯერ არ არის ცნობილი, თუ ვის შეხვდება შაფათავა მერვედფინალში - ქართველი უკრაინელების, **ლუდმილა კიჩენოკის** (717) და **ელიზავეტა რიბაკოვას** მატჩს ელის. პოლონეთის ქალაქ ოპოლეში საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $) იწყება, სადაც განთესილთა შორის იქნება **მაკა ჩახნაშვილი** (222), ძირითადი ბადე წუხელ გვიან გამოქვეყნდებოდა.



სოფიო შაფათავა

დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო დომინგოში დასრულდა საკვალიფიკაციო ბადის მატჩები, ფინალურ წრეში ორი ქართველი იყო გასული – მე-5 ნომრად განთესილი **ლადო ჩიხლაძე** და **მიხეილ ჩადუნელი**. ჩიხლაძე მე-15 ნომრად განთესილ ამერიკელ **რობერტ ხურის** (1659) შეხვდა და 6:0, 6:4 აჯობა, ხოლო ჩადუნელი მე-7 ნომრად განთესილ ჩეხ **რადიმ ჟიდკოსთან** (1212) დამარცხდა – 3:6, 2:6. ძირითად ბადეში ლადოს პირველი მეტოქე ბელგიელი **დავიდ კოფინი** (711) იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი და პროფკავშირები

# საანგარიშო და არა საარჩევნო

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი (თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი**) აქტიურობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ორგანიზაციაა დარგობრივ პროფკავშირებში. ახალი წესით, მათი ყრილობები უკვე ყოველწლიურად იმართება - საანგარიშო და არა საარჩევნო. საარჩევნოს ცალკე ვადა აქვს. ქართული სპორტის პროფკავშირულმა სამყარომ გუშინ სწორედ საანგარიშო ყრილობა გამართა. მოხსენებით გამოვიდნენ იროდი ბეჟაშვილი და საკონტროლო-სარევიზო კომისიის თავმჯდომარე **სოლომონ ბაიაშვილი**.

მომხსენებლებმაც და გამომსვლელებმაც ხაზი გაუსვეს ქართულ სპორტში თავჩენილ პრობლემებს, რომელიც, როგორც ითქვა, კიდევ უფრო გაღრმავდება თუ სპორტის აკადემიის სტატუსი არ აღდგა და სპეციალისტთა ახალი კადრები არ მომზადდა.

ყრილობამ აირჩია გაერთიანების X საანგარიშო ყრილობის დელეგატები. ამ გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი **ვახტანგ მაჭავარიანი** ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა.

**„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 54 წლისა გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი, წარსულში ფეხბურთში ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების მეკარე, სპორტის ოსტატი**

**ზაზა კახაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

კალათბურთი

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატები

18–წლამდელთა ჩემპიონატი. მესამე ტური

**14 ნოემბერი. რუსთავი**

**რუსთავი–დინამო 64:79**

14:18 22:21 18:21 10:19

რუსთავი: დვალიშვილი (35 ქულა, 19 მოხსნა)

დინამო: ბაქრაძე (32), ალხანაიძე (14 ქულა, 13 მოხსნა)

16 ნოემბერი. თბილისი. სასოფლოს დარბაზი

**სამედიცინო–ნაკრები93 77:47**

36:6 10:14 20:15 11:12

სამედიცინო: ლეჟავა (21), ბექაური 14 ქულა, 16 მოხსნა), წიკლაური (14)

ნაკრები 93: ბურჯანაძე (15 ქულა, 10 მოხსნა), მესხი (6)

**მართვე–ენერჯი—ინვესტი 71:64**

17:20 21:15 14:21 19:8

მართვე: ტეტელაშვილი (24 ქულა, 16 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ჭოხონელიძე (18 ქულა, 11 მოხსნა)

ენერჯი: გურაბანიძე (14), ელანიძე (12)

**მართვე2–ქუთაისი 106:110**

19:16 14:24 24:24 30:23 19:23

მართვე2: გლოველი (47 ქულა, 11 მოხსნა), ჭიჭეიშვილი (18), ვაშაყმაძე (18 ქულა, 14 მოხსნა).

ქუთაისი: კანდელაკი (33 ქულა, 13 მოხსნა), ტუკვაძე (27 ქულა, 15 მოხსნა), ბერძენაძე (19 ქულა, 11 მოხსნა)

# გლოველის 47

18-წლამდელები აქამდე აკადემიის დარბაზში თამაშობდნენ, ახლა კი სასოფლოში გადაბარგდნენ და პირველივე დღეს თვალსასეირო მატჩიც გაიმართა. „მართვე 2–ისა“ და „ქუთაისის“ დაპირისპირებაში დამატებითი დრო დაინიშნა. არც ერთ გუნდს არ უნდოდა დათმობა, წინ გასვლის უფლებას არ აძლევდნენ ერთმანეთს, მაგრამ საბოლოოდ ქუთათურებმა იმარჯვეს, გადამწყვეტ მომენტში ფარზეც იყოჩაღეს და მეტი შედეგიანი გარღვევა განახორციელეს. **გიორგი გლოველმა** მიმდინარე გათამაშების რეკორდის გარდა, 47 ქულა მიითვალა, მაგრამ "მართვეებს" მისმა ბომბარდირობამ ვერ უშველა.

თუმცაღა, იმავე დღეს, მართვეს სპორტსკოლის წარმომადგენლებმა მაინც გაიხარეს. "მართვემ" **ნიკო ჩერქეზიშვილის** გაწვრთნილი თბილისური „ენერჯი–ინვესტი“ 71:64 დაამარცხა, რაც 24 ქულისა და 16 მოხსნის მიმთვლელი **გიორგი ტეტელაშვილის** დიდი დამსახურებაა.

შესანიშნავი სტატისტიკა ჰქონდა „დინამოსთან“ მატჩში რუსთაველ **აკაკი დვალიშვილს** (25 ქულა, 19 მოხსნა), თუმც მისი თანაგუნდელებიდან ვერც ერთი ასცდა ათქულიან ზღვარს და ქვემოქართლელებმა 64:79 წააგეს.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| მართვე | 3 | 3 | 0 | 6 |
| ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 5 |
| სამედიცინო | 3 | 2 | 1 | 5 |
| აკადემია | 2 | 2 | 0 | 4 |
| რუსთავი | 3 | 1 | 2 | 4 |
| მართვე2 | 3 | 1 | 2 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 3 |
| ნაკრები93 | 3 | 0 | 3 | 3 |
| ენერჯი | 2 | 0 | 2 | 2 |

20-წლამდელთა ჩემპიონატი

**14 ნოემბერი. რუსთავი**

**რუსთავი–აკადემია 72:74**

24:13 21:23 15:18 12:20

**რუსთავი:** მაჭავარიანი (17), ხმელიძე (15), დვალიშვილი (12 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაფარება)

აკადემია: ბოქოლიშვილი (27), მეფარიშვილი (12)

16 ნოემბერი. თბილისის სპორტის სასახლე

**სამედიცინო–რუსთავი 75:94**

12:27 17:25 20:27 26:15

სამედიცინო: ლეჟავა (15), ჩქარეული (13), გაბისონია (10 ქულა, 11 მოხსნა)

რუსთავი: მაჭავარიანი (17), ჩაჩანიძე (16), ხმელიძე (13)



შეტევაშია გიორგი გლოველი

**მართვე–მაკაბი 64:105**

12:24 15:30 13:18 24:33

მართვე: დ. მუმლაძე (25 ქულა, 10 მოხსნა), მეჭურჭლიშვილი (12 ქულა, 1 მოხსნა)

მაკაბი: ჯანგველაძე (28), იოსელიანი (21 ქულა, 9 მოხსნა, 4 დაფარება)

დაძაბულ და დრამატულ მატჩს უმასპინძლა რუსთავმა, ახალგაზრდული ჩემპიონატის სატახტო ქალაქმა. საქართველოში ჩატარებული ექვსი ოცწლამდელთა ჩემპიონატიდან ოთხის მომგები „რუსთავი“ „აკადემიას“ მასპინძლობდა და თავისი სუპერლიგაში ნათამაშევი ლიდერებით თავიდანვე საიმედოდ იგებდა.

სუპერლიგა ვახსენეთ და **ზურაბ მაჭავარიანი** და აკაკი დვალიშვილი გასულ სეზონშიც თამაშობდნენ „ენერჯის“ დიდ გუნდში, ხოლო მათ რიცხვს ახლა **ლექან ხმელიძეც** დაემატა, რომელიც რუსთაველთა ხელმძღვანელობამ სუპერლიგის მატჩშიც გამოსცადა. აკადემიელებსაც ჰყავთ სუპერლიგური "სასოფლოს" წევრები – **მერაბ ბოქოლიშვილი** და **დავით გასიტაშვილი**, რომლებმაც თავის რუსთაველ ოპონენტებს საბოლოოდ მაინც აჯობეს.

თამაშის ბოლო მეოთხედამდე ქვემოქართლელები იგებდნენ, **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილი „აკადემია“ კი 10–16 ქულის დისტანციაზე მიჰყვებოდა მასპინძლებს და ბოლო მეოთხედში გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა. უდავოდ გამოსარჩევი იყო ბოქოლიშვილის თამაში, რომელმაც საბოლოოდ 28 ქულა მიითვალა, ხოლო მისი დამხმარენი ბოლო წუთებში **კახა მუმლაძე, გოგა ჯავახიშვილი** და დავით გასიტაშვილი გახდნენ.

აკადემიელებმა პირველი ლიდერობა საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე მოიპოვეს, როცა ბოქოლიშვილის გარღვევამ 65:64 ანგარიში დააფიქსირა. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და ბოლო წამებზე ყველაფერი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყდა. რუსთაველ **მალხაზ აბაიშვილს** მატჩის დამატებით დროში გადაყვანა შეეძლო, მაგრამ მისი სროლა მიზანს ასცდა. შედეგად „აკადემიამ“ სამიდან მესამე გამარჯვება მოიპოვა და 20–წლამდელთა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია.

კვირას უკვე თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩებს. კალენდარი ისეა შედგენილი, რომ რუსთაველებს ორ დღეში თბილისშიც მოუწიათ თამაშმა და მათ „აკადემიასთან“ მარცხის დარდი „სამედიცინოს“ ძლევით გაიქარვეს.

ბოლო შეხვედრაში კი გასული სეზონის ფინალისტმა და ახლა საჩემპიონოდ შემართულმა „მაკაბიმ“ მართვე არ დაინდო და მთელი 41 ქულით მოუგო. მაკაბელთა წარმატება არცაა გასაკვირი – ეს გუნდი ხომ სუპერლიგაშიც თამაშობს და მართალია, ყველასთან აგებს, მაგრამ იმხელა გამოცდილებას მაინც იღებს, რომ 20–წლამდელთა ჩემპიონატში თავი არავის დააჩაგვრინოს.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 3 | 3 | 0 | 6 |
| რუსთავი | 3 | 2 | 1 | 5 |
| მაკაბი | 2 | 2 | 0 | 4 |
| ქუთაისი | 2 | 0 | 2 | 2 |
| სამედიცინო | 2 | 0 | 2 | 2 |
| მართვე | 2 | 0 | 2 | 2 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — ინტერვიუ ჩარლზ ბარკლისთან

# სკოლის მოსწავლეს ლიგაში არაფერი ესაქმება



**ლეგენდარული ჩარლზ ბარკლი ამჟამად Turner Sports-ზე ანალიტიკოსად მუშაობს. "სერ ჩარლზმა" ინტერვიუ მისცა Athlon Sports ProBasketball-ს, სადაც ლიგის ბოლოდროინდელ პროგრესს ხსნის, საკუთარ აზრს გვიზიარებს ახალბედებზე და მათი აყვანის სისტემაზე და ამტკიცებს, რომ მზად არის გენერალური მენეჯერის პოსტზე სამუშაოდ.**

**- როგორ ფიქრობთ, შარშანდელი სეზონის ფინალში "ბოსტონისა" და "ლეიკერსის" კლასიკური დაპირისპირების აღდგენა ხელს შეუწყობს თუ არა NBA-ის მიმართ შენელებული ინტერესის გაზრდას?**

- არა მგონია. ჩემი აზრით, ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ლიგა ისედაც იბრუნებს ძველ პოზიციებს. რა თქმა უნდა, თქვენ მიერ ნახსენები გუნდების ფინალში თამაში ამ პროცესს გარკვეულწილად ხელს უწყობს, მაგრამ თუ სატელევიზიო რეიტინგებსა და მაყურებლების დასწრებას გადავხედავთ, დაახლოებით სამწლიანი ჩავარდნის შემდეგ, ლიგა თავის საუკეთესო მაჩვენებლებს აფიქსირებს.

**- 90-იანი წლების ბოლოსა და ახალი საუკუნის დასაწყისში, თამაშები ხშირად მთავრდებოდა ანგარიშით - 72:58. რა იყო ასეთი დაბალი შედეგიანობის მიზეზი?**

- ეს ყველაფერი ცუდი მოთამაშეებით იყო განპირობებული. გარკვეული პერიოდი, ლიგაში პირდაპირ სკოლის მერხიდან მოდიოდნენ მოთამაშეები. მართალია, ისინი ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ უნდა ეთამაშათ. ვფიქრობ, ჯობდა ისინი ჯერ უნივერსიტეტებში დარჩენილიყვნენ. სწორედ ამ პერიოდში დაეცა ლიგის რეიტინგი. ჩემი აზრით, პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა.

**- მაგრამ რამდენად იყო ეს პროცესი დამოკიდებული კლუბების მფლობელებზე, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს დრაფტზე ირჩევდნენ და ასე ცდილობდნენ შემადგენლობის გაძლიერებას?**

- ჩემი აზრით, მფლობელები შეგნებულად აკეთებდნენ ამას. იმედი ჰქონდათ, რომ გუშინდელი მოსწავლეები კობი ბრაიანტებად ან კევინ გარნეტებად გაიზრდებოდნენ. ახალწვეულებს ხომ პირველი კონტრაქტის მიხედვით თითქმის არაფერს უხდიან. და თუ მეპატრონეებს გაუმართლებდათ, ოთხი წლის განმავლობაში მათი გუნდისთვის ნამდვილი ვარსკვლავი ითამაშებდა. მაგრამ, საერთო ჯამში, რამდენი კობი ბრაიანტი ან კევინ გარნეტი აღმოაჩინეს მათ? ძალიან ცოტა.

**- ადრე კარგი გუნდები აძლევდნენ ნორჩ ტალანტებს თავის გამოჩენის საშუალებას, რადგან შეეძლოთ ისინი სათადარიგოთა სკამზე დაესვათ და თან კალათბურთის თამაში ესწავლებინათ. თქვენგან ნახსენებ პერიოდში კი უკვე აუთსაიდერებიც ებღაუჭებოდნენ მოუმზადებელ მოსწავლეებს. მაგალითად, "ჩიკაგომ" პრაქტიკულად გაანადგურა თავისი შემადგენლობა, როცა სკოლის ორი კურსდამთავრებული - ედი კარი და ტაისონ ჩენდლერი ერთ დრაფტზე აიყვანა. რატომ მოხდა ასე?**

- არა მგონია, რომ "ჩიკაგოს" ხელმძღვანელობა დაინტერესებული ყოფილიყო მათი ნიჭით. უბრალოდ, ეკონომიის გაკეთება გადაწყვიტეს - ორ კალათბურთელს ოთხი წლით პრაქტიკულად უფასოდ ათამაშებდნენ. დაფიქრდით ამაზე: თუ თქვენი გუნდი ისედაც ვერ ბრწყინავს, რა საჭიროა კიდევ სკოლის მოსწავლის აყვანა, რომლის მაღალი დონის კალათბურთელად ჩამოყალიბებისთვის წლებია საჭირო? გავიმეორებ, რომ მფლობელები არსებულ სისტემას თავიანთი ინტერესებისთვის იყენებდნენ. როგორც უკვე გითხარით, ახალბედები პირველი კონტრაქტით ძალიან მცირე თანხას იღებენ. მაგრამ თუ მეპატრონეებს გაუმართლებთ და მაინც იპოვიან ვარსკვლავს, ის მათ თითქმის უფასოდ უვარდება ხელში. თუ არა - თავიდან იშორებენ და კვლავ ცდიან ბედს. ამ შემთხვევაში ლოგიკა არ მუშაობს. თუ თქვენი გუნდი ვერ თამაშობს, უმჯობესი არ არის, უკვე საქმეში შემოწმებული კალათბურთელები აიყვანოთ?!

**- დიახ, მაგრამ ბოლო დრაფტზე სარეკორდო რაოდენობის პირველკურსელები აიყვანეს, მათ შორის პირველი ნომრები: დერეკ როუზი, მაიკლ ბიზლი, ო ჯეი მაიო და კევინ ლავი. ეს იგივე არ არის?**

- მე ეს ფაქტიც არ მომწონს. მერჩივნა მათ კიდევ ორი წელი ეთამაშათ უნივერსიტეტის გუნდებში. და მაინც, ისინი უფრო ჩამოყალიბებული კალათბურთელების შთაბეჭდილებას ტოვებენ და უკეთ თამაში შეუძლიათ, ვიდრე სკოლის მოსწავლეებს. პრობლემა იმაშია, რომ თუ მოთამაშე სკოლის დონეზე ითვლება ვარსკვლავად, ეს თითქმის არაფერს ნიშნავს. ამას ყოველთვის ხაზს ვუსვამდი. შეიძლება სკოლაში ისინი ყველაზე მაგრები არიან, მაგრამ, როცა მათ დრაფტზე ვირჩევთ და NBA-ში თამაშის საშუალებას ვაძლევთ, ისინი უკვე ველარ დომინირებენ მოედანზე, იბნევიან და კითხულობენ: "რა ვქნათ ახლა?" ამიტომაც არის უნივერსიტეტი ერთგვარი გარდამავალი პერიოდი. სკოლაში ყველას იოლად ვჯაბნიდი. უნივერსიტეტში მოვხვდი და აღმოვაჩინე, რომ სხვებსაც შესძლებიათ თამაში. სწორედ იქ დავიწყე კალათბურთის შესწავლა, რადგან აღარ ვიყავი ყველაზე დიდი და ძლიერი. სეზონის პირველი ექვსი კვირა თითქმის არაფერი გამომდიოდა. ყოველდღე რაღაც ახალს ვითვისებდი. სკოლაში ასეთ ცოდნას არ იძლევიან.

**- უკვე ჩამოგიყალიბდათ საკუთარი აზრი დრაფტის პირველ ორ ნომერზე - როუზსა და ბიზლიზე?**

- ჯერ მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იმიტომ, რომ, რაც მათ უნივერსიტეტში აჩვენეს, ჩემთვის თითქმის არაფერს ნიშნავს. მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეეწყობიან ისინი NBA-ის სტილს. მე უფრო ატლანტელი ელ ჰორფორდი მომწონს. კევინ დიურანტთან დაკავშირებით არ ვიცი რა იქნება. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კი კლიპერსელმა ელ ტორნტონმა დატოვა. ის სუპერვარსკვლავად გაიზრდება, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ კოლეჯში კიდევ ორი წლით დარჩებოდა.

**- რამდენად იმოქმედა NBA-ის იმიჯზე ცნობილმა სამსაჯო სკანდალმა?**

- რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი კრიზისული მომენტი იყო, მაგრამ არა მგონია ერთი ადამიანის გარშემო ატეხილ სკანდალს მთელი ლიგის რეპუტაციაზე ემოქმედა. გაცილებით ცუდი იქნებოდა, თუ ამ საქმეში რამდენიმე ადამიანი გაერეოდა. ამასთან, სიმართლე გითხრათ, ლიგის ხელმძღვანელობას ბევრი არაფრის გაკეთება არ შეეძლო. თუ მოთამაშეს ან მსაჯს მაქინაციები აქვს ჩაფიქრებული, მათ ამაში ხელს ვერავინ შეუშლის. თუმცა ვიმედოვნებ, რომ ამაზე არავინ წავა. ისე კი მგონია, რომ ამ სიტუაციაში ლიგამ ძალიან ბევრი აიღო საკუთარ თავზე. რა მისი საქმეა, ვინ რას გააკეთებს თავისუფალ დროს. ეს უბრალოდ აბსურდია.

**- "ბოსტონის" ტრიუმფს დავუბრუნდეთ. გაგიხარდათ კევინ გარნეტის ტრიუმფი, თუ როგორც ჟურნალისტს შეჰფერის, ნეიტრალური პოზიცია დაიკავეთ?**

- კევინის წარმატება ძალიან გამიხარდა. ყოველთვის ვნერვიულობ დიად კალათბურთელებზე, რომლებიც ჩემპიონატის მოგებას ვერ ახერხებენ. პირსიც და ალენიც დიდი მოთამაშეები არიან, მაგრამ კევინს "მინესოტაში" არ გაუმართლა. ის ყოველთვის ბრწყინვალე კალათბურთელი იყო და აუცილებლად მოხვდება დიდების დარბაზში. ვქომაგობდი მას, როგორც ადრე კარლ მელოუნსა და ჯონ სტოქტონს.

**- მალე დადგება ის დღე, როცა ჩარლზ ბარკლის NBA-ის კლუბის გენერალურ მენეჯერად ვიხილავთ?**

- ამ პოსტზე მუშაობა ჩემი სურვილია. მიმაჩნია, რომ ამისთვის მზად ვარ. ტელევიზიაში ძალიან დიდხანს ვიმუშავე, იმაზე მეტი, ვიდრე დაგეგმილი მქონდა. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ გენერალური მენეჯერის ფუნქციების შესასრულებლად ზედგამოჭრილი მომენტია. ბევრი რამ ვისწავლე და მიმაჩნია, რომ ამ სამუშაოს ზოგიერთ უსაქმურზე უკეთ შევასრულებ. საოცარია, რამხელა ხელფასებს იღებენ ზოგიერთები გუნდის დანგრევის სანაცვლოდ. ჩემს შემთხვევაში ეს გამორიცხული იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ოკლაჰომა სიტი-ჰიუსტონი 89:100**

30:32, 20:24, 19:25, 20:19

ო: დურანტი (29+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), გრინი (16), უესტბრუკი (14+5 ჩაჭრა), სმიტი (10).

ჰ: სკოლა (23+9 მოხსნა), იაო მინი (19+12 მოხსნა+3 დაფარება), არტესტი (17+11 მოხსნა), ოლსტონი (13).

**იუტა-ფინიქსი 109:97**

23:32, 34:22, 26:23, 26:20

ი: ბუზერი (21+15 მოხსნა), მაილზი (21), კირილენკო (19+7 მოხსნა), ნაითი (12+6 პასი), მილსეპი (11+9 მოხსნა), კორვერი (11).

ფ: ა. სტაუდმაიერი (30+8 მოხსნა), ბარნსი (19), ნეში (14+8 პასი).

**კლიპერსი-სან ანტონიო 83:86**

23:21, 15:22, 26:25, 19:18

კ: მობლი (18), კამანი (17+13 მოხსნა+3 დაფარება), ბ. დეივისი (11+8 პასი), კემბი (7+9 მოხსნა+6 დაფარება).

ს-ა: რ. მეისონი (21), დანკანი (20+15 მოხსნა+6 დაფარება), ფინლი (19).

### კვირის მოთამაშეები

"კლივლენდის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "დენვერის" მცველი **ჩონსი ბილაპსი** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

ჯეიმსმა ეს ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა. NBA-ის სუპერვარსკვლავი საშუალოდ მატჩში 33.7 ქულას აგროვებდა (ამას ემატება 8.0 პასი და 6.0 მოხსნა), რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო აღმოსავლეთში. ლებრონმა სამიდან სამ მატჩში მოაგებინა "კლივლენდს" და "მილუოკისთან" შეხვედრაში ამ სეზონში მესამედ შეძლო 41 ქულის აღება.

დასავლეთის ლაურეატის ბილაპსის სტატისტიკური მაჩვენებელი 21.5 ქულასა და 5.8 პასს შეადგენდა. ჩონსიმ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "კლივლენდთან" მატჩში. ლებრონისა და კომპანიის წინააღმდეგ დენვერელმა გამთამაშებელმა 26 ქულა დააგროვა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 11 | 9 | 2 | 81.8 |
| 2. კლივლენდი | 10 | 8 | 2 | 80.0 |
| 3. ორლანდო | 10 | 7 | 3 | 70.0 |
| 4. დეტროიტი | 10 | 7 | 3 | 70.0 |
| 5. ატლანტა | 9 | 6 | 3 | 66.7 |
| 6. ნიუ იორკი | 10 | 6 | 4 | 60.0 |
| 7. ტორონტო | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 8. მაიამი | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 9. ფილადელფია | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 10. ჩიკაგო | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 11. მილუოკი | 11 | 5 | 6 | 45.5 |
| 12. ინდიანა | 9 | 4 | 5 | 44.4 |
| 13. ნიუ ჯერსი | 9 | 4 | 5 | 44.4 |
| 14. შარლოტი | 9 | 3 | 6 | 33.3 |
| 15. ვაშინგტონი | 7 | 1 | 6 | 14.3 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 8 | 7 | 1 | 87.5 |
| 2. ფინიქსი | 12 | 8 | 4 | 66.7 |
| 3. იუტა | 11 | 7 | 4 | 63.6 |
| 4. ჰიუსტონი | 11 | 7 | 4 | 63.6 |
| 5. პორტლენდი | 10 | 6 | 4 | 60.0 |
| 6. დენვერი | 10 | 6 | 4 | 60.0 |
| 7. ნიუ ორლეანი | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 8. სან ანტონიო | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 9. გ. სტეიტი | 10 | 4 | 6 | 40.0 |
| 10. საკრამენტო | 11 | 4 | 7 | 36.4 |
| 11. დალასი | 10 | 3 | 7 | 30.0 |
| 12. მემფისი | 10 | 3 | 7 | 30.0 |
| 13. მინესოტა | 9 | 1 | 8 | 11.1 |
| 14. კლიპერსი | 10 | 1 | 9 | 10.0 |
| 15. ოკლაჰომა | 11 | 1 | 10 | 9.1 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 29.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 27.9 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 26.0 |
| კრის ბოში (ტორ) | 25.1 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 24.8 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 14.9 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.0 |
| ზაკ რენდოლფი (ნ-იორ) | 12.9 |
| კარლო ბუზერი (იუტ) | 11.7 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.6 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.0 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.2 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 8.0 |
| სტივ ნეში (ფინ) | 7.5 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 3.0 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.7 |
| ნეიტ რობინსონი (ნ-იორკ) | 2.2 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.2 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 4.2 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 3.0 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.3 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 2.2 |
| სპენსერ ჰეივსი (საკ) | 2.2 |

## ამბები

### მაიამიმ უეიდი დაკარგა

"მაიამი ჰიტის" ლიდერი **დუეინ უეიდი** მინიმუმ ერთ მატჩს გამოტოვებს ფეხის ტრავმის გამო. კალათბურთელმა დაზიანება "ტორონტოსთან" მატჩში, მეორე მეოთხედის დროს მიიღო, თუმცა შეხვედრა გააგრძელა და 29 ქულაც მოიხვეჭა. "მაიამის" მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ სპოელსტრამ** მცველი ბოლო ვარჯიშებისგან გაათავისუფლა, რადგან მცველი კოჭლობით დადიოდა მოედანზე.

უეიდი ბოლო ორი წლის განმავლობაში ხშირად იღებს ტრავმას. ბოლო ორ სეზონში მას სხვადასხვა დაზიანების გამო 31-31 მატჩის გამოტოვებამ მოუწია.

### ტი-მაკმა მუხლი დაიზიანა

ტრავმირებულია "ჰიუსტონ როკეტსის" ვეტერანი **ტრეისი მაკგრეიდიც**. "ოკლაჰომა სიტისთან" მატჩის მესამე მეოთხედში მცველმა მუხლი იტკინა და მოედნის დატოვებამ მოუწია.

*"ტრეისიმ გვითხრა, რომ ტკივილს კი გრძნობს, მაგრამ თამაში შეუძლია, თუმცა ჩვენ შეხვედრას ვიგებდით და ამიტომაც აღარ გავრისკეთ ტი-მაკის მოედანზე გამოყვანა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ "როკეტსის" მთავარმა მწვრთნელმა **რიკ ადელმანმა**.

ტრავმის ხარისხს სამედიცინო შემოწმება დაადგენს. სავარაუდოდ, მაკგრეიდის რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუწევს.

წლევანდელ რეგულარულში ტი-მაკი საშუალოდ მატჩში 15.9 ქულას, 4.5 მოხსნასა და 4.6 შედეგიან გადაცემას აგროვებს. შეგახსენებთ, რომ მაკგრეიდიმ გასულ ზაფხულს მუხლზე ოპერაცია გაიკეთა.

### შაკი 70 ათასით გაღარიბდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 25 ათასი დოლარით დააჯარიმა "ფინიქს სანზის" ცენტრი **შაკილ ო'ნილი**.

NBA-ის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, შაკი "დეტროიტ პისტონზთან" მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისთვის დაისაჯა.

სხვათა შორის, ბოლო ტურებში ო'ნილი ჯამში 70 ათასი დოლარით "გაღარიბდა". გასულ კვირას, "ჰიუსტონთან" მატჩში **რაფერ ელსტონთან** წაკინკლავების გამო, ლეგენდარულ ცენტრს 35 ათასი დოლარის გადახდამ მოუწია.

### გარნეტი ერთ მატჩს გამოტოვებს

ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა "ბოსტონ სელტიქსის" ლიდერი **კევინ გარნეტი**. "მილუოკისთან" მატჩში ვეტერანმა სახეში ჩაარტყა ხელი **ენდრიუ ბოგუტს** და ეს სასჯელიც ამით არის განპირობებული. ლიგამ გარნეტის საქციელი პირველი ხარისხის შეგნებულ ჯარიმად მონათლა.

გარნეტს დღეს დილით უნდა გამოეტოვებინა "ნიუ იორკ ნიქსთან" შეხვედრა.

### ჯექსონი გოლდენ სტეიტში დარჩება

"გოლდენ სტეიტ უორიორზის" ხელმძღვანელობამ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი წამყვან მცველ **სტივენ ჯექსონთან**. ამ ხელშეკრულების თანახმად, კალათბურთელი "მეომრების" რიგებში 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე ითამაშებს. კონტრაქტის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

შეგახსენებთ, რომ ჯექსონი შარშან, გრანდიოზული გაცვლის შედეგად გადავიდა "გოლდენ სტეიტში" "ინდიანა პეისერსიდან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ვანკუვერი 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 დემიტრა-3 (დ. სედინი-8, ჰ. სედინი-12), 1:1 უეიტი-4 (გერინი-6, ნილსენი-7).

ბულიტები გაიტანეს: ნილსენი (აილენდერსი).

**რეინჯერსი-ოტავა 2:1 (ბ)**

0:1, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ალფრედსონი-4 (ჰიტლი-8, პიკარი-3), 1:1 სოსტრიომი-2 (ბეტსი-2, მ. სტაალი-3).

ბულიტები გაიტანეს: ჟერდიოვი (რეინჯერსი).

**ტორონტო-ბოსტონი 2:3**

1:2, 0:1, 1:0

გოლები: 0:1 კესელი-8 (სავარი-14, ლუჩიჩი-5), 0:2 ჰანვიკი-1 (ლუჩიჩი-6, სავარი-15), 1:2 ჯეისონ ბლეიკი-3 (ი. უაიტი-4, ფინგერი-4), 1:3 რაიდერი-3 (ა. უორდი-3), 2:3 გრაბოვსკი-9 (ჰაგმანი-7, სტრალმანი-4).

**დეტროიტი-ედმონტონი 4:0**

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 კრონვალი-2 (ზეტერბერგი-6, ჰუდლერი-10), 2:0 სამუელსონი-4 (ლებდა-1, ზეტერბერგი-7), 3:0 ჰუდლერი-4 (ფილპულა-5, ლილია-2), 4:0 ფრანცენი-9 (სტიუარტი-3, კრონვალი-10).

**ნეშვილი-სან ხოსე 1:4**

0:2, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 სეტოგუჩი-11 (ჯ. ტორნტონი-16, მარლო-13), 0:2 შელი-1 (შტაუბიცი-1, რობ ბლეიკი-11), 0:3 პლიჰალი-2, 0:4 მარლო-9 (ერჰოფი-14, სეტოგუჩი-11), 1:4 ლეგვანდი-3 (ჰამჰუისი-5, ბონკი-4).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ვაშინგტონი კეპიტალზის" ფორვარდი **ნიკლას ბექსტრიომი** დაასახელა. შვედმა ფორვარდმა 4 მატჩში 11 ქულა (2 გოლი+9 შედეგიანი პასი) დააგროვა.

ბექსტრიომმა თავისი საუკეთესო მატჩი შაბათს, "ნიუ ჯერსის" წინააღმდეგ ჩაატარა, როდესაც ხუთი ქულა (1+4) მიითვალა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსიც "ვაშინგტონის" ფორვარდს ერგო. ეს გახლავთ რუსი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, რომელმაც თანაგუნდელზე ერთით ნაკლები ქულა (5+5) მოაგროვა.

მეორე ვარსკვლავი გახდა "ნეშვილ პრედატორზის" გოლკიპერი **დენ ელისი**. სამ მატჩში ამ მეკარემ სამივეჯერ გაიმარჯვა. საშუალოდ 2.28 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.4 პროცენტს იგერიებდა.

ელისმა "სან ხოსესთან" მატჩში (11 ნოემბერი) კარიერის რეკორდი დაამყარა - 54 დარტყმა მოიგერია.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 21 | 14 | 5 | 2 | 30 |
| 2. ბოსტონი | 18 | 11 | 3 | 4 | 26 |
| 3. ვაშინგტონი | 17 | 10 | 4 | 3 | 23 |
| 4. პიტსბურგი | 17 | 11 | 4 | 2 | 24 |
| 5. მონრეალი | 16 | 10 | 4 | 2 | 22 |
| 6. ბაფალო | 17 | 9 | 5 | 3 | 21 |
| 7. კაროლინა | 18 | 9 | 7 | 2 | 20 |
| 8. ნიუ ჯერსი | 17 | 8 | 7 | 2 | 18 |
| 9. ფილადელფია | 17 | 7 | 6 | 4 | 18 |
| 10. ტორონტო | 19 | 7 | 8 | 4 | 18 |
| 11. ატლანტა | 17 | 7 | 8 | 2 | 16 |
| 12. აილენდერსი | 18 | 7 | 9 | 2 | 16 |
| 13. ტამპა ბეი | 17 | 5 | 7 | 5 | 15 |
| 14. ოტავა | 18 | 6 | 9 | 3 | 15 |
| 15. ფლორიდა | 16 | 6 | 9 | 1 | 13 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 20 | 16 | 3 | 1 | 33 |
| 2. დეტროიტი | 17 | 12 | 2 | 3 | 27 |
| 3. ვანკუვერი | 18 | 10 | 6 | 2 | 22 |
| 4. ანაჰაიმი | 19 | 10 | 7 | 2 | 22 |
| 5. მინესოტა | 15 | 10 | 4 | 1 | 21 |
| 6. ჩიკაგო | 16 | 7 | 4 | 5 | 19 |
| 7. კალგარი | 18 | 9 | 8 | 1 | 19 |
| 8. ნეშვილი | 18 | 9 | 8 | 1 | 19 |
| 9. კოლამბუსი | 18 | 8 | 7 | 3 | 19 |
| 10. ედმონტონი | 18 | 8 | 8 | 2 | 18 |
| 11. ფინიქსი | 16 | 8 | 8 | 0 | 16 |
| 12. კოლორადო | 16 | 8 | 8 | 0 | 16 |
| 13. ლოს ანჯელესი | 17 | 7 | 8 | 2 | 16 |
| 14. დალასი | 17 | 6 | 8 | 3 | 15 |
| 15. სტ. ლუისი | 16 | 6 | 8 | 2 | 14 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 30 (7+23) |
| ალექსანდ სიომინი (ვაშ) | 27 (13+14) |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 23 (10+13) |
| საიმონ განიე (ფილ) | 22 (11+11) |
| დევინ სეტოგუჩი (ს-ხოს) | 22 (11+11) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 22 (9+13) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 22 (7+15) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 22 (6+16) |

| გოლები | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 13 |
| ალექსანდ სიომინი (ვაშ) | 13 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 12 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 23 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 16 |
| ჯეი პი დუმონი (ნეშ) | 16 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 16 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 16 |

## ველოსპორტი

# ვინო ბრუნდება, მაგრამ...

ცნობილი ყაზახი ველომრბოლი **ალექსანდრ ვინოკუროვი** მომავალ გაზაფხულზე თავისი ყოფილი გუნდის "ასტანას" შემადგენლობაში აპირებს დიდ სპორტში დაბრუნებას. ამ ინფორმაციას ყაზახეთის სპორტის მინისტრი **ანატოლი კულნაზაროვი** ავრცელებს.

ვინოკუროვს, რომელმაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) კოდექსის მიხედვით ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, უკვე შედგენილი აქვს პროფესიულ ტურში გამოსვლის გრაფიკი. თავდაპირველად ყაზახი ერთდღიან კლასიკურ რბოლებში - "ამსტელ გოლდ რეისში" და "ლიეჟ-ბასტონ-ლიეჟში" გამოსვლას აპირებს.

მაგრამ, შესაძლოა, ვინოკუროვს პრობლემები ველომრბოლელთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) შეუქმნას. *"ყაზახეთის ველოფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ვგეგმავ. არანაირი შანსი არ არსებობს იმისა, რომ ვინოკუროვი მომავალ გაზაფხულზე ჩვენი ეგიდით გამართულ რბოლებში მიიღებს მონაწილეობას. UCI არ ეთანხმება ერთწლიან დისკვალიფიკაციას და ველომრბოლის ორი წლით დასჯას ითხოვს"*, - ამბობს კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკუაიდი**.

ამ ისტორიაში ბევრი გაურკვეველი მომენტია. ვინო 2007 წელს, ტურ დე ფრანსზე ამხილეს დოპინგის მიღებაში. მაშინ ყაზახეთის ველოფედერაციამ სპორტსმენი ასეთ დროს მიღებული ორწლიანი დისკვალიფიკაციის ნაცვლად, ერთი წლით დასაჯა, რაზეც UCI-მ თვალი დახუჭა, რადგან ველომრბოლმა კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ხოლო, როცა გაირკვა, რომ ვინოკუროვი აღარ აპირებდა სპორტიდან წასვლას, მისი დისკვალიფიკაციის გახანგრძლივების საკითხი ავტომატურად დადგა დღის წესრიგში.

ფორმალურად, თავად ველომრბოლი და მისი გუნდი "ასტანა" წესს არ არღვევენ, ვინაიდან აქ აშკარაა UCI-ს შეცდომა, რომელმაც თავის დროზე, დისკვალიფიკაციის ვადის გამო პრინციპულობა არ გამოიჩინა. მეორე მხრივ, თუ "ასტანა" ამ დავაში გამარჯვებული დარჩება, ის სერიოზულად გაიფუჭებს ურთიერთობას ველომრბოლთა კავშირთან, არადა ყაზახურ ველოსაჯინიბოს ტურ დე ფრანსზე მომხდარი დოპინგსკანდალების გამო შელახული პრესტიჟის აღსადგენად დიდი ძალისხმევა დასჭირდა და მორიგი სკანდალი ნამდვილად არ სჭირდება.

## რაგბი

# კალენდარი ცნობილია

გუშინ გამოქვეყნდა რაგბიში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიგის - სუპერ 14-ის კალენდარი. ამ ტურნირში სამხრეთი ნახევარსფეროს სამი ქვეყნის - ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის საუკეთესო კლუბები თამაშობენ.

სუპერ 14-ის მორიგი გათამაშება 2009 წლის 13 თებერვალს, ახალი ზელანდიის ქალაქ დანდინში "ჰაილენდერსისა" და "ბრამბისის" მატჩით გაიხსნება. იმავე დღეს კიდევ ორი მატჩის გამართვაა დაგეგმილი.

ტურნირის მოქმედი ჩემპიონი "კრუზეიდერსი" პირველი ტურის მატჩს შაბათს, 14 თებერვალს გამართავს. ლიგის ფინალი 30 მაისს არის დაგეგმილი.

**I ტური**

**13 თებერვალი**

ჰაილენდერსი-ბრამბისი
ვესტერნ ფორსი-ბლუზი
ლაიონსი-ჩიტასი

**14 თებერვალი**

კრუზეიდერსი-ჩიფსი
ჰარიკეინზი-უორათასი
სტორმერსი-ნათალ შარქსი
ბულსი-რედსი

## ოლიმპიზმი

# ოლიმპიადა ცხენოსნობის გარეშე?

არგენტინაში საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი სამიტი იწყება, რომლის მთავარი განსახილველი თემა 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის პროგრამიდან სპორტის ამ სახეობის ამოღება იქნება.

ცხენოსნობას ეს საფრთხე მას შემდეგ დაემუქრა, რაც პეკინის ოლიმპიადაზე ერთბაშად ექვს ცხენს აღმოუჩინეს აკრძალული პრეპარატი.

*"ჩემი აზრით, ოლიმპიური ოჯახის წევრები იქამდე ვიქნებით, სანამ დოპინგთან მკაცრ ბრძოლას გავაგრძელებთ. ვფიქრობ, ჩვენს სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ცხენოსნობა ოლიმპიადების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახეობაა. ამავდროულად, მოდუნება არ შეიძლება და აქტიური მუშაობა უნდა გავაგრძელოთ საცხენოსნო სპორტის პრესტიჟის აღსადგენად"*, - ამბობს ფედერაციის გენერალური მდივანი **ალექს მაკლინი**.

ასეთი საფრთხის მიუხედავად, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში ცხენოსნობის ნამდვილი ბუმი შეიმჩნევა. ამ წელს დაახლოებით 2100 ღონისძიება ჩატარდა, რამაც ბოლო წლებთან შედარებით საერთაშორისო კალენდრის ორჯერ გაზრდა გამოიწვია.

■ ■ ■

სანამ ცხენოსნობის ბედი გაირკვევა, უკვე ცნობილი გახდა, რომ 2012 წლის ოლიმპიადის პროგრამიდან ამოიღეს აფროსნობაში ქალთა დისციპლინა, სახელწოდებით - "ინგლინგი". სპორტის ამ სახეობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ლონდონის ოლიმპიადაზე მოდიფიცირებულ კლასში - "ელიოტში" გათამაშდება ოქროს მედლები. ისევე როგორც "ინგლინგის" კლასში, აქაც თითო ეკიპაჟი სამი ქალი აფროსნისგან შედგება.

ცნობისთვის, ბოლო ორ ოლიმპიადაზე "ინგლინგში" პირველობას არავის უთმობდნენ ბრიტანელი აფროსნები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| მიანმარი-მალაიზია | 4:1 |
| ესტონეთი-მოლდოვა | 1:0 |
| ალჟირი-მალი | 1:1 |
| გერმანია (U21)-იტალია (U21) | 1:0 |
| ინგლისი (U21)-ჩეხეთი (U21) | 2:0 |
| პორტუგალ (U21)-ესპანეთ (U21) | 4:1 |
| შოტლანდ (U21)-ჩრ. ირლ (U21) | 1:3 |

**ინგლისი**

| კონფერენსი | |
|---|---|
| კემბრიჯი-იორკი | 1:0 |
| სტევენეიჯი-ჰისტონი | 1:3 |
| ტორკი-ლიუისი | 4:1 |
| უეიმაუთი-უოკინგი | 1:1 |

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| ალტრინჩემი-ლუტონი | ძ.დ. 0:0 |
| ბაროუ-ისტბურნი | 4:0 |
| დაგენჰემი-ჰერეფორდი | 2:1 |
| დორჩესტერი-ოქსფორდი | ძ.დ. 1:1 |
| დროილსდენი-დარლინგტონი | 1:0 |
| ფლიტვუდი-ლეისტონი | 2:0 |
| გრეისი-კარლაილი | 1:0 შეწყდა |
| ჰარტლპული-ბრაიტონი | 2:1 |
| ლინკოლნი-კეტერინგი | 1:2 |
| ოლდჰემი-ჩელტენემი | 0:1 |
| როჩდეილი-ბარნეტი | ძ.დ. 2:2 |
| როტერჰემი-ალდერშოტი | 0:3 |
| საუთენდი-ტელფორდი | 2:0 |
| სტოკპორტი-იეოვილი | 5:0 |

**პოლონეთი**

| ლიგის თასი | |
|---|---|
| ვისლა-პიასტი | 4:1 |
| რუხი-პოლონია (ბ) | 4:3 |
| ლეხია-არკა | 0:1 |
| ლკს-ლეგია | 2:3 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-სპარტაკი | 3:2 |
| სიბირი-ვიტიაზი | 7:4 |
| ცსკა-მვდ | 4:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| აკრონი-ალბა | 3:1 |
| ვენა-ინსბრუკი | 3:3 |
| გრაცი-ოლიმპია | 3:2 |
| ზალცბურგი-ვილახი | 3:5 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 4:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-დიუსელდორფი | 6:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| მიკულაში-ბისტრიცა | 1:2 |
| ნიტრა-კოშიცე | 2:4 |
| პოპრადი-ჟილინა | 2:4 |
| სკალიცა-მარტინი | 4:2 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 1:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ტაპარა-პელიკანსი | 0:3 |
| ტპს-ილვესი | 4:2 |
| ჰიფკ-ესეტი | 3:3 |
| ჰპკ-იოკერიტი | 4:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-კლადნო | 6:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ჟენევა-დავოსი | 1:0 |
| კლოტენი-ფრიბურგი | 7:3 |
| ლანგნაუ-ცუგი | 7:3 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 4:4 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ფერიესტადი-ტიმრა | 2:0 |
| ჰვ71-ლულეო | 1:1 |
| იურგორდენი-ბრიუნესი | 2:4 |

## TV სპორტი

**19 ნოემბერი. ოთხშაბათი**

**I არხი**

22:25 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. რუმინეთი-საქართველო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სტიაუა-ლიონი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-მანჩესტერ სიტი.
15:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იუვენტუსი-რეალი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:25 საფეხბურთო პროგრამა.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-ბატე.
01:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:55 ზუსტი გათვლა.
04:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივ-ბარსელონა.
06:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იუვენტუსი-რეალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა.
12:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. შტუტგარტი. გერმანია.
16:55 სპორტკლუბი.
17:05 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II რაუნდი.
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მიდლსბრო.
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ინტერი.
21:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:45 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
22:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-კოლორადო.
00:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
02:35 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II რაუნდი.
03:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
04:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერნასიონალი-ჩივასი (LIVE).
06:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას. მიმოხილვა.
06:25 ფეხბურთელთა ცხოვრება.
06:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 ფიგურული სრიალი. Trophee Eric Bompard-ის გრანპრი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. საფრანგეთი.
13:00 ფიგურული სრიალი. Trophee Eric Bompard-ის გრანპრი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. საფრანგეთი.
14:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. ფინალი.
15:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-პორტუგალია.
17:15 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბელგია-ესპანეთი.
18:00 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-ჰოლანდია.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-არგენტინა. ჩილე (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბელგია-ესპანეთი.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-აშშ. ჩილე (LIVE).
00:05 მულტისპორტი.
00:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:15 გოლფ-კლუბი.
00:20 აფროსნობა. Match Cup. პორტუგალია.
00:50 აფროსნობა. Volvo Ocean-ის რბოლა.
00:55 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:00 გოლფი.
02:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები.
03:00 სპორტული მიღწევები.
03:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-აშშ. ჩილე.
04:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. ოლიმპიაკოსი-აეკ.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
15:30 ახალი ამბები.
17:00 სერფინგი. პორტუგალია.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ვისლა პლოცკი (პოლონეთი).
19:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. სუპერმძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-დ. რუისი (აშშ). ბერლინი. გერმანია.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-აშშ. ჩილე.
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# ფედერერის პრიორიტეტი უიმბლდონია

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** ამჟამად მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურშია ჩასული, სადაც ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკთან** და წარსულის ლეგენდებთან - **ჯონ მაკინროისთან** და **ბიორნ ბორგთან** ერთად საჩვენებელ ტურნირში ("ჩემპიონთა ბრძოლა") მონაწილეობს.

სანამ ტურნირში ჩაებმებოდა, შვეიცარიელი ჟურნალისტებს შეხვდა და 2009 წლის სეზონის პრიორიტეტებზე ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ ფედერერს გაისად რამდენიმე გამოწვევა ელის, მისივე თქმით, მთავარი მიზანი უიმბლდონის ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება იქნება.

*"დიახ, ძალიან მინდა ამერიკელი პიტ სამპრასის რეკორდის დამხობა, რომელსაც "დიდი სლემის" ყველაზე მეტი ტურნირი აქვს მოგებული (სამპრასის ანგარიშზე 14 ტიტულია და ფედერერი მას ერთით ჩამორჩება), ასევე მინდა რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნება, რომელიც რაფაელ ნადალმა ჩამომართვა, მაგრამ უიმბლდონი ჩოგბურთის სამყაროში განსაკუთრებული მოვლენაა. ჩემი მთავარი ამოცანა და ოცნება ლონდონის კორტებზე გამარჯვება იქნება"*, - აღიარა როჯერმა.

შეგახსენებთ, რომ ფედერერი 2003-07 წლებში ბატონობდა უიმბლდონზე, როცა ზედიზედ ხუთჯერ დაისაკუთრა მთავარი პრიზი. მაგრამ ამ სეზონში ხუთსეტიან დაძაბულ ფინალში წააგო ესპანელ **რაფაელ ნადალთან**.

■ ■ ■

ამასობაში, ვებგვერდმა TENNIS.com-მა საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა და გაარკვია, თუ რომელი მოვლენა იყო 2009 წლის საჩოგბურთო სეზონის მთავარი სიურპრიზი. როგორც გაირკვა, ჩოგბურთის მოყვარულთათვის ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა უიმბლდონის ფინალში როჯერ ფედერერის მარცხი რაფაელ ნადალთან.

ამ ვარიანტს მხარი გამოკითხულთა 51 პროცენტმა დაუჭირა. მეორე მოულოდნელი მოვლენაც ამ ორი ჩოგბურთელის სახელს უკავშირდება - 20 პროცენტს გაუკვირდა ნადალის მიერ ATP-ის რეიტინგში როჯერის შევიწროება.

დაახლოებით ამდენივე პროცენტი მიიღო ზაფხულში არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** ბრწყინვალე გამოსვლამ. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში დელ პოტრომ ზედიზედ ოთხი ტურნირის მოგება შეძლო. რაც შეეხება სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და ბრიტანელი **ენდი მიურეს** წარმატებებს, ჩოგბურთის მოყვარულთა მხოლოდ 10 პროცენტი არ ელოდა ამ ჩოგბურთელების კარგ თამაშს.

ფორმულა 1

# ჰემილტონის მანქანა ჰოის ველოსიპედს შეეჯიბრება

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ დეკემბერში ლონდონის ლეგენდარულ "უემბლიზე" ჩემპიონთა რბოლა უნდა გაიმართოს, სადაც სხვადასხვა სარბოლო სერიის საუკეთესო წარმომადგენლები კარტინგებით შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ საინტერესო რბოლაში მონაწილეობას დათანხმდა ფორმულა 1-ის ახალი ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი**, თუმცა იმ დღეს ბრიტანელ პილოტს კიდევ ერთი ორიგინალური პაექრობა ელის.

"უემბლიზე" შეკრებილი პუბლიკა ჰემილტონისა და ველოტრეკში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის **კრის ჰოის** ორთაბრძოლას იხილავს. ლუისი მანქანაზე დაჯდება, ჰოი კი ველოსიპედზე. როგორც BBC წერს, ტრასა კლაკნილი იქნება.

*"ეს განსაკუთრებული სანახაობა იქნება. 80 ათასი ფანი პირველად იხილავს ველოსიპედისა და მანქანის დაპირისპირებას"*, - განაცხადა ჰემილტონმა.

პეკინის ოლიმპიადაზე ჰოიმ ოქროს მედლები მიიღო ინდივიდუალურ სპრინტში, კეირინსა და გუნდურ სპრინტში. ბოლო 100 წლის განმავლობაში ის გახდა პირველი ბრიტანელი, ვინც ერთ ოლიმპიადაზე ოქროს სამი მედლის მფლობელი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰოის "მერსედესის" ძრავასთან მოუწევს ჭიდილი, ველომრბოლი თვლის, რომ რთული და მიხვეულ-მოხვეული ტრასა მას წარმატების კარგ შანსს უტოვებს.





# ფორმულაში ოქროს ციებ-ცხელება იწყება

ფორმულა 1-ის მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი** დარწმუნებულია, რომ ქულათა დარიცხვის ამჟამინდელი წესი უკვე 2009 წლის სეზონის პირველივე რბოლაში შეიცვლება მედლების მინიჭების სისტემით.

ადრე "სამეფო რბოლების" ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ ახალი სისტემის თანახმად, ის პილოტები, რომლებიც პოდიუმზე ავლენ, 10, 8 და 6 ქულის სანაცვლოდ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ. ექლსტოუნის აზრით, ახალი წესი გამორიცხავს ისეთ სიტუაციას, რომელიც წელს, ბრაზილიის გრანპრის დროს შეიქმნა, როცა ჰემილტონს მეხუთე ადგილიც ჰყოფნიდა ჩემპიონის ტიტულის გასანაღდებლად. ამ დროს მედლების სისტემა რომ ყოფილიყო ძალაში, ჩემპიონი **ფელიპე მასა** გახდებოდა - მეტი ოქროს მედლის წყალობით.

ვარაუდობენ, რომ ქულების დარიცხვა მაინც დარჩება ძალაში, ოღონდ ის მხოლოდ კონსტრუქტორთა თასის მფლობელის გამოსავლენად იქნება საჭირო. და აქაც, გუნდურ ჩათვლაში ქულებს შეიტანენ ის პილოტები, რომლებიც პოდიუმის სამ საფეხურს დაიკავებენ. ის მრბოლელები, რომლებიც მედლების ზონის მიღმა დარჩებიან, ქულებს ვერ მიიღებენ.

*"მელბურნში პილოტები 10, 8 ან 6 ქულისთვის არ იბრძოლებენ. მათ მხოლოდ ოქროს მოპოვებაზე უნდა იფიქრონ"*, - განაცხადა ექლსტოუნმა.

ბერნის იდეას მომავალ თვეში ავტოსპორტის მსოფლიოს საბჭოს სხდომაზე განიხილავენ.

კრივი

# ჰატონი სმას ვერ ელევა



ცოტა ხნის წინ, ცნობილ ბრიტანელ მოკრივეს **რიკი ჰატონს** მისმა ახალმა მწვრთნელმა **ფლოიდ მეივეზერ**-უფროსმა ალკოჰოლის მიღებისგან თავის შეკავება ურჩია, მაგრამ ჰატონმა გამოაცხადა, რომ ამას არასოდეს გააკეთებს.

*"ეს არ მოხდება, - მოჰყავს ბრიტანელის სიტყვები გაზეთ "სანდი მეილს". - უკვე 30 წლის ვარ, მაგრამ მაინც არ ვიშლი ბარებში სიარულს და ბოლომდე ასე გავაგრძელებ. ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. ჩემზე ვერ იტყვით - ცხოვრობს იმისთვის, რომ იმუშაოს. პირიქით, ვმუშაობ იმისთვის, რომ ვიცხოვრო. გართობა მიყვარს. ვიცი, რომ ამას ხშირად ვაკეთებ და ზედმეტიც მომდის, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია"*.

ამასობაში, გაზეთი "დეილი სთარი" იტყობინება, რომ ცოტა ხნის წინ, ჰატონმა თურქეთის კურორტ ბოდრუმში სახლი შეიძინა. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ბოდრუმში ჰატონის საყვარელი ლუდი თითქმის ორჯერ ნაკლები ღირს, ვიდრე ინგლისში. *"ლუდი Guinness-ი მისი საყვარელი სასმელია და ბრძოლის შემდეგ ყოველთვის მიირთმევს მას, - ამბობს ჰატონის გუნდის ინკოგნიტო წევრი. - რიკის თურქეთი ისედაც მოეწონა, მაგრამ როცა გაიგო, რომ Guinness-ი იქ ძალიან იაფი ღირს, არც უფიქრია და სასწრაფოდ სახლი შეიძინა"*.

ჰატონის თურქული სახლი ოთხი საძინებლითა და აუზით 159 ათასი ფუნტი სტერლინგი დაჯდა. თავად რიკი აცხადებს, რომ სწორედ თურქეთში მოემზადება თავისი მომავალი ბრძოლებისთვის.



# კლიჩკო და 60 წლის მოდელი

ცნობილმა ჟურნალმა GQ-მ 2008 წლის მამაკაცის გამოსავლენად კონკურსი ჩაატარა. მიუნხენში გამართულ გალა-საღამოზე ფოტოგრაფებმა საინტერესო კადრი დააფიქსირეს. უკრაინელმა მოკრივემ **ვიტალი კლიჩკომ** "წლის დაბრუნების" ნომინაციაში გაიმარჯვა. საღამოზე ყველა გამარჯვებულს ახალგაზრდა გოგონები გადასცემდნენ პრიზებს, მაგრამ უკრაინელ გიგანტს, რატომღაც 60 წლის მსახიობი, მომღერალი და ტოპმოდელი **გრეის ჯონსი** "ერგო". უფრო მეტიც, ქალბატონი ისე თამამად იქცეოდა სცენაზე, რომ ერთ მომენტში მკერდზე მიეკრა უფროს კლიჩკოს.

ვიტალი თავიდან შეცბა, ვინაიდან დარბაზში მისი მეუღლე **ნატალია** იმყოფებოდა, მაგრამ მალე გაშინაურდა და 60 წლის ტოპმოდელი მკლავებში მოიქცია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**